ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ + ილია II

ოქროს ხანა სამტომეულის პირველი ტომი

8 ლარი




ორშაბათი, 14 იანვარი, 2013 №10 (6011) ფასი: 30 თეთრი

# 190 პოლიტპატიმარი თავისუფალია

## პოლიტპატიმრების საქმეებს გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნება



გვ.3

## ცოტნე გამსახურდია: „ბესარიონ გუგუშვილმა ზვიადის სიკვდილზე სიმართლე თქვას!“

გვ.2



## ნაციონალებმა თეა წულუკიანის მამის მიერ ხელმოწერილი სიკვდილმისჯილთა სია გამოაქვეყნეს

გვ.5



## ირაკლი ბათიაშვილი: „ახალმა ხელისუფლებამ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა უნდა დაიწყოს“

გვ.7



## მარინა კაჟაშვილი: „ბატონო სააკაშვილო, ნუ გვიბიძგებთ ალტერნატიული საპრეზიდენტო არჩევნებისკენ!“

გვ.5



## სააკაშვილმა ახალი გუბერნატორები დანიშნა

გვ.5

## დემეტრაძემ ციხე დატოვა



გვ.12



გვ.4

## სანდრო თვალჭრელიძე: „საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა უნდა იყოს“



გვ.6

## გიორგი თევზაძე: „ფართომასშტაბიანი ამნისტია აუცილებელი იყო“

## რა დაუშავა ზესტაფონმა გოგი ქავთარაძეს

გვ.6



9 771987 938006

**4** საავტომობილო გზის კობი-გუდაურის მონაკვეთზე მოძრაობა აღდგა

**4** დავით კუპრეიშვილი: „საპრეზიდენტო არჩევნებამდე კოალიცია „ქართული ოცნება“ არ უნდა დაიშალოს“

**4** ლალი მოროშკინა: „სააკაშვილის რეჟიმი დღეს დამარცხდა“

**2** მიხეილ სააკაშვილი: „რუსეთის ჯაშუშობაში ბრალდებულები შეიძლებოდა რუსეთში იმავე ბრალდებით გასამართლებულ ქართველებში გაცვლილიყვნენ“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ცოტნე გამსახურდია: „ბესარიონ გუგუშვილმა ზვიადის სიკვდილზე სიმართლე თქვას!“

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო



**ვირტუალური მოწვევით ცოტნე გამსახურდია ერთ საქველმოქმედო საღამოზე გავიცანი და ინტერვიუზე შევთანხმდით. ვეცადე, რომ ისეთი კითხვები დამესვა, რომლებზეც სხვაგან არ უსაუბრია.**

***– ალბათ იანვარი ერთ-ერთი ყველაზე მძიმედ მოსაგონარი თვეა თქვენი ოჯახის ცხოვრებაში. შეგიძლიათ გაიხსენოთ მნიშვნელოვანი დეტალები იმ დროიდან?***

– მართალი გითხრათ,არ მიყვარს ამ ყველაფრის გახსენება და ეს არცაა გასაკვირი ალბათ. ვფიქრობ, რომ თქვენ თბილისის ომს და მამაჩემის გარდაცვალებას გულისხმობთ.საერთოდ, ეს პერიოდი მთელი საქართველოსთვის იყო მძიმე და არამარტო ჩემთვის.არც ის მინდა, ვინმემ მიკერძოებულობაში ჩამომართვას რაიმე და ზოგადად ვიტყვი, რომ ეს სამარცხვინო ლაქა იყო ჩვენს ისტორიაში,რასაც ჩემის აზრით, ობიექტური შეფასება უნდა მიეცეს და ეს პროფესიონალებმა უნდა გააკეთონ ღია და ინტელექტუალური დისკუსიის შედეგად.

***– დიდი გამსახურდიების ოჯახისშვილობა სასიამოვნოდ მძიმე ტვირთად ხომ არ გაგყვათ? ემორჩილებით იმ სტერეოტიპებს, ოჯახური ტრადიციით რომ გადაეცემათ ხოლმე?***

– მე საერთოდ ვცდილობ თავისუფალი ვიყო სტერეოტიპებისაგან.ჭეშმარიტების ძიებაა ჩემთვის ცხოვრების მიზანი,ისევე როგორც მრავალი ადამიანისათვის და სტერეოტიპიზაცია ამ ძიებაში ხანმოკლე გამაყუჩებლად თუ გამოდგება.საერთოდ ეს ძიება მუდმივი პროცესია.თანაც, ჩემს ცხოვრებაში იმდენი რამ დაიმსხვრა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით...ერთ ფრანგ მწერალს უთქვამს,იმისათვის რომ საკუთარი მე და შენი გზა იპოვო, ფესვებზე უარი უნდა თქვაო და ამას მნიშვნელოვანწილად ვეთანხმები.მით უმეტეს მაშინ,როცა ეს ძიება სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება თქვენთვის.

***– რას გვეტყოდით ჩეჩნეთში ცხოვრების პერიოდზე, თქვენ მაშინ ასაკით პატარა იყავით...***

– არც ისე პატარა ვიყავი, დაახლოებით ოც წლამდე ვცხოვრობდი ჩეჩნეთში. იქ, მამას, როგორც კავკასიის დიდ მოსიყვარულესა და მოამაგეს, პატივს სცემდნენ, თუმცა მაშინდელი რუსეთის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა კავკასიელ ხალხთა შორის შუღლის გასაღვივებლად, რაც მნიშვნელოვნად გამოუვიდათ კიდეც. ეს, ვფიქრობ, ჩვენი ხალხების ინტელექტუალური და პოლიტიკური უმწიფარობის შედეგიც იყო. რაც შეეხება ცხოვრებისეულ ასპექტს, მოგეხსენებათ, იმ პერიოდის მგლური კანონები, რამაც ჩვენს ოჯახზეც მოახდინა ზემოქმედება.ხვდებით ალბათ რას ნიშნავს დევნილობა, პოლიტმეინსტრიმთან დაპირისპირება,უცხო გარემო...მამაჩემის სიკვდილის შემდეგ ჩვენ ფაქტობრივად მგლის ხახაში დავრჩით.

***– მამის ძველი მეგობრებიდან შემოგრჩათ რეალური და ნამდვილი მეგობრები?***

– დიახ, რათქმაუნდა.მეშინია, ვინმე არ გამომრჩეს, ამიტომ ჩამოთვლას არ შევუდგები.

***– ორი წლის წინ, 9 აპრილს, რუსთაველზე, ყოფილი პარლამენტის შენობის წინ, აქცია ვნახე ე.წ. ,,ზვიადისტების“, ქალბატონი მანანაც იქ იყო და ძალიან ბევრი ის სახე, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოუტანეს. ზედმიწევნით ეწერათ სახეებზე, რომ ისინი დაივიწყეს. რას იტყოდით უზენაესი საბჭოს შესახებ?***

– უზენაეს საბჭოში ბევრი ღირსეული და კომპეტენტური ადამიანი იყო. გამსახურდიას კადრები არ ჰყავდაო, ამბობენ.შემდგომ საქართველოში ვის ჰყავდა უკეთესი კადრები? ზვიად გამსახურდიამ იმ რამდენიმე თვეში მეტის გაკეთება მოასწრო, ვიდრე მას შემდეგ სხვებმა წლები მოუნდნენ.“დაივიწყეს“ ცოტა რბილად ნათქვამია.მეცინება, როცა გამოდიან მოექსპერტო ,,თუთიყუშები“ და აიგივებენ ზვიად გამსახურდიასა და ,,მრგვალ მაგიდას“ ,,მოქკავშირთან“ და ,,ნაცმოძრაობასთან“. ვინმეს დაავიწყდა,რამდენი დევნა,უსამართლობა და ძალადობა გადაიტანა იმ ათასობით ადამიანმა, ვინც შემდგომ ერთი ხელის მოსმით „ზვიადისტებად“ მონათლეს ამ თუთიყუშებმა?! და რამდენი საშინელება და მსხვერპლი გახდა საჭირო იმისათვის,რომ ეს ძალა პოლიტარენიდან ჩამოეშორებინათ? ეს ხომ თავისით და ბუნებრივად არ მომხდარა!ისე, ამ თემაზე ლაპარაკი არ მიყვარს და არც ვინმემ ადვოკატირებად მინდა ჩამომართვას,ამიტომ ამ საკითხს შევეშვათ.

***– ბესარიონ გუგუშვილს ერთხელ ვკითხე, თუ დაბრუნდებოდა საქართველოში. მან მითხრა, თავს თუ გავწირავდი მისთვის, მაშინ ჩამოვიდოდა. ვკითხე მერე მას, მის გვერდით საქართველოს პირველი პრეზიდენტი გარდაიცვალა, რა გააკეთე მისთვის-მეთქი ? შეგიძლიათ ბატონი ბესარიონის შესახებ შეფასება გააკეთოთ?***

– მკითხველთან ბოდიში სიძულვილის ენისათვის, მაგრამ ბატონი ბესარიონი ერთი მშიშარა ნაძირალაა, რომელსაც არ ჰყოფნის კაცობა, სიმართლე გაიხსენოს. მას ხომ არავინ მამაჩემის მკვლელობაში პერსონალურად არ ადანაშაულებს. თქვას, რა მოხდა იქ სინამდვილეში. ვფიქრობ,ამ ყველაფრით აუცილებად დაინტერესდება დღეს უკვე დამოუკიდებელი პროკურატურა და ბატონი არჩილ კბილაშვილი ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს, რადგან ეს ქვეყნის პრესტიჟის საკითხია.მე ისედაც ბევრი რამ ვიცი,რაც იქ მოხდა, მაგრამ ეს ჩემი პირადი პოზიციაა და არა სამართლებრივი დასკვნა. მგონი თქვენ მიერ ზემოთ მოყოლილი პასაჟიდან კარგად ჩანს,რომ იგი გაურბის სიმართლის თქმას.

***– როცა თქვენ დაგაპატიმრეს, საზოგადოების სამოქალაქო პროტესტი არასაკმარისი იყო თუ უბრალოდ სისტემურად შეუძლებელი იყო ხელისუფლებაზე ზემოქმედება?***

– რა თქმა უნდა, ავტორიტარიზმის პირობებში შეუძლებელია სისტემაზე ადეკვატური ზემოქმედება. შერჩევითი სამართალი, უთანასწორობა,უუფლებობა, სიდუხჭირე უკვე თანმდევი პროცესებია.თანაც, ხომ გახსოვთ, რაოდენ დაჩაჩანაკებული და დეზორიენტირებული იყო საზოგადოების უდიდესი ნაწილი. ხალხს სხვა მეტი და უფრო მნიშვნელოვანი სატკივარი ჰქონდა,ვიდრე ვინმეს უსამართლოდ დაპატიმრება იყო, თუნდაც ეს ვინმე ცოტნე გამსახურდია ყოფილიყო.

მაგრამ შეგახსენებთ ჩემს მიერ წლების უკან ჩამოყალიბებულ სლოგანს: სხვათა უფლებების დაცვა საკუთარის დაცვასაც ნიშნავს! თუ სისტემა ერთხელ გაბედავს ასე მოექცეს ადამიანს, იგი სხვა ხელსაყრელ შემთხვევაშიც იგივეს გაიმეორებს.გაგვიგრძელდება ამაზე საუბარი,მაგრა სხვა დროს ჩამოვთვლი იმ სამართალდარღვევებსა და ფალსიფიკაციის მეთოდებს,რომელთა აპრობაციაც ჩემს საქმეებში მოახდინეს.

***– თვლით, რომ გამსახურდიები ფატალური ბედის ხალხი ხართ?***

– არა. არ მჯერა კოლექტიური ბედისწერის. არც ის მინდა, ჩემი ოჯახის სხვა წევრებთან გამაიგივოთ; მე ჩემი ცხოვრება მაქვს და არც ვინმეს სახელით სპეკულირებას ვაპირებ სხვებისაგან განსხვავებით და არც საკუთარ პერსონას ვახვევ ვინმეს თავს.

***– თქვენი აზრით, ყველაზე დიდი დამნაშავე საქართველოს ახლო წარსულში ვინ არის? პერსონა დამნაშავე რომ არა, საქართველო ბევრად სხვანაირი იქნებოდა?***

– ეს კითხვა სჯობს პროკურორს დაუსვათ.თუმცა,ამავე დროს ვფიქრობ,რომ რაც მოხდა, უფრო ჩვენი ნაკლოვანებების,უმწიფარობის შედეგი იყო, სისტემური, ასე ვთქვათ, და სხვანაირად ალბათ სიტუაცია ვერ განვითარდებოდა. შეცდომებიც ბევრი იყო ორივე მხრიდან... საერთოდ, მე თუ მკითხავთ, ყველა ადამიანმა ვისაც იმ პერიოდში კონკრეტულ პირთა მიმართ მძიმე დანაშაული არ ჩაუდენია და გამოუსწორებელი ზიანი არ მიუყენებია, მორალური და სამართლებრივი რეაბილიტაცია უნდა მიიღოს. ყველას გვაქვს შეცდომის დაშვების უფლება და აქ უცხოპლანეტელებს ვერ ჩამოვასახლებთ. ესაა საქართველო.მაგრამ, ვიმეორებ, მძიმე დანაშაულის ჩამდენთ, მაგალითად, თენგიზ კიტოვანის მსგავს გარეწრებს სამართლებრივად პასუხი უნდა მოეთხოვოთ. სიცრუესა და სიყალბეზე წესიერი ქვეყანა ვერ აშენდება.

***– როგორ შეაფასებდით საერთო ჯამში პრეზიდენტის ინსტიტუციას საქართველოში? ქართული მენტალობის გამოა, რომ ლამის 100 %-ით ვირჩევთ პრეზიდენტს და მერე ამდენივე ვდევნით ან მტრად ვეკიდებით?***

– ეს, რასაკვირველია, ქართული მენტალიტეტის ნეგატიური ფენომენია. აქ ხელისუფალს მიიჩნევენ ან მხსნელად, რომელიც ლამის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც მოუწესრიგებს, ან ბატონად, რომლის ძალაუფლების წყაროც სრულიად გაუგებარი, ვიტყოდი – ობსკურანტულია, მაგრამ აბსოლუტური და შეუქცევადი.საქართველოში ფეოდალი რაიკომის მდივანმა, მდივანი კი – გამგებელმა ჩაანაცვლა, მაგრამ სახელთა ცვლილებით მოვლენათა არსი და მათდამი დამოკიდებულება არ შეცვლილა.

ამიტომაც, პირველ შემთხვევაში ადამიანებს მყისიერად ეუფლებათ იმედგაცრუება და ნიჰილიზმი, ხშირად სიძულვილც, როცა აღმოჩნდება, რომ მათი რჩეული სასწაულმოქმედი არაა; მეორე შემათხვევაში კი, ვფიქრობ, გაბოროტებული ბრბოს კიმპლექსთან გვაქვს საქმე,რომელმაც თავად აქცია ტირანად მმართველი უამრავი დამცირების, ბოლოს ატანით და იგი უეცრად ამოინთხევა ხოლმე ხელისუფალის მიმართ.მოკლედ,ჩვენ უნდა გავითავისოთ, რომ ხელისუფლება ჩვენი მსახური უნდა იყოს და უნდა შევქმნათ კონკურენტული დემოკრატიული სისტემა, როცა ობიექტური იმედგაცრუება არჩევნებს ფორმატში რეალიზდება.

***– როგორ შეაფასებდით დღევანდელ ხელისუფლებას (საპრეზიდენტოს არ ვგულისხმობ)?***

– ახალი ხელისუფლების საქმიანობა ჯერჯერობით უდაოდ პოზიტიურია.თუმცა, ამ კითხვის პასუხი წინა პასუხიდან გამომდინარეობს. ჩვენ ხელისუფლების სიკეთე არ უნდა გვიკვირდეს,ეს მათი მოვალეობაა. სწორედ ეს მიმაჩნია ივანიშვილის მთავარ დაპირებად და ისტორიულ როლად, თუ გნებავთ, რომ მან კონკურენტული დემოკრატია და სამართლიანი სხელმწიფო ჩამოაყალიბოს .მისი საქმე არც ტარიფების შემცირებაა და არც მოსახლეობისათის ბუტერბროდების დარიგება. რომ გავამარტივოთ, საქართველოში უნდა შეიქმნას გარემო, სადაც საზოგადოების ინიციატივებს სამართლიანი, ადეკვატური რეაგირება მოჰყვება, ხოლო ადამიანებს თვითრეალიზაციის საშუალება მიეცემათ. უნდა ჩამოყალიბდეს პოლიტიკური სისტემა,რომლის ფუნქციონირებაც მფარველების მოწყალებაზე ან ხელისუფალთა ,,კაი ტიპობაზე“ არ იქნება.რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მიმაჩნია რომ მისთვის პოლიტიკაში მოსვლას რაიმე პირადი დივიდენდი, მატერიალური თუ მორალურ-პოლიტიკური არ მოუტანია. მას დღეს მძიმე როლი აკისრია: ჯერჯერობით იგი მნიშვნელოვანი გარანტი და თუ გნებავთ, პერსონალური მაგალითია ახალი ხელისუფლებისათვის და ვფიქრობ, ეს ზედამხედველობა თუ ეფექტიანობის კონტროლი თანდათან ინსტიტუციონალური უნდა გახდეს.ბოლოს კი, ჩვენი წარმატების მთავარ პირობად ჩვენი სიფხიზლე და პრინციპულობა მიმაჩნია.

## საპატრულო პოლიციის თანამშრომლები გადამზადებას ახალი პროგრამით გაივლიან

საპატრულო პოლიციის თანამშრომლები გადამზადებას ახალი პროგრამით გაივლიან.

გადამზადების კურსის გახსნას შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრებიან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადების ახალი პროგრამა პოლიციის აკადემიამ დაამტკიცა. უცხოელი ექსპერტების დახმარებით, სასწავლო პროგრამები საფუძვლიანად გადამუშავდა, არსებითად გაიზარდა მათი ხანგრძლივობა, დაემატა პრაქტიკული სავარჯიშოები, დეტალურად გაიწერა სწავლების შედეგად მიღებული უნარ-ჩვევები და კომპეტენციები.

აკადემიაში სწავლების თანამედროვე მეთოდები – პრაქტიკული და საველე სავარჯიშოები, იმიტირებული სცენები, სისტემატიზებულია სტანდარტულ სიტუაციებში პოლიციელის ქცევის წესები დაინერგა. განსაკუთრებული ყურადღება პოლიციელის საზოგადოებასთან ურთიერთობას ექცევა.

შემუშავდა მსმენელთა მიღების ახალი წესიც. კანდიდატებს ტესტირება და გასაუბრება ახალი მეთოდებით ჩაუტარდებათ. ასევე, განახლდა მიმღები კომისიის შემადგენლობა. პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, კანდიდატის საჩივრის განხილვის ახალი პროცედურები განისაზღვრა.

გარდა ამისა, სასწავლო პროცესის დახვეწის მიზნით, ახალი შინაგანაწესი დამტკიცდა. განისაზღვრა პროფესიული უნარებისა და ცოდნის მიღებისათვის ოპტიმალური ვადები, შეიქმნა მსმენელთა ცოდნის შეფასების ობიექტური და გამჭვირვალე სისტემა, ასევე, მიღებული შეფასების გაპროტესტების მექანიზმები და შემუშავდა აკადემიის ტერიტორიაზე ქცევის წესი განისაზღვრა.

**პირველი**

## მიხეილ სააკაშვილი: „რუსეთის ჯაშუშობაში ბრალდებულები შეიძლებოდა რუსეთში იმავე ბრალდებით გასამართლებულ ქართველებში გაცვლილიყვნენ“

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ამნისტია საქართველოს უსაფრთხოებას საშიშროება უქმნის.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა კასპში, სოფელ ახალციხეში გუბერნატორ ანდრო ბარნოვის მშობლების ოჯახში სტუმრობისას განაცხადა.

სააკაშვილის თქმით, რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებული ადამიანების გამოშვების ნაცვლად, შეიძლებოდა ისინი იმ ადამიანებში გაცვლილიყვნენ, რომლებიც რუსეთში საქართველოს ჯაშუშობის ბრალდებით არიან დაპატიმრებულები.

,,წეღან გამოვიარეთ გადასახვევი, სადაც რუსები იდგნენ ტანკებით. დღეს ახალმა მთავრობამ დიდი რაოდენობით რუსეთის ჯაშუშები გაუშვა და რა ვიფიქრე: კარგი გაუშვით გაუშვით, პრონციპში თავმოყვარე ქვეყანა ამას არ აკეთებს, მაგრამ არის რამდენიმე ადამიანი, რომელიც როგორც საქართველოს მზვერავი, ისე გაასამართლეს რუსებმა. თუ მაინც და მაინც რაღაცის გაკეთება გინდა, დაელაპარაკე და გაგვიცვალონ. მათ შორის არიან ქართველები, რომლებიც იმავე მუხლით არიან გასამართლებულები რუსეთში, რომლითაც რუსები იყვნენ საქართველოში. ამათზე უტყუარი მტკიცებულებები იყო და საერთოდ ეჭვს არ იწვევს ეს ამბები. ესენი აძლევდნენ კოორდინატებს, ესენი აჩვენებდნენ გზებს, თევდორე მღვდლისგან განსხვავებით, ზუსტად აჩვენებდნენ. იმათში მაინც გაგვეცვალა. ეხლა ფიქრობენ, რა კარგია ხალხი გავიდა გარეთ, მეც გამიხარდებოდა, მაგრამ ზუსტად ვიცი, ამის შემდეგ რა შეიძლება მოხდეს“, -აღნიშნა სააკაშვილმა.

მისი თქმით, მათი გათავისუფლება პრობლემაა სახელმწიფოსთვის, პრობლემაა უსაფრთხოებისთვის.

,,ჩვენ კარგად გვახსოვს 90-იანი წლები. რა თქმა უნდა, ჩვენ დავტოვეთ ისეთი პოლიცია, იმ დროსგან განსხვავებით ყველა ადგილზე კამერები დავამონტაჟეთ, პოლიცია აღჭურვილია ტექნიკით, იმედია ისეთ შედეგს არ მივიღებთ, როგორც 90-იან წლებში. მაგრამ, მე მაინც ძალიან მეშინია და არ მინდა, რომ რაც ამდენი წელი რუდუნებით უსაფრთხო გარემოს ვქმნიდით, კაცმა არ იცის, რის გამო წყალს გადავაყოლოთ“- აცხადებს სააკაშვილი.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# 190 პოლიტპატიმარი თავისუფალია

## პოლიტპატიმრების საქმეებს გრიფი „საიდუმლო" მოეხსნება

შორენა კოწოწაშვილი

**პარლამენტის მიერ ისტორიული გადაწყვეტილების — პოლიტიკური ამნისტიის ამოქმედების შემდეგ გუშინ დილიდანვე დაიწყო პოლიტპატიმართა გათავისუფლება.**

**გლდანის მერვე სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან 80-მდე მსჯავრდებული გათავისუფლდა. სულ კი სასჯელაღსრულების დაწესებულებები 190-მა პოლიტპატიმარმა დატოვა. მათ შორის არიან: პაატა სვანიძე, მამუკა შენგელია, ზურაბ ხუციშვილი, გოჩა მუხაშავრია, მერაბ რატიანი, ლევან ამირიძე, ზურაბ გელაშვილი, ზვიად ჯაჭვაძე და სხვ. ანუ გათავისუფლდნენ ადამიანები, რომლებიც 7 ნოემბრისა და 26 მაისის აქციების დროს იქნენ დაპატიმრებული, აგრეთვე ე.წ. ყინწვისის ამბოხების ბრალდებით და ტელეკომპანია „კავკასიის" სტუდიაში შეჭრისთვის დაპატიმრებული „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის" წევრები.**

გათავისუფლებულ პოლიტპატიმრებს, ოჯახის წევრებთან ერთად, ციხესთან არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პატიმრების წარმომადგენლებიც დახვდნენ და გათავისუფლება მიულოცეს.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, პრეზიდენტმა უარი განაცხადა ამნისტიის შესახებ კანონის ხელმოწერაზე, ვეტო დაადო და კანონს ხელი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა 12 იანვარს მოაწერა.

გლდანის ციხესთან იმყოფებოდა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, რომელიც ამ ამნისტიის პროექტის ავტორია.

— პირველ რიგში, მინდა მივულოცო ყველა იმ ადამიანს, რომელიც გათავისუფლდა. აქ ჩემ გვერდითაა მარლენ ნადირაძე, რომელიც 7 ნოემბრის შემდეგ ზის ციხეში. ის ერთ-ერთი პირველი პოლიტპატიმარია. ასევე ივა ჩიღვინაძე, რომელიც ოპოზიციის გვერდით იდგა ეს წლები და ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტპატიმარია. ყველა ეს ადამიანი იყო უკანონოდ დატყვევებული მთელი ამ ხნის განმავლობაში. ვულოცავ მათ და ვისურვებ, რომ არასოდეს დაბრუნდნენ უკან. ძალიან ბედნიერი ვართ, რომ მქონდა შესაძლებლობა, ამათთან ერთად დამეტოვებინა ციხის ეს საშინელი ადგილი, რომელიც ახლა გავიარე, სადაც იყო გადაღებული ციხის კადრები, — განაცხადა „ქართული ოცნების" წევრმა, დეპუტატმა ეკა ბესელიამ.

პატიმრების გლდანის ციხიდან გამოსვლას დაესწრო სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილიც, რომელმაც ამ დღეს ისტორიული უწოდა.

— დღეს ისტორიული დღეა. სამართლიანობის აღდგენის პროცესი გრძელდება. ადამიანები, რომლებიც პოლიტიკური ნიშნით იყვნენ დევნილები, თავისუფლდებიან. მიმაჩნია, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც დღეს არ მთავრდება, ის გრძელდება და ბევრი რამ კიდევ გასაკეთებელია. 10 წლის წინ ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა თქვა, რომ ერთი პოლიტიკური პატიმარიც კი ევროპაში არის ძალიან ბევრი. საქართველოში იყო ათეულობით და ასეულობით პოლიტპატიმარი. დღეს ეს პროცესი მთავრდება, — აღნიშნა სახალხო დამცველმა. უჩა ნანუაშვილს მიაჩნია, რომ ამ ადამიანებზე ზრუნვა უნდა გაგრძელდეს. მათ სჭირდებათ ფსიქოლოგიური, სამედიცინო რეაბილიტაცია, ასევე ზრუნვა და დახმარება სახელმწიფოს მხრიდან.

ციხიდან გამოსული პოლიტპატიმრები საკმაოდ მძიმე ფაქტებს იხსენებენ. ერთ-ერთი მათგანის, გეგუთის მე-14 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული დემურ მანაგაძე აცხადებს, ხელისუფლება რომ არ შეცვლილიყო, დღეს შესაძლოა ცოცხალი არ ყოფილიყო. მისი თქმით, „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლამდე მის მიმართ როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ფიზიკური ზეწოლა ხორციელდებოდა.

— წელიწადი და რვა თვე ვიყავი დაკავებული. როგორც პირუტყვებს, ისე გვექცეოდნენ. ღამით საკნებში შემოგვიცვივდებოდნენ და ბლაგვ საგნებს გვირტყამდნენ, რომ არა ხელისუფლების ცვლილება, ალბათ, ამ დრომდე ცოცხლები არც კი ვიქნებოდით, — განაცხადა მანაგაძემ, რომელიც 2011 წლის 26 მაისის მოვლენებისას პოლიციელებისთვის დაუმორჩილებლობისა და ავტომანქანის დაზიანების გამო იხდიდა სასჯელს. მას სასამართლომ 4 წლის თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

აღსანიშნავია, რომ პოლიტპატიმართა უმრავლესობა მათი საქმეების გასაჩივრებას აპირებს.

— უსუსური ბრალდება იყო. ყველაფერი იყო შეთითხნილი, შელამაზებული, თეთრი ძაფით ნაკერი. როგორ შეიძლება, ვყოფილიყავი ჯაშუშობის გამო ბრალდებული ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე?! — აცხადებს გოჩა დიასამიძე, რომელმაც პოლიტიკური ნიშნით 2 წელი და 3 თვე დაყო ციხეში. მისი თქმით, არჩევნების შემდგომ გლდანის ციხეში მდგომარეობა ცოტა გაუარესდა, მანამდე კი პატიმრებზე იყო ფსიქოლოგიური ზეწოლა. ეუბნებოდნენ, არ ელაპარაკათ და ა.შ.

„ენვერის საქმეზე ბრალდებული ტარიელ აბაშიძე კი აცხადებს, რომ, პირველ რიგში, მისი მიზანია, აღნიშნულ საქმეს ნათელი მოეფინოს და გრიფი „საიდუმლო" მოეხსნას.

— მინდა, ყველასთვის ნათელი გახდეს, რომ ჩვენ ამ საქმეში უდანაშაულოდ ვართ ჩათრეულები. ვიღაცის „შავი პიარის" გამო ჩვენ გაგვწირეს — სამსახური, კარიერა, ოჯახები დაგვატოვებინეს და ახლა თავიდან უნდა დავიწყოთ ყველაფერი. პირველ რიგში, ჩვენ უნდა დავიწყოთ სიმართლის მოძიება, რომ ეს ლაქა მოვიშოროთ. „ენვერის" სახელით, მგონი, ბავშვებსაც აშინებენ. ძალიან მრცხვენია, რომ „ენვერის" საქმის მიღმა ჩემი სახელია და მინდა, ამ საქმეს ნათელი მოეფინოს, — განაცხადა აბაშიძემ.

ციხიდან გათავისუფლებული პოლიტპატიმრები გუშინვე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დალოცა.

ციხიდან გათავისუფლებული პოლიტპატიმრების ნაწილი სამების საკათედრო ტაძარში მივიდნენ და წირვას დაესწრნენ. პატიმრების თქმით, ისინი ციხეშივე შეთანხმდნენ, რომ გათავისუფლების შემდეგ მისულიყვნენ სამების ტაძარში და ელოცათ.

პოლიტპატიმრებთან ერთად სამებაში იმყოფებოდა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი სოზარ სუბარი.

— დღეს დასრულდა ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი. საქართველოში არასოდეს მომხდარა, რომ მთავრობას პოლიტპატიმრების არსებობა ეღიარებინა. ისინი დღეს გათავისუფლდნენ. პატიმრებმა ციხიდან გამოსვლის შემდეგ თვითონ მოილაპარაკეს, რომ ამოსულიყვნენ სამებაში და სანთელი დაენთოთ, — აღნიშნა სოზარ სუბარმა, რომელიც არ ეთანხმება პრეზიდენტ სააკაშვილს, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ ამნისტიით კრიმინალები გამოვიდნენ. სააკაშვილი ფიქრობს, რომ ამდენი კრიმინალის ციხიდან გამოშვება საშიშია.





ციხის კედლები დატოვა და ოჯახს დაუბრუნდა ყინწვისის საქმეზე გასამართლებული ზურა გელაშვილიც. მას ციხესთან ორი შვილი და ოჯახის ახლობლები დახვდნენ. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, თათია გელაშვილი მასმედიით აქტიურად საუბრობდა იმ უკანონობაზე, რომელიც მამამისის მიმართ განხორციელდა და იმ წნეხზე, რომელიც ზურა გელაშვილის დაპატიმრების შემდეგ მისმა ოჯახმა გადაიტანა.

თათია გელაშვილმა სხვა პოლიტპატიმრების ოჯახის წევრებთან ერთად პოლიტპატიმართა გათავისუფლების მოთხოვნით საპროტესტო აქციაშიც მიიღო მონაწილეობა. მას დაუყადაღეს ანგარიში, სადაც ფორდმა „ქომაგმა", დახმარების მიზნით, მცირე თანხა ჩაურიცხა, როგორც პოლიტპატიმრის შვილს.

სხვათა შორის, შეიძლება ითქვას, თათია გელაშვილი პირველია პოლიტპატიმართა ოჯახის წევრებიდან, რომელიც ბოლომდე იბრძვის მისი მამის უკანონოდ დაპატიმრების გამო პროკურორისა და გამომძიებლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისთვის. თათია გელაშვილი ამბობს, რომ პროკურორი პროკოფი ჭანკოტაძე უნდა დაისაჯოს და ამ მიზნით მან პროკურატურას ჩვენება უკვე მისცა.

აღსანიშნავია, რომ პოლიტპატიმართა სიამ საკმაოდ დიდი ხმაური გამოიწვია და არაერთი მითქმა-მოთქმა იყო იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ მოხვდა საფრანგეთიდან დაბრუნებული თავდაცვის ყოფილი მინისტრი და საფრანგეთის ხელისუფლების მიერ პოლიტიკურ დევნილად აღიარებული ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტდევნილთა სიაში.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ოქრუაშვილმა თავად მიიღო გადაწყვეტილება, საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის დამარცხების შემდეგ საქართველოში დაბრუნებულიყო და სამართლებრივი გზებით ებრძოლა, სასამართლოს გზით ემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა. შეიძლება ითქვას, ამას ოქრუაშვილმა მიაღწია კიდეც, რადგან ორ ბრალდებაზე მთავარმა პროკურატურამ მას ბრალი მოუხსნა და ამ ნაწილში ოქრუაშვილი გამართლდა.

ოქრუაშვილს ბრალი მოეხსნა „ჯეოსელის" საქმეზე. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ბრალის მოხსნა ოქრუაშვილის წინააღმდეგ არასაკმარისი მტკიცებულებებით ახსნა, რაც, თავის მხრივ, მითითებული იყო პროკურატურის შუამდგომლობაში.

— მხოლოდ დაზარალებული სვანიძის ჩვენება, რომ ქიტოშვილი, რომელმაც მას წილი დაათმობინა და რომელიც მოქმედებდა თითქოსდა ოქრუაშვილის სახელით, ვერ იქნება ოქრუაშვილის დანაშაულის მტკიცებულება. საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებები მხოლოდ ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ ოქრუაშვილს დანაშაულებრივი ქმედება აქვს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ვარაუდი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს და ოქრუაშვილს ბრალი უნდა მოეხსნას 2008 წლის 28 მარტს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, — განაცხადა პროკურორმა მერაბ ჯერანაშვილმა.

დაზარალებული ჯემალ სვანიძე, რომელიც „ჯეოსელიდან" წილის გამოძალვას ოქრუაშვილს ედავებოდა, შუამდგომლობას დაეთანხმა და აღნიშნა, რომ მას კავშირი კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მაშინდელ უფროს დიმიტრი ქიტოშვილთან ჰქონდა. სვანიძის თქმით, წილის გამოძალვას მას ედავება და არა უშუალოდ ოქრუაშვილს. თუმცა მან ირაკლი ოქრუაშვილისგან სასამართლოზე ბოდიშის მოხდა მოითხოვა იმ სატელევიზიო განცხადების გამო, სადაც თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა აღნიშნა, რომ სვანიძე კომპანიის აქციებს არაკანონიერად ფლობდა. ბოდიშის მოხდა სასამართლოს ფარგლებში არ მომხდარა.

— მე საქმე მაქვს არა ოქრუაშვილთან, არამედ ქიტოშვილთან. ჩემი თვითმიზანი არ არის ოქრუაშვილის დაჭერა, თუმცა, ოქრუაშვილმა როდესაც ბრალი დამდო, რომ აქციებს არაკანონიერად ვფლობდი, ამაზე ბოდიში უნდა მომიხადოს. პრობლემა ქიტოშვილთან მაქვს და არა ოქრუაშვილთან. ოქრუაშვილს ჩემთვის წილი არ გამოუძალავს და პროკურატურის შუამდგომლობას ვეთანხმები, — განაცხადა ჯემალ სვანიძემ.

შეგახსენებთ, რომ ირაკლი ოქრუაშვილს „ჯეოსელის" ეპიზოდში ბრალად ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რაც ქრთამის გამოძალვას გულისხმობს აქციების უკანონოდ მითვისებით. აღნიშნულ საქმეზე ოქრუაშვილს 11 წლის თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ოქრუაშვილმა სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, რის შემდეგაც საქმის განხილვისას მთავარმა მოწმემ, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ყოფილმა თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილმა სააპელაციო სასამართლოში ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ ოქრუაშვილის წინააღმდეგ პირველი ჩვენება სამართალდამცველების მხრიდან ზეწოლის შედეგად მისცა. ამის შემდეგ პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ოქრუაშვილს „ჯეოსელის" ეპიზოდზე ბრალი მოეხსნას.

პატიმრობიდან 15 ათასი ლარის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებული ირაკლი ოქრუაშვილი უახლოეს დღეებში აპირებს იმაზე საუბარს, რატომ ვერ მოხვდა ის პოლიტდევნილთა სიაში და გააგრძელებს თუ არა აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას.

დღეს საზოგადოების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ ოქრუაშვილი ეკა ბესელიამ დაბლოკა, ანუ ადამიანის უფლებათა კომიტეტის ხელმძღვანელმა ეკა ბესელიამ, რომელიც ოქრუაშვილის პირადი ადვოკატი და მისი „ქართული პარტიის" გენერალური მდივანი იყო, გამიზნულად არ ჩასვა პოლიტიკურ დევნილთა სიაში და ამით ნაწილობრივ სამაგიერო გადაუხადა ოქრუაშვილს.

იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ვერ მოხვდა ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტპატიმართა სიაში, კომენტარი ვთხოვეთ სისხლის სამართლის პროფესორს, ყოფილ მოსამართლე ნინო გვენეტაძეს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ამ სიის შედგენაში.

— მე, პირადად, შემიძლია გითხრათ, რომ უდიდესი პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ ამ საქმეს. ჩვენმა საზოგადოებამაც და ოპონენტებმაც უნდა გაითავისონ, რომ ეს არ იყო პოლიტიკური სასამართლო. აქ იყო პოლიტიკურ-სამართლებრივ ჭრილში საკითხების გადახედვა, ანუ პოლიტიკური ნიშნის, პოლიტიკური მოტივაციის წინა პლანზე გამოტანა. ამიტომ ჩვენ იქ უდანაშაულობა-დამნაშავეობის საკითხი არ განგვიხილავს, არც სხვა შეფასებები გაგვიკეთებია პირადი ან ვინმეს დაკვეთით. ჩვენთვის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია და იქ ჩამოთვლილი კრიტერიუმები იყო სახელმძღვანელო. მხოლოდ ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით გავაკეთეთ ჩვენი შეფასებები. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: მხოლოდ პოლიტიკური მოტივაცია იყო განმსაზღვრელი კრიტერიუმი გადაწყვეტილების მისაღებად. რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილის საკითხს, ძალიან სერიოზული თემაა. იყო მიღებული ერთი ვარიანტი, თუმცა, არ იყო პარლამენტის მიერ მიღებული, რომ ოქრუაშვილი მოხვედრილიყო პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა სიაში. მოგეხსენებათ, ოქრუაშვილს საფრანგეთის ხელისუფლების მიერ აქვს მინიჭებული პოლიტიკური დევნილის სტატუსი. ამ შემთხვევაში მაშინ გათვლა იყო ასეთი, რომ პოლიტიკური დევნის პირობებში ირაკლი ოქრუაშვილს მისცემოდა სამართლიანი სასამართლოს შანსი. მოგეხსენებათ, მან მოვლენებს დაასწრო და თვითონ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში დაბრუნების შესახებ. დღეს ის სასამართლო პროცედურებს გადის. მე მხოლოდ ასეთი კომენტარი შემიძლია გავაკეთო. დანარჩენი, მოვლენებს დაველოდოთ. დღეს მას პოლიტიკური დევნილის სტატუსი არ აქვს.

***— ოქრუაშვილი საქართველოში რომ არ ჩამოსულიყო, მას პოლიტდევნილის სტატუსი ექნებოდა?***

— არა, ასე ცალსახად არ იქნებოდა. მან დაასწრო პროცესს იმიტომ, რომ ჩამოვიდა მანამ, სანამ პარლამენტი დაამტკიცებდა პოლიტიკურ დევნილთა სიას. მაგრამ, იქნებოდა თუ არა, მე ამაზე დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი, რადგან სამუშაო ჯგუფმა რამდენჯერმე შეცვალა თავისი პოზიცია. თქვენ იცით, რომ სამუშაო ჯგუფი მხოლოდ რეკომენდაციებს ამზადებდა და საბოლოო გადაწყვეტილებას ის არ იღებდა. რამდენიმე ვარიანტი მისი პოლიტდევნილთა სიაში მოხვედრის შესახებ, რასაკვირველია, არსებობდა, მაგრამ, ვიმეორებ, მისმა ჩამოსვლამ ძალიან ბევრი რამ შეცვალა შემდგომ. სესიაზე მისი საკითხი განხილული არ ყოფილა.

დაბოლოს, საინტერესოა ის საქმეები, რომლებსაც გრიფი „საიდუმლო" ადევს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარემ და ამნისტიის ერთ-ერთმა ავტორმა ეკა ბესელიამ განაცხადა, პოლიტპატიმართა საქმეებს გრიფი „საიდუმლო" აუცილებლად მოეხსნება.

— საზოგადოებამ ნახოს, ვის ეძახდა სააკაშვილი ჯაშუშებსა და მოღალატეებს. საზოგადოებამ განსაჯოს, როგორ სამარცხვინოდ ხდებოდა ამ საქმეების შეთხზვა. ყველა ფურცელი უნდა გახდეს საჯარო და ამის შემდეგ მათ არ დარჩებათ არაფერი სალაპარაკო, — განაცხადა ეკა ბესელიამ გლდანის მე-8 საპყრობილესთან. მისი თქმით, ძალიან დიდი სირცხვილი იყო, რომ ქვეყანას ამ დრომდე ჰყავდა სააკაშვილის პირადი მძევლები და პატიმრები.

— რაც არ უნდა თქვას სააკაშვილმა და როგორი ღვარძლიანი განცხადებებიც არ უნდა აკეთოს, ვისაც არ უნდა ეძახოს ხალხის მტერი და ჯაშუში, ფაქტია, რომ ყველაზე დიდი ბოროტება, რაც მან გააკეთა, არის ის, რომ პოლიტპატიმრები ჰყავდა. დღეს ჩვენ სააკაშვილის პირადი მძევლები და პატიმრები გავათავისუფლეთ, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

# სანდრო თვალჭრელიძე: „საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა უნდა იყოს“

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ ექსპერტ სანდრო თვალჭრელიძესთან



***— ბატონო სანდრო, როგორია თქვენი დამოკიდებულება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით? როგორც ცნობილია, კონსტიტუციაში არსებობს ჩანაწერი, რომ პრეზიდენტს ხუთი წლის ვადით ვირჩევთ, მაგრამ იქვეა ჩანაწერი, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ოქტომბერში ტარდება. 20 იანვრის შემდეგ ვადა უნდა გაუგრძელდეს სააკაშვილს?***

— ასეთი ინტერპრეტირების შესაძლებლობა რომ არ იყოს, ამიტომ კონსტიტუცია წესიერად უნდა დაიწეროს. როდესაც კონსტიტუციაში წერია, რომ პრეზიდენტი ხუთი წლის ვადით არის არჩეული, ეს უფრო მნიშვნელოვანი მუხლია, ჩემი აზრით, ვიდრე ის მუხლი, რომ არჩევნები ოქტომბერში უნდა ჩატარდეს. 20 იანვარს, ჩემი აზრით, პრეზიდენტს უფლებამოსილების ვადა მართლაც უნდა ამოეწუროს.

***— თუმცა, რამდენად შეძლებს ხელისუფლება, დაარწმუნოს უცხოელი პარტნიორები ამ საკითხთან დაკავშირებით? როგორც პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა განაცხადა, ეს მათ გაუჭირდებათ.***

— შეიძლება, მართლაც გაჭირდეს, მაგრამ, ჩემი აზრით, ძალაში უნდა შევიდეს კონსტიტუციის ის მუხლები, რომლებიც პრეზიდენტის ძალაუფლებას მკვეთრად ზღუდავს. ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები უნდა მოხდეს და შევიდეს ძალაში. მე მეჩვენება, რომ ეს ცვლილებები უნდა მოხდეს.

***— 15 იანვრიდან ახალი ცვლილებების პროექტის საერთო-სახალხო განხილვა დაიწყება. თქვენ ეთანხმებით ამ ცვლილებებს?***

— რასაკვირველია, ვეთანხმები. არ შეიძლება ის, რაც ახლა ხდება. შეუძლებელია, პრეზიდენტს ასეთი განუზომელი ძალაუფლება ჰქონდეს. არ შეიძლება, დაინიშნოს გუბერნატორად პირი, რომელიც ძიებაშია.

***— გულისხმობთ სამეგრელო-ზემო სვანეთში თენგიზ გუნავას დანიშვნას პრეზიდენტის მიერ...***

— დიახ. ეს გადაწყვეტილება, შეიძლება ითქვას, პროვოკაციულია.

***— ფიქრობთ, რომ პრეზიდენტის მხრიდან აღნიშნული გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ ერთგვარი გამოწვევაა?***

— რასაკვირველია, ეს არის გამოწვევა.

***— კოჰაბიტაციასთან საერთო არაფერი აქვს? კოჰაბიტაციაზე მინდა გკითხოთ...***

— ქართულ ენაში არსებობს ძალიან კარგი ტერმინი, რომელსაც თანაცხოვრება, თანაარსებობა ჰქვია. კოაბიტაცია ფრანგული ტერმინია და სწორედ თანაცხოვრებას, თანაარსებობას ნიშნავს. „კოჰაბიტაციას“ ტერმინის ამ ვარიანტსაც ამბობენ, რაც არ არის სწორი, რადგან ტერმინი ფრანგული წარმოშობის არის და არა – ლათინური. თანაარსებობა, საერთოდ, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ასეთი ტიპის კოაბიტაციას ახლა ადგილი აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც სენატის უმრავლესობა „რესპუბლიკელია“. დემოკრატიულ სამყაროში ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ჩვენს სიტუაციაში, პირველ რიგში, ნორმალური კანონი უნდა არსებობდეს და შემდეგ ეს კანონი უნდა კანონობდეს. ჩვენ ჯერჯერობით ასეთი მაგალითი არ გვაქვს. მე ვფიქრობ, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება, დაიწმინდება და კოაბიტაციაც თავის ჩვეულ ფარგლებში შევა, ყველაფერი რიგზე იქნება. კოაბიტაციის შემდეგ როგორი იქნება ჩვენი უმცირესობის ბედი, უკვე ეს სხვა საკითხია.

***— „ნაციონალური მოძრაობის“ მომავალს გულისხმობთ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში?***

— დიახ. როგორ უყვარს საქართველოს მოსახლეობას „ნაციონალური მოძრაობა“, ეს ჩემზე კარგად მოგეხსენებათ.

***— „ენდიაის“ ბოლო გამოკითხვებით, მათი რეიტინგი ცნობილია.***

— დიახ, ცნობილია, ამიტომაც ვამბობ. რასაკვირველია, უმრავლესობას უნდა ჰყავდეს ოპოზიცია, სხვანაირად წარმოუდგენელია. თუნდაც იმისთვის, რომ უმრავლესობას კონტროლო გაუწიოს, მაგრამ უმცირესობა კონსტიტუციურ ფარგლებში უნდა იყოს. არ შეიძლება, მაგალითად, ისეთი წესით იყოს ფორმირებული იუსტიციის საბჭო, როგორიც ახლაა.

***— ბატონო სანდრო, ფიქრობთ, რომ შეიძლება სხვა ოპოზიცია გამოჩნდეს პოლიტიკურ ასპარეზზე?***

— „ნაციონალურ მოძრაობაში“ არიან ადამიანები, ახალგაზრდები, რომლებსაც ხელი სისხლშია არ აქვთ გასვრილი. არ მესმის, ამ ადამიანებმა თავიანთი ცხოვრება რატომ უნდა შესწირონ ერთ ადამიანს. ვფიქრობ, რომ ეს ადამიანები მოახერხებენ, რომ შექმნან ახალი პარტია. შეიძლება იმავე სახელით ან სხვა სახელით, მაგრამ ეს პარტია იქნება სახეშეცვლილი, ნორმალური, პოლიტიკური ძალა და არა ძალადობის გამომხატველი ადამიანთა ჯგუფი.

***— რომ გვითხრათ, ვინ ვერ წარმოგიდგენიათ ამ ახალ სივრცეში?***

— ვერ წარმოგვიდგენია ის ადამიანები, რომლებიც ცხრა წლის მანძილზე მართავდნენ ამ სახელმწიფოს და რომლებმაც ძალადობა და სიძულვილი დათესეს. მაგრამ ისინი ხომ ბევრნი არ არიან, დაახლოებით 200-მდე კაცია. ვერ წარმომიდგენია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, საკვანძო ფიგურები, რომლებიც იყვნენ მაშინ სარბიელზე კვლავ იყვნენ პოლიტიკურ ასპარეზზე.

***— უფრო კონკრეტულად ვის გულისხმობთ?***

— მაგალითად, ზურაბ ადეიშვილი, ვანო მერაბიშვილი, ვერ წარმომიდგენია, ისინი დარჩნენ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და გააგრძელონ მოღვაწეობა, როგორც პოლიტიკოსებმა. ვფიქრობ, ისინი ქართველი საზოგადოებისგან ერთ ხმასაც ვერ მოიპოვებენ. ვიმეორებ, არჩევნებში ერთ ხმას ვერ მიიღებენ.

***— კონკრეტულად პრეზიდენტ სააკაშვილის მომავალი როგორ წარმოგიდგენიათ?***

— ეს პირადად მასზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ შეეგუება ის ძალაუფლების წართმევას. ცხრა წლის განმავლობაში დაუსჯელობის სინდრომმა მკვეთრად უარყოფითად იმოქმედა მის პიროვნებაზე. მე ადრე პირადად ვიცნობდი სააკაშვილს, დღეს ვხედავ მას ტელევიზორიდან და ეს არის ორი სხვადასხვა პიროვნება.

***— თქვენ სხვანაირ სააკაშვილს იცნობდით?***

— მე ვიცნობდი მას, როდესაც ის ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოვიდა. მაშინ ის მართლა დემოკრატი მეგონა. როგორც ჩანს, მეშლებოდა. ეტყობა, მის ხასიათში იყო ისეთი რამ, რამაც პიროვნების უკუსვლა გამოიწვია. სააკაშვილი უდავოდ ნიჭიერი ადამიანია, ჭკვიანია და ძირითადი მისი ნიშანი არის თვითგადარჩენის ინსტინქტი. ეს ინსტინქტი დიდი ხანია მოქმედებს და სწორედ ამის გათვალისწინებით მოხდა ძალაუფლების ხავერდოვნად გადაცემა, უფრო ზუსტად კი – ძალაუფლების ნაწილის გადაცემა.

***— ბატონო სანდრო, თქვენ საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე ხართ თუ ძლიერი პრეზიდენტის?***

— არა, რასაკვირველია, მე მომხრე ვარ საპარლამენტო რესპუბლიკის, რომელიც საქართველოსთვის ქვეყნის მართვის ყველაზე კარგი მოდელია, ჩემი აზრით. მირჩევნია, პირველი პირის გადაყენება პარლამენტის უმრავლესობით იყოს შესაძლებელი, ვიდრე სრული ძალაუფლების უზურპატორი პრეზიდენტი გვყავდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალაუფლების უზურპაცია, რომელიც მოხდა, გაგრძელდება.

# საავტომობილო გზის კობი–გუდაურის მონაკვეთზე მოძრაობა აღდგა

საავტომობილო გზის კობი-გუდაურის მონაკვეთზე მოძრაობა აღდგა.

როგორც „პირველს“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გზების დეპარტამენტიდან აცნობეს, კობი-გუდაურის მონაკვეთზე არსებული გვირაბების შესასვლელ-გასასვლელები ჩამოწოლილი 5-6 მეტრიანი ზვავებისაგან გაიწმინდა და გზის აღნიშნულ მონაკვეთზე გადაადგილება ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებისათვის შესაძლებელია.

აღნიშნულ მონაკვეთზე თოვლის საფარის გაწმენდით სამუშაოებში დღეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ შოთა მურღულიამ მიიღო მონაწილეობა.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ოპერატიულობის შედეგია, რომ მიუხედავად უხვი ნალექისა, კობი-გუდაურის, ასევე ცენტრალური მაგისტრალის და რაიონულ ცენტრებთან დამაკავშირებული მონაკვეთები ხანგრძლივად არ ჩაკეტილა და მოძრაობის შეფერხება მინიმუმამდე იყო დაყვანილი“.

ვიდრე ბუნებრივი პირობების გამო, გზის გაწმენდის სამუშაოები დაიწყებოდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დახმარებით, ყაზბეგის რაიონში ჩარჩენილი ქალების და ბავშვების ტრანსპორტირება ვერტმფრენით მოახდინა. მათივე დახმარებით მოხერხდა ზვავში მოყოლილი რუსი მთასვლელების დედაქალაქში დროულად გადმოსვენებაც.

ამჟამად, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-ლარსის მონაკვეთზე მაღალი გამავლობის ტრანსპორტისთვის მოძრაობა თავისუფალია. გადაადგილება შეზღუდულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსებისათვის. დანარჩენი სახის ავტროტრანსპორტისთვის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით.

აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობით და კოორდინაციით განხორციელდება.

**პირველი**



# ლალი მოროშკინა: „სააკაშვილის რეჟიმი დღეს დამარცხდა“

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მრჩევლის ლალი მოროშკინას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი დღეს რეალურად დამარცხადა.

აღნიშნული განცხადება მოროშკინამ რუსთავის მე-17-ე საპყრობილესთან პოლიტპატიმრების გათავისუფლების შემდეგ გააკეთა.

„დღეს დიდი დღეა არა მხოლოდ პოლიტპატიმრების ოჯახებისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის იმიტომ, რომ დღეს რეალურად დამარცხდა რეჟიმი. რეჟიმი, რომელიც ებრძოდა სამშობლოს სიყვარულისთვის განწირულ ვაჟკაცებს, იმ თაობას, რომელმაც უნდა ააშენოს მომავალი საქართველო.

ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მთავრობამ და პარლამენტმა შეძლეს ის, რასაც ამდენი ხანი აფუჭებდა რეჟიმი და ამ რეჟიმის დასასრულია დღეს“,– განაცხადა მოროშკინამ.

**მედიანიუსი**

# „საპრეზიდენტო არჩევნებამდე კოალიცია „ქართული ოცნება“ არ უნდა დაიშალოს“

თამარ ნინიძე

**კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, ადვოკატი დავით კუპრეიშვილი მიიჩნევს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში კოალიციას ერთიანი შეთანხმებული კანდიდატი უნდა ჰყავდეს. „ახალი თაობა“ დავით კუპრეიშვილს ქუთაისში დაუკავშირდა.**

***— როგორია თქვენი პოზიცია მოსალოდნელ საკონსტიტუციო ცვლილებებზე? სააკაშვილს უფლებამოსილებები ეზღუდება.***

— ამჟამად ორი ცვლილებაა მომზადებული. ერთია ქუთაისიდან თბილისში პარლამენტის გადმოტანის ცვლილება. მეორე საკითხი ეხება პრეზიდენტს, რომ მას ჩამოერთვას ერთპიროვნულად მთავრობის დათხოვნის უფლება. აქ საპარლამენტო უმცირესობა გაიბრძოლებს, იმიტომ რომ მათ არ უნდათ, აწყენინონ თავიანთ პრეზიდენტს. ამ ცვლილებამ ყველას უკმაყოფილება გამოიწვია და აღნიშნავდნენ, რომ ეს არის ხელისუფლების უზურპაცია. ახლა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ მყოფი პოლიტიკური ორგანიზაციების დიდმა უმრავლესობამ მაშინვე გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება ამ ცვლილებისადმი. სააკაშვილს ჰქონდა საკონსტიტუციო უმრავლესობა და, როგორც სურდა, ისე ჭრიდა და კერავდა ამ კონსტიტუციას. ახლა ახალმა მთავრობამ შესთავაზა გონივრული წინადადება, რომ პარლამენტისა და მთავრობის დათხოვნის ნორმა შეიცვალოს და პრეზიდენტს არ ჰქონდეს ეს უფლება, სანაცვლოდ სთავაზობენ, თუ მას სურს პარლამენტის დათხოვნა, არჩევნებიდან ექვსი თვის განმავლობაში არ შეუძლია ამის გაკეთება. ახალი კანონით სამი თვის შემდეგაც შეუძლია პრეზიდენტს ამის გაკეთება, მაგრამ ის ვერ დაითხოვს მაშინვე მთავრობასაც. ძველი მთავრობა იქნება და ახალი პარლამენტი როცა აირჩევა, ის დაამტკიცებს ახალ მთავრობას. საყოველთაო სახალხო განხილვა იწყება. ყველა დიდ ქალაქსა და რეგიონულ ცენტრში იქნება ამ ცვლილებების განხილვა. ამ კომისიის შემადგენლობაში აკაკი მინაშვილიც არის, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი. ვნახოთ, თუ აქვს უმცირესობას საწინააღმდეგო არგუმენტი. იმედი მაქვს, საკონსტიტუციო უმრავლესობა შეიკრიბება და ამ ცვლილებებს კოალიცია გაიტანს.

***— ივანიშვილის საყოველთაო შერიგება და თანამდებობის პირთა ამნისტია რას გულისხმობს და ასევე მაინტერესებს თქვენი, როგორც იურისტის აზრი სააკაშვილის ხუთპუნქტიან შეთავაზებაზე ახალი ხელისუფლების მიმართ.***

— პირველ რიგში სააკაშვილის შეთავაზებაზე ვისაუბრებ. ეს ხუთპუნქტიანი წინადადება არის ბლეფი. მან ამ ხუთპუნქტიან გეგმაში არაფერი თქვა, ჩემს მომხრეებს ნუ იჭერთ და დაკითხვაზე ნუ იბარებთო, ამბობს. მთელი ცხრა წელი ნაცმოძრაობა მართავდა სახელმწიფოს და არავის არაფერს ეკითხებოდა. მილიონობით გაფლანგული ფულის გამო, აბა, პასუხი ვის უნდა მოეკითხოს? ქუჩებში უდანაშაულოდ დახოცილი ახალგაზრდების გამო პასუხი ამათ არ მოეკითხებათ? ისეა გათავხედებული სააკაშვილი, ამბობს, არათუ არ დაიჭიროთ, დაკითხვაზეც კი არ დაიბაროთ, დავით საყვარელიძე და როლანდ ახალაია კი ტელევიზიით საჯაროდ მოგცემთ ჩვენებებსო. ეს კრეტინიზმია. ივანიშვილის შერიგების აქტს რაც შეეხება, აქ მიდის სერიოზული მუშაობა. სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატი ჩათრეული იყო ნაცმოძრაობის ტოტალიტარულ სისტემაში. უნდა გასამართლდეს ამ სისტემის მხოლოდ ხელმძღვანელი რგოლები და არა რიგითი თანამშრომლები, თუმცა ეს ადამიანები სახელმწიფო სამსახურში მაინც არ უნდა დარჩნენ.

***— ლევან ბერძენიშვილმა და დავით უსუფაშვილმა არ გამორიცხეს იმის შესაძლებლობა, რომ კოალიციის სუბიექტებმა ადგილობრივ არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ კოალიცია იშლება?***

— ბატონ ლევანს რომ ეთქვა, მე ასე ვფიქრობ, ასე მიმაჩნია, მაშინ ასეთი აჟიოტაჟი არ ატყდებოდა. ეს მათი კერძო აზრია და დეპუტატს უფლება აქვს, გამოხატოს თავისი პოზიცია.

***— როგორ ფიქრობთ, კატეგორიული ტონით ისაუბრა ამ შესაძლებლობაზე ბერძენიშვილმა?***

— არა, ტონი კი არ იყო კატეგორიული, უბრალოდ, ასე გაიგო საზოგადოებამ. ჟურნალისტებმაც ასე გაიგეს.

***— ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ რესპუბლიკელები თავს აძლევენ უფლებას, კოალიციის სახელით ილაპარაკონ. მაჟორიტარების წარდგენის დროსაც ატყდა ხმაური. ზედმეტად ამბიციურ განცხადებებს ხომ არ აკეთებენ რესპუბლიკელები?***

— არა და არა. როცა ეს ლევან ბერძენიშვილმა თქვა, იმავე დროს კომენტარი გააკეთა ამაზე თინა ხიდაშელმა. მან გარკვევით თქვა, რომ ეს არის ბატონი ლევანის კერძო აზრი. პოლიტსაბჭოზე ასეთი საკითხის განხილვა ჯერ არ ყოფილა, ეს თქვა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა იყოს ამ საკითხის განხილვა. მანამდე კი საპრეზიდენტო არჩევნებია დღის წესრიგში. აქ დიდი ბრძოლა იქნება გადასატანი. სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს, რათა საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატი გაიყვანოს, ცდილობს, შემოდგომამდე სახელი გაუტეხოს ახალ ხელისუფლებას. კოალიციის მთელი ძალები მიმართული უნდა იყოს საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მზადებისკენ. არ იქნება სწორი, რომ კოალიციიდან რამდენიმე კანდიდატი იყოს დასახელებული. კოალიცია ერთიანი კანდიდატით უნდა გამოვიდეს. კოალიციამ შეიძლება ალიანსი შეკრას რომელიმე სხვა პარტიასთან.

# ნაციონალებმა თეა წულუკიანის მამის მიერ ხელმოწერილი სიკვდილმისჯილთა სია გამოაქვეყნეს

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალებმა გადაწყვირეს სერიოზულად შეუტიონ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს. რომელიც 1 ოქტომბრის შემდეგ მათ მოსვენებას არ აძლევს. თავად თეა წულუკიანს ვერაფერი ამოუქექეს და გადაწყვიტეს მამის ცოდვებისთვის მოსთხოვონ პასუხი.

ამ თემაზე საუბარი დეპუტატმა თინათინ ბოკუჩავამ წინა კვირაში დაიწყო. მის განცხადებებს საზოგადოებაში არაერთგავროვანი რეაქცია მოჰყვა. საზოგადოება მიიჩნევს, რომ შვილს მამის ნამოქმედარზე პასუხი არ უნდა მოსთხოვო.

თინათინ ბოკუჩავას პასუხი თეა წულუკიანმაც გასცა. ამის შემდეგ ყველამ ჩათვალა, რომ ნაციონალები გაჩერდებოდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად.

საპარლამენტო უმცირესობის წევრმა, თინათინ ბოკუჩავამ „ფრონტ.ნევს“-ის პრესკლუბში გამართულ შეხვედრაზე იმ სიკვდილმისჯილთა სია წარმოადგინა, რომელსაც ხელი იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის მამამ, ავთანდილ წულუკიანმა მოაწერა.

სიაში 20 ადამიანის გვარია შესული. ესენი არიან:

1. ბადრი ვახტანგის ძე მაწონაძე;
2. კიკუშა ჯვებეს ძე გრიგოლავა;
3. სულიკო ყარამანის ძე ცეცხლაძე;
4. რომული ლეონიდის ძე გოგისვანიძე;
5. მამუკა ზაურის ძე ჭიკაიძე;
6. მალხაზ შოთას ძე მინდაძე;
7. ალადინ მაილოღლი ნამაზოვი;
8. გულივერ ორდენის ძე ზარანდია;
9. ზვიად იოსების ძე ბეროშვილი;
10. მიხეილ ნესტორის ძე ჩერქეზია;
11. ზურაბ სურენის ძე მარქარიანი;
12. ბესარიონ ზურაბის ძე ქართველიშვილი;
13 . ირაკლი გივის ძე კერესელიძე;
14. ბაგრატ როსტომის ძე კერესელიძე;
15. ანზორ ირაკლის ძე მიმინოშვილი;
16. გიორგი ვახტანგის ძე ასლამაძე;
17. გელა ვიქტორის ძე გოჩიაშვილი;
18. ზაურ ალექსანდრეს ძე ქართველიშვილი;
19. კუკური აკაკის ძე ჭყოიძე;
20. საակ ვილენის ძე შირაჩიანი.

დეპუტატ ბოკუჩავას ინფორმაციით, ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნებებისათვის სასჯელის უმაღლესი ზომის –– სიკვდილით დასჯის განაჩენი 1991-1996 წლებშია გამოტანილი. აღნიშნული 20 განაჩენიდან 11 მას შემდეგ იქნა გამოტანილი, რაც პარლამენტმა 1996 წელს აქტიურად დაიწყო მუშაობა კანონმდებლობით სიკვდილით დასჯის განაჩენის აკრძალვაზე.

– )ავთანდილ წულუკიანმა 20 სასიკვდილო განაჩენიდან 11-ს ხელი მას შემდეგ მოაწერა, რაც პარლამენტმა აქტიურად დაიწყო მუშაობა საქართველოში სასჯელის უმაღლესი ზომის, სიკვდილით დასჯის აკრძალვაზე. მას შეეძლო რამდენიმე თვე მოეცადა კანონპროექტის ძალაში შესვლამდე და თავიდან აეცილებინა უკიდურესი სასჯელის გამოტანა, რადგან მოსამართლეს აქვს საკმარისი ბერკეტები სასჯელის აღსრულების ვადის გადასაწევად, თუმცა მან ეს არ გააკეთა და 11 ადამიანის სიცოცხლე გაწირა, როდესაც სულ რამდენიმე თვეში ამ ხალხისთვის სიცოცხლის შენარჩუნება კანონმდებლობით იქნებოდა შესაძლებელი, – განაცხადა თინათინ ბოკუჩავამ.

საინტერესოა რისი დამტკიცება სურთ ამით ნაციონალებს? ან რას ნიშნავს შვილებისთვის მამის ნამოქმედარზე პასუხის მოთხოვნა. და თუ მაინც ასე ძალიან გსურთ წარსულის გახსენება საკუთარ თანაპარტიელებს და მათ მამებსაც მოჰკითხეთ ცოდვები.

და იქნებ ისიც აგვიხსნას ვინმემ რას ნიშნავდა პრეზიდენტის განცხადება ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ. ვინმემ აფვიხსნას, რატომ ხოცავდნენ ქუჩაში უდანაშაულო ახალგაზრდებს ბოლო 9 წლის განმავლობაში. და არც სვანეთში ჩატარებული სამხედრო ოპერაცია დაგავიწყდესთ. საუბარია ეცერში ჩატარებულ ოპერაციაზე. 4 ადამიანის ასაყვანად 10 ვერტმფრენი და 1200 სპეცრაზმელი, რომ იქნა გამოყენებული. ამ ოპერაციის დროს ევგენი აფრასიძე ცოცხლად დაწვეს.

სამწუხაროდ ასეთი დანაშაულები ხშირად ხდებოდა. ძალიან ცუდი თუ ავთანდილ წულუკიანმა 20 ადამიანის სასიკვდილო განაჩენს მოაწერა ხელი. მაგრამ მაშინ ასეთი სასჯელი არსებობდა.

თეა წულუკიანის ადვოკატობის სურვილი ნაკლებად გვაქვს, მაგრამ ნამდვილად არ შეიძლება მამის ქმედებებზე შვილს მოსთხოვო პასუხი.

# სააკაშვილმა ახალი გუბერნატორები დანიშნა

## რა ნიშნით შეარჩიეს ხათუნა ოჩიაური და ანდრო ბარნოვი



შორენა მარსაგიშვილი

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი კარგა ხანია გუბერნატორის გარეშეა დარჩენილი. ეს პოსტი ცეზარ ჩოჩელმა არჩევნების მეორე დღესვე დატოვა. ეს არცაა გასაკვირი, ამ რეგიონში არჩევნები ქართულმა ოცნებამ პირწმინდად მოიგო. ამ მხარეში გუბერნატორის დანიშვნას სააკაშვილი ალბათ ამიტომ არ ჩქარობდა.

„ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები შიდა ქართლის რეგიონშიც სუფთად მოიგო. ამ რეგიონში მაჟორიტარებიცა და გამგებლებიც ქართული ოცნებიდან არიან. მრავალნატანჯმა სააკაშვილმა გადაწყვტა ამ რეგიონებს მიხედოს.

ამ დღეებში მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში პრეზიდენტის ახალი რწმუნებულები წარადგინა. ქვეყნის პირველი პირის გადაწყვეტილებით, ხათუნა ოჩიაურმა გუბერნატორის თანამდებობა მცხეთა-მთიანეთში დაიკავა, რომელმაც რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი კიკნაველიძე შეცვალა, ხოლო ანდრო ბარნოვი გუბერნატორის რანგში შიდა ქართლში გააგრძელებს მუშაობას.

პრეზიდენტის კაბინეტში შეხვედრისას,... მიხეილ სააკაშვილმა ქვეყანაში თვითმმართველობის ინსტიტუტების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მანვე განსაკუთრებული ყურადღება ხათუნა ოჩიაურისა და ანდრო ბარნოვის გამოცდილებაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მსგავსი გამოცდილებისა და წარმატების მქონე პოლიტიკოსების გუბერნატორებად დანიშვნა.

შეხვედრისას საქართველოს პრეზიდენტმა ამნისტიის შესახებ კანონზეც ისაუბრა. მან კიდევ ერთხელ გააკრიტიკა პარლამენტის გადაწყვეტილება. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით ამ კანონის მიღებით, პარლამენტმა რუსეთის ჯაშუშების, კრიმინალებისა და სხვა მძიმე დამნაშავეების გათავისუფლებით ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აიღო.

ქვეყნის პირველმა პირმა კიდევ ერთხელ დაგმო ის ზეწოლა, რომელიც სასამართლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებზე ხორციელდება,მიხეილ სააკაშვილისთვის ასევე მიუღებელია ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა და ის პოლიტიკური თუ სამართლებრივი ზემოქმედება, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება პოლიტიკურ ოპონენტებზე.

საინტერესოა რა ნიშნით შეარჩია მან კანდიდატები. ხათუნა ოჩიაური პარლამენტში ხშირად აქტიურობდა, მაგრამ თავის რეგიონზე ერთხელაც არ დასცდენია სიტყვა. და ახლა რას იზამს ვითომ?

# მარინა კაჟაშვილი; „ბატონო სააკაშვილო, ნუ გვიბიძგებთ ალტერნატიული საპრეზიდენტო არჩევნებისკენ!“

შორენა მარსაგიშვილი

**სანაკოევის მთავრობის ყოფილი იუსტიციის მინისტრი მარინა კაჟაშვილი საქართველოს პრეზიდენტს თანამდებობის დატოვებისკენ მოუწოდებს. 23 წლის განმავლობაში დევნილობაში მყოფს, დიდხანს ჰქონდა იმედი, რომ მშობლიურ ცხინვალში დაბრუნდებოდა. ეს იმედი აგვისტოს ომის შემდეგ ჩაუქრა. რაღაც პერიოდი პოლიტიკურ პროცესებში არ ერეოდა, ახლა კი ისევ გააქტიურდა. სხვათა შორის იუსტიციის სახლების შექმნის იდეა მას ეკუთვნის. იუსტიციის სახლების იდეის მოპარვაზე ის უკვე ესაუბრა „ახალ თაობას“. ახლა მარინა კაჟაშვილი იმაზე საუბრობს თუ რატომ უნდა გადადგეს პრეზიდენტი.**




**მარინა კაჟაშვილი:**

– ოცდასამი წელი თითოეული დილა თენდებოდა იმ იმედით, რომ ჩვენს კერიას უნდა დავბრუნებოდით, მაგრამ ამაოდ... ეს იმედი საბოლოოდ ჩაქრა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, როდესაც ტკივილს ტკივილი დაემატა, ტრაგედიას ტრაგედია,მსხვერპლს მსხვერპლი და ზარალს ზარალი, რომელმაც პოლიტიკური სიტუაცია გამოუვალ ჩიხში შეიყვანა და წლებით, უკან ჩარჩენილების ეპოქაში გადაგვაგდო, მათი ხელით ვინც ,,ჩარჩენილებს“ უწოდებს საკუთარ ხალხს! ვინ მოიფიქრებდა თუ ნახევრად უკვე დაწყობილ ქართულ-ოსურ ურთიერთობებში ისევ დიდი ბზარი გაჩნდებოდა! ხშირად ვფიქრობ რატომ? რისთვის? მე ხომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოფელი ქურთა, ევროსტანდარტების შესაფერისად აშენებული ჯერ კიდევ, აგვისტოს ომამდე 6 თვით ადრე დავტოვე. რა მოხდა ისეთი, რომ ცა მოწმენდილზე უცებ ასეთი ცივილური მასშტაბების ომი შედგა. ომი, რომელიც ჩემი აზრით, მსოფლიო დიდი პოლიტიკის შეცდომა იყო. მისი თავიდან აცილების უამრავი საშუალება არსებობდა, მაგრამ ეს გამოიწვია ქართულ პოლიტიკაში ახალგაზრდა არადიპლომატი პოლიტიკოსებისა და მრჩევლების მოსვლამ, რომლებიც დღესაც ურცხვად სკამებისათვის იბრძვიან!

*– მიგაჩნიათ, რომ ომი ქართულმა მხარემ დაიწყო?*

– უსუსურად მეჩვენება კითხვა თუ ვინ დაიწყო ომი? სააკაშვილმა თუ რუსულმა მხარემ? ეს ჩემთვის არაფრის მთქმელი კითხვაა. რომელზეც აიგო ტალიავინის კომისიის მრავალგვერდიანი დასკვნა. მე კი ამ ომთან მიმართებაში სულ სხვა კითხვა მიჩნდება დღემდე.

*– რა კითხვა?*

– რატომ არ მიიღეს სათანადო ზომები, იმ დიდმა სახელმწიფოებმა ვინც თითქოსდა ჩვენს მოსატყუებლად ზურგს უმაგრებდა ჩვენს პრეზიდენტს? რატომ დაუშვეს ეს ომი? როგორ არ შეეძლოთ ამ ომის შეჩერება? ამ ომში ჩადებული ხარჯებით, ბევრად უკეთესი საქმის გაკეთება შეიძლებოდა. აეშენებინათ ერთი დიდი ფაბრიკა ან ქარხანა საქართველოში, სადაც დასაქმდებოდა ჩვენი ხალხი, მოეძებნათ ჩვენს კეთილისმსურველ უცხოელ სახელმწიფოებს საქართველოში შექმნილი პროდუქციისათვის სარეალიზაციო ევროპული ბაზარი და ხელი შეეწყოთ ქართული ოჯახების ძლიერებისა და გამრავლებისათვის,რომელთა 70 % დანგრეულია ეკონომიკური სიდუხჭირის გამო. სწორედ, რომ ამ ომში მოტყუებულ ჩვენს პრეზიდენტზე, უარი თქვა ქართველ ხალხმა, რომელიც დარწმუნდა მის წინდაუხედავ დიპლომატიასა და პოლიტიკაზე. უარი განუცხადა მის მიერ დანერგილ ,,გათიშე და იბატონეს“ პრინციპს– ასევე ქვეყანაში გამეფებულ მცირე ჯგუფის უზურპაციას, რაც მან თავს მოახვია ხალხს და ქართული კანონმდებლობისა და საქართველოს კონსტიტუციის უხეშ დარღვევაში გადაიზარდა.

*– და ამიტომ ითხოვთ, რომ პრეზიდენტი უნდა წავიდეს?*

– ჩემი მოთხოვნა კონსტიტუციაზეა დამყარებული. საქართველოს პრეზიდენტს ორი საპრეზიდენტო ვადით არჩევის უფლებამოსილება ამოეწურა! ჩემთვის, როგორც 23 წლის ვეტერანი დევნილისათვის გაუგებარია, რიეთვის? რა დამსახურების ფონზე გაიხანგრძლივა ათი თვე? რომ საქართველოში უმუშევრობის პრობლემა წლებია აღარ გვიდგას? რომ საქართველოში სიღატაკემ არ დაისადგურა? რომ საქართველოში ქართველი ვაჟკაცის ღირსება არ შეილახა? რომ საქართველოში ქართველი კდემამოსილი ქალის მანდილი არ შეიბღალა? რომ ემიგრანტთა რიცხვმა არ იმატა? რომ ციხეებში არ გამოიკეტა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 30 000 ახალგაზრდა კაცი, რომელთაც ქართული ტრადიციული ოჯახები უნდა შეექმნათ? რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად საქართველოს გულმა-ქართლმა. მხოლოდ დიდი და პატარა ლიახვის ხეობასა და ფრონის ხეობაში 30-მდე ქართული სოფელი დაკარგა? პრეზიდენტს, ალბათ დიდ წარმატებად მიაჩნია ამ ყველაფრის ფონზე ის. რომ აგვიშენა ხიდები, გზები, შადრევნები და სამჯერ დეპუტატის მანდატით დააჯილდოვა ხათუნა გოგორიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, გიგი წერეთელი და ძმანნი მისნი და ამ ფონზე ჩვენ წლებია უმუშევრები ვართ! უფრო მეტიც ,,,იუსტიციის სახლის“ შექმნის იდეაც მომპაეს. საინტერესოა რის მიხედვით შეარჩია ასეთი კადრები, დიდი პატრიოტიზმით თუ ბრძოლაში თავდადებით? აი ის უამრავი კითხვა და ბოღმა , რაც ხალხში დაგროვდა.

*– თავის დროზე თქვენც ხომ იყავით ამ ხელისუფლების წარმომადგენელი. თქვენ სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციაში იუსტიციის მინისტრის პოსტი გეკავათ.*

– მე კი, როგორც სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ყოფილი იუსტიციის მინისტრი, 2006 წლის სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული საპრეზიდენტო არჩევნების , ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი სოფელ ერედვში (ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონა), ასევე დღეს ქართულ-ოსური მისიის დამაარსებელი საქართველოში, რომელმაც დიდი და რთული ტვირთი ვითავე, არ შემშვენის და ეს არც ჩემს ხასიათში ჯდება, რომ შუღლი გავაღვიო თვით ჩემს ძმებს ქართველებს შორის. სწორედ ამის გამო მაქვს სურვილი, რომ პრეზიდენტმა ღირსეული ნაბიჯი გადადგას და, დატოვოს პოსტი, იმისათვის, რომ წლების შემდგომ მისი ისტორია, რომელიც ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის განუყოფელი ნაწილია, მისთვის, მისი შვილებისათვის, შვილიშვილებისათვის და საერთოდ ჩვენი მომავალი თაობებისათვის ნაკლებად მძიმე წასაკითხი იქნეს. ამავე დროს ვფიქრობ პრეზიდენტის გადადგომა 20 იანვრამდე თუ მოხდებოდა ბევრად უკეთესი იქნებოდა.

*– რატომ იქნებოდა უკეთესი?*

– ვიდრე სრულიად საქართველო, მისი რეზიდენციის წინ დაფიქსირებდა საკუთარ პოზიციას და ესსეც მისი, მისი უკან მდგომებისა და მის მიერ გატარებული იდეოლოგიისა და კურსის კრახის მაჩვენებელი არ ყოფილიყო მსოფლიოსათვის!

*– თქვენ გჯერათ, რომ სააკაშვილი 20 იანვრამდე გადადგება? ის ამბობს, რომ ოქტომბრამდე არსად არ წავა?*

– მე მწამს, რომ ასეთ ნაბიჯს გადადგამს. რადგან პრეზიდენტ საკაშვილის ფესვები მიდის იმ ვაჟკაცური ქალაქისაკენ რასაც გორი ჰქვია, ვფიქრობ თავის ვაჟკაცობას, ღირსებას არ გასცვლის პრეზიდენტის ,აბრეშუმ, ფარჩა, ატლასსა და ოქროს ტახტზე.'ნუ დაგვიტოვებს შანსს – ალტერნატიული საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისათვის, რომელიც მისი ხელისუფლებისა და მმართველობის ეპოქის , აპრობირებული მეთოდი იყო, რომელიც დღემდე სამართლიანად მიაჩნია.

*– მხედველობაში რა გაქვთ?*

– 2006 წელს ჩატარებული სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული საპრეზიდენტო არჩევნები. ეს არჩევნები ცხინვალის არჩევნების პარალელურად ჩავატარეთ. თუმცა ამ გზის გავლა ნამდვილად არ დაგვჭირდება, რამეთუ ბევრად სამართლიანი გზა არსებობს, საქართველოს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლების კანონიერ ჭრილში. ჩვენს ამბიციებს ნუ გადავაყოლებთ ქვეყანას, ქართველობას, ჩვენს ძმობას, ნათესაობასა და მეგობრობას, ჩვენ ერთნი ვართ და ნუ ვეცდებით მავანნის წისქვილზე წყლის დასხმას. ნუ დაგვავიწყდება , რომ ,,ძალა ერთობაშია", გავერთიანდეთ ჩვენი ქვეყნის დაქუცმაცებული და დაქსაქსულობის გაერთიანებისაკენ... გათიშულობა წლების წინ ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის დაიწყო, ახლა სამეგობრო, სანათესაო, საახლობლოში გადმოინაცვლა და ძალიან გთხოოვთ წინ აღვუდგეთ, რათა ამ გათიშულობამ და დაპირისპირებამ ოჯახებში არ მოგვიკაკუნოს! გამოვფხიზლდეთ და ვაჩვენოთ მსოფლიოს, რომ კონსულტაციები ტრადიციული ცხოვრებისკენ, პირიქით უძველესი კულტურის მქონე ქართველი ხალხისაგან მიიღონ!მინდა ოპოზიციის მხარდამჭერებს მოკრძალებით გავუმხილო, რომ ჩვენ ბევრად უკეთესი საქართველოს შენება გვინდა, ვაპირებთ ისეთი ქვეყნის აშენებას, თქვენც რომ ოცნებობდით და ამის საშუალება არ მოგეცათ, მე ისიც ვნახე და ამასაც ვხედავ... დაბოლოს, ჩემო ქართველებო, ყველამ კარგად ვიცით, რომ დროისა და ისტორიის წინაშე ყველა ჩვენგანი უძლურნი ვართ!

# რა დაუშავა ზესტაფონმა გოგი ქავთარაძეს

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

**პარასკევსა და კვირას ზესტაფონში გავლა ძალიან რთულდება, თუ „ნაბერეჟნით“ წახვალ. ეს ორი აგრარული ბაზრობის დღეა და თერჯოლის, ხარაგაულის, ჭიათურისა და თავად ზესტაფონის სოფლებიდან პროდუქციით დატვირთული მოსახლეობა ყველაზე დიდ ზემოიმერულ (თუმცა რაღა ზემოიმერეთია, ცენტრია იმერეთის) ბაზარში მოაკრიახებს ქათმებს, მოაწურწურებს ყველს და მოაბღავლებს პირუტყვს. დანარჩენ დღეებშიც ბაზარი სრული დატვირთვით მუშაობს, ოღონდ სოფლიდან ჩამოსულები ბაზრის შიგნით იშვიათად ხვდებიან. ეს იმიტომ ხდება, რომ ბაზრის ყველა მეტ-ნაკლებად ვარგისი დახლი „დაბრონილია“ და, თუ სადმე თავისუფალი დახლი აღმოჩნდება, აუცილებლად ისეთი მივარდნილია, რომ იქ დგომა საქონლის გაუყიდველობის ტოლფასია.**

მოკლედ, საქონლის მწარმოებელი დახლამდე ვერც აღწევს. დილაუთენია საწოლიდან წამოცვივნულ გლეხებს ავტობუსებიდან ფეხის ჩამოდგმას არ აცლიან გადამყიდველები და სწრაფად უცარიელებენ ხელს ბოსლევიდან თუ ილმიდან ჩამოსულებს. მართალია, გადამყიდველები წონასა და ფასში ხშირად ატყუებენ გლეხებს, მაგრამ ამის გარეშე არაფერი დარჩებათ და ბიზნესის ველური კანონები აიძულებთ, რომ მოგების გულისათვის ალალი და შრომაში გალეული გლეხები ,,გადააგდონ“.

არავის სურს მაინცდამაინც ჩარჩ-ვაჭრის სახელი ჰქონდეს. უმეტესი მოვაჭრეებისა კაპიკების გამო საკმაოდ დიდ რისკზე მიდიან, რადგან ანგარიშში ვინც მოიკოჭლებს, მათ აქვთ იაფფასიანი კალკულატორები, რომლებითაც კაპიკების სიზუსტითაც ანგარიში ადვილია. ამის გარდა, გლეხებმა კარგად იციან, თუ ბაზრის შესასვლელამდე მიაღწევენ, მაშინ იქ უფრო სარფიანად გაყიდიან საქონელს, რადგან ბაზრის შესასვლელთან მათ ნამდვილი მყიდველი ელოდებათ. ამიტომ არის ზესტაფონის ბაზრისწინა გზა სულ გადატვირთული. ნამდვილი მეწარმეები საქონელს ბაზრის წინ პოულობენ მყიდველებს.

თუ ერთხელ მაინც მოხვედრილა ადამიანი ზესტაფონის ბაზართან, კარგად ემახსოვრება, რომ მთლიანად აგრარული ბაზრიდან დაწყებული ავტოსადგურამდე სავაჭრო ცენტრების ჩათვლით ანტისანიტარიის ისეთი მასშტაბებია, მაინცდამაინც საკვეხნი რომ არაა. პირუტყვისა და ფრინველის ბაზრობასთან აირწინაღიც არ კმარა და თუ ოდნავ მაინც გეცოდება თავი, ცხვირზე ხელმოჭერილი ნაბიჯს აუჩქარებ და გასცილდები იქაურობას, თუმცა ზესტაფონის ეკოლოგიას ფიზიკური დაბინძურების გარდა



,,ფეროს“ კვამლი იმდენად აბინძურებს გარემოს, რომ კანცეროგენებით ავადდება მოსახლეობის უმრავლესობა. თუ სოფელ დილიკაურის მხრიდან შეხვალ ზესტაფონში, თითქმის ყოველთვის ჩანს უზარმაზარი კვამლის მასა, რომელიც ზესტაფონს თავზე ქოლგასავით ეფარება და წამლავს ფილტვებსა და სისხლს...

ზესტაფონი, როგორც ქალაქი, მთლიანად ,,ფეროს“ გამო არსებობს. მისი ადრინდელი სახელწოდებები (ყვირილა და ჯუღელი) ხალხმა ისევე დაივიწყა, როგორც ფეროშენადნობთა ქარხნის ამჟამინდელმა მფლობელმა ,,ჯორჯიანმანგანეზმა“ ეკოლოგია. ფეროშენადნობთა ქარხნები სხვა ქვეყნებში არსებობს, მაგრამ გამონაბოლქვს იქ ,,პატრონობენ“.

რატომღაც თავად ზესტაფონლებსაც უფრო ყოფითი პრობლემები აწუხებს, ვიდრე ეკოლოგიური პრობლემა. ამის მაგალითია ისიც, რომ ბაზრის მოვაჭრეები შეიჭრნენ ზესტაფონის გამგეობაში. 2 თვიანი მოთხოვნის მიუხედავად მოვაჭრეებთან ზესტაფონის მაჟორიტარმა ვერ მოახერხა შეხვედრა. მოვაჭრეები აპროტესტებენ იმას, რომ მათი გადაყვანა ახალ სავაჭრო ცენტრში ძალიან დიდი ხარჯია მათთვის და აღარავის ახსოვს ზესტაფონელი მოვაჭრის მძიმე ცხოვრება. ამინდის მიუხედავად, ადრიანად უნდა გავიდეს ბაზრობაზე, მერე საქონელის ,,ხელში ჩასაგდებად“ უნდა იწვალოს და ახალ სავაჭრო ცენტრში 25 ლარი ბაჟი უნდა იხადოს?! ეს ზედმეტად ბევრია მოვაჭრისათვის. თან ძირითადად ამ საქმით ქალები არიან დაკავებული, რაც არ უნდა ჰქონდეთ მათ გასაყიდი, სოფლის მეურნეობის თუ არასასოფლო წარმოების საქონელი, ამხელა გადასახადი მათთვის გაკოტრების წინაპირობაა.

ცალკე საკითხია, რატომ არ აწუხებენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ რესურსებს მოვაჭრეები. ბატონ ქავთარაძეს, რომელიც ბიძინას ავტორიტეტი გაუძლვა 1 ოქტომბრის არჩევნებში და კიდეც გაიმარჯვა, მოსახლეობა აღიქვამს ყველაზე პასუხისმგებლიან ხელისუფლად. ძალიან ნაკლებად სურს ამომრჩეველს, რომ იფიქროს იმაზე, რომ ბატონი მაჟორიტარი კანონმდებელია და არა აღმასრულებელი. ხალხმა არჩევანი იმიტომ გააკეთა ,,ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, რომ უკეთესი ცხოვრება სჭირდებათ. თავად ქალაქში მუნიციპალიტეტის გამგებელსა და საკრებულოს, ქალაქის რწმუნებულს არავინ არ მიაკითხავს, რადგან დღეს მოსახლეობის იმედი ,,ქართული ოცნებაა“. ქუთაისიდან ზესტაფონამდე 40 კილომეტრამდე მანძილია, რომლის დაფარვა თანამედროვე ავტომობილით ერთ საათზე ნაკლებს მოითხოვს. ორთვიანი მოთხოვნა, რომ მაჟორიტარი დეპუტატი შეხვედროდა ამომრჩეველს, ძალიან დიდი და ამაღელვებელია. ქავთარაძეს კი არა, არცერთ ხელისუფალს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ხელისუფლების წყარო არის ამომრჩეველი. როცა ზესტაფონელი ამომრჩეველი მიდიოდა საარჩევნო ყუთთან, მისთვის გადამწყვეტი იყო არა სახელი და გვარი, არამედ კარგი ცხოვრების მოლოდინი.

რასაკვირველია, მოსახლეობის ემოციური შეჭრა ადმინისტრაციულ შენობაში არანაირად არ ჯდება ცივილიზებულ საქციელში, მაგრამ არც ის არის დიდად გამართლებული, რომ არჩეული პირი შენობიდან გაიპაროს და ეკლესიის ეზოში გადაიმალოს. თუ კუკუდამალობანას აპირებს ბატონი დეპუტატი, 4 წელი ძალიან ბევრია ამ ,,თამაშისთვის“ და მაინც მოუწევს ელექტორატთან შეხვედრა.

ერთი მოვაჭრე აცხადებდა: ,,არიან ველურები, იციან, რაც ელით. ამდენი ტყუილისგან \დაიღალა ხალხი. ხალხს განგაშით უნდა მოსვლა, მაგრამ შიგნით არ უშვებენ, რატომ არ ვიცი. ამ დროს გოგი ქავთარაძე დაიმალა. წაიყვანა მისმა სიძემ. ჯერ ეკლესიის ეზოში იმალებოდა. რა გაჭირვება აქვს გოგი ქავთარაძეს იმის ფასი, რომ ეკლესიის უკან დაიმალოს, შვილო. გეკითხებით და ვსვამ კითხვას: ეგ ღირსი არის საერთოდ ზესტაფონის რაიონში გაიაროს? ჩვენ ვართ ოცნების ხალხი ყველა, ჩვენ მოვითხოვთ, ხალხნო, გოგი ქავთარაძე საერთოდ მოწყდეს ზესტაფონის რაიონს.“ხელოვნებაში ტრეგედია ბევრად უფრო ღირებულად ითვლება, ვიდრე კომედია ან საკუთრივ დრამა, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში მისი გადმოტანის მსურველი ადამიანი არ მეგულება. ზესტაფონის ხელოვანმა დეპუტატმა ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

ერთ ფორუმზე, სადაც ამ საკითხზე იყო საუბარი, რატომღაც ,,მეოცნებე“ ამომრჩევლებს და პრემიერ-მინისტრს კიცხავდნენ აშკარად ,,ნაციონალური მოძრაობის“ მეხოტბენი.

რიტორიკული შეკითხვა ბოლოს: ბატონო გოგი, ზესტაფონელმა ამომრჩეველმა და ან პრემიერმა რამე დაგიშავათ?!

მართალია, თქვენ ზესტაფონის პრობლემას ერთი შეხვედრით ვერ გადაჭრით, მაგრამ არც გადამალვით მოევლება პრობლემებს...

# გიორგი თევზაძე: ,,ფართომასშტაბიანი ამნისტია აუცილებელი იყო“



გულიკო ბალაძე

გუშინ ივანიშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყვარყვარეს ციხეები გაალეს და პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების მთელი არმია გამოუშვეს გარეთ, რაც ძალიან ამაღელვებელი სანახავი იყო. ამ ფონზე, არ არის გასაკვირი, რომ ნაცები აღშფოთებული არიან. ფაქტობრივად, ეს არის სააკაშვილის რეჟიმის გასამართლების პირველი ეტაპი.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ამნისტია განხორციელდა, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველას შეეხო, საპატიმრო დაწესებულება კვლავ რჩება და მუდმივად იქნება საზოგადოებისა და უფლებადამცველთა მხრიდან მონიტორინგის ობიექტი.

უფლებადამცველი გიორგი თევზაძე პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების გათავისუფლებას დადებით მოვლენად აფასებს და ფიქრობს, რომ ამნისტია კიდევ უფრო მეტ პატიმარს უნდა შეხებოდა.

ამასთან, გიორგი თევზაძე აცხადებს, რომ ციხეში დარჩენილ პატიმრებთან დაკავშირებით პრობლემები კიდევ არსებობს. მისივე თქმით, ამ ეტაპზე გადაწყვეტილი არ არის, ვინ იქნება საპატიმრო დაწესებულებების მონიტორინგის ახალ ჯგუფში. ჯერ კიდევ გაუგებარია გარკვეული სტრუქტურების მიდგომა დაავადებული პატიმრების მიმართ.

ციხეების მონიტორინგი ვადაზე ადრეა შეწყვეტილი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრ სოზარ სუბარის ბრძანებით. რაც შეეხება ახალ ჯგუფს, ის ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა.

პენიტენციური სისტემის მონიტორინგის ჯგუფის ყოფილი წევრი, უფლებადამცველი გიორგი თევზაძე აცხადებს, რომ მონიტორინგის ახალი ჯგუფის შედგენაზე სამსჯელოდ გუდაურში ჩატარებულ შეხვედრას ძირითადად ციხეებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები არ დასწრებიან. ასევე დღემდე გაურკვეველია, ვინ იქნება ახალ მონიტორინგის ჯგუფში და როგორ მოხდება მათი შერჩევა, რაც კითხვის ნიშნებს ბადებს.

გიორგი თევზაძის თქმით, ასევე საზოგადოებისათვის უცნობია ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის მუშაობის კრიტერიუმები და შემადგენლობა.

ასეთივე მდგომარეობაა „აქტიროვკის“ კომისიასთან დაკავშირებით, რომელიც, როგორც ყოველთვის, დღესაც, ფაქტობრივად, უმოქმედოა. ამ კომისიების მიმართ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიდგომა ცნობილი არ არის. ასეთი გაურკვევლობა კი დაავადებული პატიმრებისთვის, შესაძლებელია, ტრაგიკული აღმოჩნდეს.

***— ბატონო გიორგი, ციხეებში მონიტორინგის ჯგუფმა ნაადრევად შეწყვიტა არსებობა. რა ხდება დღეს მონიტორინგის შექმნასთან დაკავშირებით?***

— არჩევნების შემდეგ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გიორგი ტუღუშის მიერ შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც მეც გახლდით, აღარ არსებობს. თავიდანვე მონიტორინგის ჯგუფში უფრო მეტი განაცხადი შევიდა, თუმცა, შეირჩა მხოლოდ 51 წევრი. ჩვენ საშუალება გვქონდა, შევსულიყავით ციხეებში, გავსაუბრებოდით პატიმრებს, შეგვესწავლა იქ არსებული მდგომარეობა. არაერთი განცხადება შემოდიოდა ჩვენთან უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით. მონიტორინგის ჯგუფს უფლებამოსილება ჰქონდა 2013 წლის 31 იანვრამდე. ამას გიორგი ტუღუშის მრჩეველი გიორგი მშვენიერაძეც ადასტურებს ერთ-ერთ ინტერვიუში. ახალმა მინისტრმა მონიტორინგის უფლებამოსილება ერთი თვით ადრე შეაჩერა, რისი სამართლებრივი უფლებაც, რა თქმა უნდა, ჰქონდა. მე, როგორც მონიტორინგის ჯგუფის წევრმა, მოვამზადე მონიტორინგის ფარგლებში ჩემ მიერ განხორციელებული სამუშაოების ანგარიში, რეკომენდაციები და 31 დეკემბერს დეპარტამენტის თავმჯდომარე მაია ხასიასა და სამინისტროს ხელმძღვანელობას მივაწოდე.

***— ზოგიერთის ინიციატივით, ახალი მონიტორინგის ჯგუფის შექმნისას შეზღუდვები უნდა დაუწესდეთ მოქმედ ადვოკატებს და ჟურნალისტებს. ეს სწორი მიდგომაა?***

— კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ეგიდით გუდაურში ჩატარდა შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, სადაც გარკვეული კრიტერიუმები დაადგინეს მონიტორინგის ჯგუფში მონაწილეობისათვის. მონიტორინგის ჯგუფის წევრები შეხვედრას არ დასწრებიან, რადგან ეს შეხვედრა ჩატარდა ჩვენ გარეშე, რამაც მონიტორინგის ჯგუფის წევრთა უმრავლესობის სამართლიანი პრეტენზიები გამოიწვია. ორი დღის წინ სასჯელაღსრულების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი, ქალბატონი თინათინ ჯანჯღავა დამიკავშირდა და გამომიგზავნა გუდაურის შეხვედრაზე მიღებული ორი დოკუმენტის პროექტი, სადაც საუბარია იმ კრიტერიუმებზე, რომლებიც მონიტორინგის ჯგუფის წევრობას განსაზღვრავს. ამასთანავე, სამინისტრო გამოგზავნილ წერილში მიესალმება ჩვენი ორგანიზაციის მონაწილეობასა (ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის) და აქტიურ ჩართულობას მიმდინარე პროცესებში. ჩვენი მხრივ, გამოვთქვამთ მზადყოფნას მონაწილეობისთვის. რაც შეეხება კრიტერიუმების დადგენას, ეს თემა სამსჯელოა და უნდა გადაწყდეს სამართლიანი მიდგომიდან გამომდინარე, ჯგუფის წევრებსა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციითა და კონსენსუსით.

***— აპირებთ თუ არა, უარი თქვათ ადვოკატობაზე, თუ მონიტორინგის ჯგუფში წარგადგენენ?***

— თუ ეს კრიტერიუმი აუცილებელი იქნება, ამაზე ჯერ პასუხი არ მაქვს. სხვა შემთხვევაში, ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს უფლება, მონიტორინგის ჯგუფში შეიყვანოს თავისი წარმომადგენელი. თუ, რა თქმა უნდა, ახალ დოკუმენტში სხვა ქვეტექსტები არ დევს. ისე, მინდა გითხრათ, რომ გუდაურში მიღებული დოკუმენტი დასახვეწია.

***— თქვენ მონიტორინგში მუშაობის საკმაო პრაქტიკული გამოცდილება გაქვთ, ასევე, როგორც უფლებადამცველი, ათობით წელია, აქტიურად მოღვაწეობთ ამ სფეროში. შეიძლება, ახალი მონიტორინგის ჯგუფის დაკომპლექტებისას არ გაითვალისწინონ პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირები?***

— ალბათ, არა. პირადად მე 1987 წლიდან, ეროვნული მოძრაობის პერიოდიდან, ადამიანის უფლებების საკითხებზე ვმუშაობ. 2000 წლიდან ვიყავი იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური სისტემის მონიტორინგის საბჭოს წევრი. ახლაც გახლდით მონიტორინგის ჯგუფის წევრი და, რა თქმა უნდა, მაქვს გარკვეული გამოცდილება. თუ ხელს შემიშლის, უარს ვერ ვიტყვი საადვოკატო მოღვაწეობაზე. ვფიქრობ, არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, უნდა მიეცეს კვოტა. პიროვნებას ორგანიზაციაში შევარჩევთ და წარვადგენთ მონიტორინგის ჯგუფში შესასვლელად.

***— ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისია ხომ ამუშავდა?***

— ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიასთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეირჩნენ ამ კომისიის წევრები. საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი, თუ ვინ არიან კომისიაში. ამასთან ერთად, მე ხელთ მაქვს რამდენიმე დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ რამდენიმე პატიმარს უარი ეთქვა გათავისუფლებაზე. მაგალითად, მაქვს დოკუმენტი პატიმარ ოზმანიანის თაობაზე, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია. აღნიშნული საკითხი განიხილა შესაბამისმა კომისიამ და მიიღო გადაწყვეტილება პატიმრისთვის ამ ეტაპზე ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ. ამიტომაც ეს პატიმარი კვლავ რჩება საპატიმროში. ეს კომისიის მხრიდან უსულგულო დამოკიდებულებაზე მიუთითებს. პატიმრის ახლობლებმა მიმართეს დედათა კომიტეტის თავმჯდომარე ქეთევან ადამიას, რომელმაც მოგვმართა ჩვენ. პატიმრის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება და დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს.

***— თვითონ ამ კომისიაში რა ხდება?***

— ვფიქრობ, ჯერ უნდა მოგვარდეს არა ფორმალური მხარე, არამედ — რეალური მდგომარეობა. ის, რომ ბევრი დაავადებული პატიმარი დაუყოვნებლივ გასათავისუფლებელია, ზოგიერთი პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია, ცხადია.

***— პარლამენტის მიერ მიღებულ ამნისტიის კანონს სააკაშვილმა ხელი არ მოაწერა, თუმცა, მან შეიწყალა უფრო მძიმე დანაშაულში მხილებული ადამიანები. თქვენი აზრით, დამძიმდება თუ არა კრიმინოგენური მდგომარეობა?***

— ფართომასშტაბიანი ამნისტია აუცილებელი იყო. ეს, პირველ რიგში, უნდა შეხებოდათ იმ ადამიანებს, რომლებიც უდანაშაულოდ დაისაჯნენ და ამდენი ტანჯვა იწვნიეს. ვფიქრობ, ამნისტია უფრო მეტ პატიმარს უნდა შეხებოდა, ვიდრე შეეხო. რაც შეეხება კრიმინოგენური მდგომარეობის გამწვავებას, იმედი გვაქვს, სამართალდამცავი უწყებები არც ერთ კრიმინალურ ფაქტს, თუ ასეთს ადგილი ექნება, რეაგირების გარეშე არ დატოვებენ.

## ბართლომეოს პირველი: „ის სამსახური, რომელიც საქართველოს პატრიარქმა ეკლესიასა და ქვეყანას გაუწია, მსხვერპლად შეწირვის ტოლფასია“

ის სამსახური, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეკლესიასა და ქვეყანას გაუწია, მსხვერპლად შეწირვის ტოლფასია, — ამის შესახებ მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოს პირველმა სამების საკათედრო ტაძარში ბრძანა, სადაც მან ილია მეორესთან ერთად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით საზეიმო წირვა აღავლინა.

„ჩვენ აქ ჩამოსვლისას სხვა არანაირი მიზანი არ გვამოძრავებდა, გარდა სურვილისა, რომ დღეს თქვენთან ერთად ვყოფილიყავით, გაგვეზიარებინა საქართველოს ეკლესიის სიხარული და სულიერი ზეიმი და პირადად თქვენი, საყვარელო და მეტად პატივსაცემო თქვენო უნეტარესობავ და საყვარელო ძმაო ჩვენო, საქართველოს პატრიარქო. გვსურდა, თქვენთან ერთად გვეზეიმა საქართველოს ეკლესიის ტახტზე თქვენი აღსაყდრებიდან 35 წლისთავი, რომელსაც თქვენი დაბადებიდან 80 წლისთავიც ემთხვევა. ეს სიხარული მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის სიხარული და დღესასწაულიცაა. პატივს მივაგებთ საპატრიარქოსა და ქვეყნისათვის, ქართული სამღვდელოებისა და ხალხისათვის მნიშვნელოვან და ისტორიულ მოვლენას და ამგვარად ყველანი, სასულიერნო პირნი, პოლიტიკოსები და მორწმუნე ხალხი პატივს მივაგებთ პატრიარქ ილიას იმ ღვაწლს, რომელიც მართლითა გონებითა და მართალი სიტყვის ძალით მოიმოღვაწა. ამ ძალას კი პოულობდა ჩვენი კეთილისმყოფელი ღვთისგან, პატიოსანი მსახურებით უფლისა და თავისი ხალხისა, ისევე როგორც ის წმინდანები, რომლებიც ავბედით წლებში თავიანთი თავდადებით მაგალითად იქცნენ, ვინაიდან ქრისტეს ერთგულნი დარჩნენ. თქვენო უნეტარესობავ, თქვენ, ვინც მოთმინებასა და გონიერებას უფლისაგან იღებდით და იღებთ, შეძლებით და ნათლად დაინახეთ რწმენას მოწყვეტილი ადამიანების სისუსტე და ვითარცა იესო ქრისტეს ჭეშმარიტმა მოწაფემ, დაიწყეთ ქადაგება უფლის სიტყვისა. თქვენო უნეტარესობავ, სიყვარულს ქადაგებთ და თავად სხვისი სიყვარულით ცხოვრობთ. ლოცვებს აღავლენთ და მოუხმობთ სიბრძნეს ღვთისას, რომელიც სწორედ სიბძნეს უქადაგებს ეკლესიას და მის ხალხს. შიშითა ღმრთისაითა შემოსილმა, კარგად იცით, რომ უფალი არის მცოდნე ადამიანური ლოგიკისა და მიზეზი სიკეთისა. მიუხედავად ადამიანური სისუსტისა და წარმავლობისა, ის რაც აკეთეთ, აკეთეთ იმედით, რწმენით და მოთმინებით. თქვენს მფარველ წმინდანთან ერთად კი გეტყვით, ცოცხალია ღმერთი, უფალი ძალთაო, ღმერთი ისრაელისა და საქართველოისა. მართლაც იქ, სადაც ღმერთი სასურველია, ყველაფერი შვებით სუნთქავს. უნეტარესო კათოლიკოს-პატრიარქო ილია, თქვენ მორწმუნე და სულიერი ადამიანი ხართ. ის სამსახური, რაც თქვენ ეკლესიას, ქვეყანას და ხალხს გაუწიეთ, მსხვერპლად შეწირვის ტოლფასია და იგი შორსაა იმ დიდებისა და პატივისაგან, რასაც პატრიარქის ტიტული მოიცავს. თქვენ შემოიფარგლეთ ლოცვით, მარხვით, ეკლესიის აღორძინებით, ხალხის იმედების გასხივოსნებით, ხატწერის აღორძინებით, საღვთო საიდუმლოებათა აღსრულებით, წმინდა ძღვენის შეწირვითა და თქვენი მრავალტანჯული ხალხის დამშვიდებითა და ტკივილის გაყუჩებით. თქვენი საპატრიარქო მოღვაწეობისას გამრავლდა თქვენ სულიერ შვილთა რიცხვიც და ხარისხიც, რაც ძალიან გვახარებს. კიდევ უფრო მეტად ვხარობთ, როდესაც ვხედავთ, რომ თქვენი შვილიშვილები მოგართმევენ თქვენი კეთილი შრომის ნაყოფს, რომელსაც თქვენ კვლავ ქრისტეს უძღვნით. ეკლესიისადმი შეწირული თქვენი მოღვაწეობის ნაყოფი ხილული და ნათელია და მას მომავალ თაობებს სისხლით მორწყული საქართველოს ისტორიის ფურცლები ოქროს ასოებით ჩაწერილს შემოუნახავს ისევე, როგორც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი თქვენი სახელი ჩვენს გულებში. მადლობას მოგახსენებთ იმ შესანიშნავი და ურიცხვი ღონისძიებებისათვის, რომელსაც ჩვენი საქართველოში ჩამოსვლისას მართავთ, იმ თბილი სიტყვებისათვის, რომელსაც ჩვენი მისამართით გამოთქვამთ, რაც კონსტანტინოპოლის ეკლესიის მიმართ თქვენი კეთილგანწყობის უეჭველი დასტურია. ჩვენ ორ ეკლესიას შორის ყოველთვის კეთილი დამოკიდებულება არსებობდა და ეს ახლაც გრძელდება. ორივე ეკლესია მას თვალისჩინივით უფრთხილდება. სხვასთან ერთად, ჩვენ ორ ეკლესიას აერთიანებს ანდრია პირველწოდებული, რომელმაც ქრისტიანობა იქადაგა არამხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიაში. ამ ერთიანობის, ურყევობის დადასტურება იყო ჩვენი წინამავალი პატრიარქის მიერ საქართველოს უძველესი ავტოკეფალიის დადასტურება. ეს მოხდა იმისთვის, რომ საქართველოს ამჟამინდელმა პატრიარქმა და მისმა შთამომავლებმა ახალი შემართებით იღვაწოს მართლმადიდებლობის გასაძლიერებლად. რწმენის ნაკლებობის, განსაცდელისა და ძნელბედობის ჟამს თქვენ ერთი წუთითაც არ გადაგიხვევიათ მოწოდებისაგან, მთელი 35 წლის განმავლობაში მედგრად დაიცავით უფლის სიტყვა. ჯვარი, რომელიც თქვენ ზიდეთ, აღმოჩნდა ტკბილი, საამო, სიცოცხლის მომნიჭებელი. მოდით, განვაგრძოთ საკუთარი ჯვრის ტარება. ჩვენი გეზის მიმცემი კი უნდა იყოს ჩვენივე ეკლესიის წიაღში დამკვიდრებული ტრადიციები. თქვენი ნაღვაწი იმის დასტურია, რომ ღმერთი მუდმივად თქვენთან არის. თქვენ აღმოჩნდით მამაცი მებრძოლი“, — ბრძანა ბართლომეოს პირველმა თავის მისალოც სიტყვაში.

მან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უსურვა და საჩუქრად სასაკმევლე ხატი და კანდელი გადასცა.

atb.ge

# ირაკლი ბათიაშვილი: „ახალმა ხელისუფლებამ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა უნდა დაიწყოს“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ირაკლი ბათიაშვილთან

***— ბატონო ირაკლი, მოდით, პოლიტპატიმრებზე საუბრით დავიწყოთ ჩვენი ინტერვიუ, მათ გუშინ დატოვეს საპატიმროები. როგორ შეაფასებდით თქვენ ამ ფაქტს?***

— პირველ რიგში, მინდა შობა-ახალი წელი მოგილოცოთ. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენთვის, ყველასთვის ერთ-ერთი სასიხარულო და ღირსშესანიშნავი მოვლენა მართლაცდა არის ის, რომ პოლიტიკური პატიმრები ტოვებენ საპატიმროებს. დღესაც მქონდა მე მათთან საუბარი. მე ხშირად მირეკავენ ისინი საპატიმრო ადგილებიდან. თქვენ იცით, რომ მათ აქვთ უფლება, რომ ტელეფონით ზარი გააკეთონ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ახალ წლამდე გამოვიდოდნენ, მერე იმედი ჰქონდათ, რომ შობამდე გამოვიდოდნენ, თუმცა მათ ძველ ახალ წლამდე ვერ მოახერხეს გამოსვლა. სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გაეწელა ეს პროცესი. მან ის არ იკმარა, რომ თავის დროზე ეს ადამიანები ასე უსამართლოდ და უკანონოდ ჩააგდო სატუსაღოებში. ახლა უკვე ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რაც შეიძლება გაეწელა მათი განთავისუფლების პროცესი. ეს მაოხრებელი გზირის ამბავია, რომ მან ყოველთვის ცუდი და ბოროტი საქმე უნდა გააკეთოს. თუმცა მინდა აქვე აღვნიშნო ერთი ჩვენთვის, საზოგადოებისთვის ძალიან გაუგებარი ვითარება, აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ უნდა გაიწელოს პოლიტიკური დევნილების ამნისტირების საკითხი. პოლიტიკური დევნილი არის თითქმის იგივე მდგომარეობაში მყოფი, იურიდიული თვალსაზრისით, როგორც პოლიტიკური პატიმარი. შესაბამისად ამნისტიის გამოსვლის შემდგომ როგორც პოლიტიკური პატიმრები უნდა განთავისუფლდნენ, შესაბამისად ეგრევე უნდა მოხდეს ამნისტირება პოლიტიკური დევნილების და მათაც ეგრევე უნდა მიეცეთ საშუალება, სამშობლოში დაბრუნების. რატომ ხდება ამ პროცესის გაწელვა, ეს ძალიან ბევრ კითხვას და გაუგებრობას ბადებს. ჩვენ ყველას გვინდოდა, რომ ეს ორივე საკითხი პოლიტიკური პატიმრების და პოლიტიკური დევნილების, რაც შეიძლება დროზე გადაწყვეტილიყო. ეს ამნისტია ასევე ეხება ძალიან ბევრ პატიმარს, ამ ბევრ პატიმარს შორის ძალიან ბევრი უკანონო პატიმარიც არის. ზოგს სასჯელის ვადა შეუმცირდება ამ ამნისტიის შედეგად, ზოგიც უახლოეს პერიოდში განთავისუფლდება. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთ-ერთი რეალური საქმე, რაც თავისი მოღვაწეობის საწყის პერიოდში გააკეთა ამ ახალმა ხელისუფლებამ. ამ ხელისუფლების მიმართ მოლოდინის დონე იყო და არის კიდეც ძალიან მაღალი და ხალხიც შესაბამისად ითხოვს უკვე, რომ დაინახოს რაღაც რეალურად გაკეთებული საქმეები. რეალური გადადგმული ნაბიჯები. ეს კი არის ერთ-ერთი რეალურად გაკეთებული საქმე, კერძოდ კი პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება და ამნისტიის გზით მრავალი პატიმრის განთავისუფლება და სასჯელის შემსუბუქება. თუმცა დღეს საზოგადოებაში არის აქტიური მოთხოვნა იმისა, რომ ახალმა ხელისუფლებამ რაც შეიძლება სწრაფად, რაც შეიძლება ოპერატიულად და ენერგიულად დაგვანახვოს რაც შეიძლება ახალი და ახალი გაკეთებული რეალური საქმეები, რომლებიც მთლიანად ჩვენს ხალხს ამ უმძიმეს ვითარებას, ამ დუხჭირ ცხოვრებას, რომელშიც ჩავარდნილია ჩვენი მოსახლეობა, შეუმსუბუქებს.

***— როგორია თქვენი შეფასებები, რამდენად სწორი პოლიტიკური კურსით მიდის ახალი ხელისუფლება?***

— იცით რა არის, მე, ისევე როგორც ძალიან ბევრი ადამიანი საქართველოში, მადლიერი ვარ ბიძინა ივანიშვილის და ქართული ოცნების, თუნდაც იმ ერთადერთი გაკეთებული საქმით და ჯერჯერობით მთავარია, რასაც ჰქვია, რომ მან მოგვაშორა ეს საშინელი ჭირი, რასაც ერქვა ნაცმოძრაობის რეჟიმი საქართველოში და ამ ჭირისგან გაგვათავისუფლა, რომ ჩვენ ყველა ამით ძალიან კმაყოფილნი ვართ და ვემადლიერებით ამ ახალ ძალას.

***— არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, მაგრამ საბოლოოდ ვერ მოგვაშორეს, ამ ძალის ნარჩენები ჯერ კიდევ არიან ხელისუფლებაში...***



— რაშია, იცით, საქმე? საბოლოოდ ვერ მოშორდნენ, მაგრამ ჩარხს აწი უკუღმა ვერ დააბრუნებენ, ეს არის უკვე ისტორიული კანონზომიერება. რაც უნდა იხტუნაონ ახლა ნაცმოძრაობის წარმომადგენლებმა, რაც უნდა ერთმანეთი ამხნეონ, რაც უნდა შეთქმულებები ხლართონ, მათი ბედი უკვე გადაწყვეტილია და ისინი ფაქტიურად უკვე წარსულს არიან ჩაბარებულები. რაც დრო გავა, ისინი კიდევ უფრო დაიფშხვნებიან. მომავალში მათ იმის პერსპექტივაც არა აქვთ, როდესაც ახალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება და მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგება, მათ იმის პერსპექტივაც არ ექნებათ, რომ თუნდაც მცირე ფრაქციით იყვნენ პარლამენტში წარმოდგენილნი. ვიმეორებ, ჩვენ მადლობლები ვართ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ეს ჭირი მოგვაშორა, თუმცა აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ეს ასე ერთბაშად კი არ მომხდარა, ეს იყო 9-წლიანი ბრძოლის შედეგი აი, ამ საშინელ რეჟიმთან. ეს ყველამ კარგად უნდა დაიმახსოვროს. ეს ბრძოლები სულ იყო, ხან აღმავალი გზით მიდიოდა, ხან — დაღმავალი, მაგრამ ეს წინააღმდეგობა არ ჩერდებოდა. ამ რეჟიმთან ბრძოლამ უამრავი ადამიანი შეიწირა, ძალიან ბევრი ოჯახი დააზარალა, უამრავი ადამიანი ციხეებში აღმოჩნდა და მათ შორის მეც. ძალიან ბევრმა ადამიანმა ფიზიკური ტრავმები გადაიტანა, ჩვენ კარგად გვახსოვს 7 ნოემბრის დარბევა, 26 მაისის საშინელი სისასტიკით ჩატარებული დარბევა. ეს ყველაფერი იმის მაჩვენებელია, რომ ეს ბრძოლა თითქმის პერმანენტულ ხასიათს ატარებდა, რომელიც დაგვირგვინდა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებით. ეს ბრძოლა სავსებით დამსახურებულად დააგვირგვინა ამ გამარჯვებით ბიძინა ივანიშვილმა. ამიტომ მე მინდა, რომ სამართლიანად შევხედოთ ყველა პროცესს, ერთბაშად არაფერი არ ხდებოდა არც ადრე და არც ახლა არ ხდება. ის, რაც 2012 წლის ოქტომბერში მოხდა საქართველოში, იყო დიდი გამარჯვება, გადამწყვეტი სიტყვა, ამ რეჟიმის დამარცხებაში თქვა სწორედ ამ არჩევნებმა და შესაბამისად გადამწყვეტი როლიც შეასრულა ქართულმა ოცნებამ და პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილმა, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ყველაფერს წინ უძღვოდა ის უწყვეტი პროცესი, რაზეც ზემოთ გესაუბრეთ და ამის გარეშე ვერავითარი გამარჯვება ვერ იქნებოდა.

***— ბატონო ირაკლი, თქვენ საუბარში აღნიშნეთ, ჩემი აზრით გარდაუვალი იქნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიო, რატომ ფიქრობთ ასე?***

— ამას ლოგიკა გვკარნახობს.

***— სააკაშვილი დაითხოვს პარლამენტს თუ ფიქრობთ, რომ უფრო მოგვიანებით განვითარდება ეს პროცესი, როდესაც ის აღარ იქნება პრეზიდენტი?***

— სააკაშვილს ახალი საპარლამენტო არჩევნები დღევანდელ ვითარებაში აბსოლუტურად არ აწყობს. მან ძალიან კარგად იცის, რომ ახალი საპარლამენტო არჩევნების პირობებში, როდესაც არჩევნები იქნება ნამდვილად თავისუფალი და დამოუკიდებელი, მისი ნაცმოძრაობა საერთოდ აღარ იქნება პარლამენტში წარმოდგენილი. საერთოდ აორთქლდებიან. მე გეტყვით, რა უნდოდა სააკაშვილს, რა იყო მისი ჩანაფიქრი, მას უნდოდა, რომ ჯერ მთავრობა დაეთხოვა და შემდეგ თავისი დანიშნული დროებითი მთავრობით, თავისი შინაგან საქმეთა მინისტრით, არნახული ძალადობის ქვეშ ჩაეტარებინა არჩევნები. მე სააკაშვილის ეს გეგმა ტელევიზიით გავახმოვანე. მე ამაზე შეგნებულად გავამახვილე ყურადღება და გავაგებინე საზოგადოებას, თუ რას გეგმავდნენ სააკაშვილი და მისი უახლოესი გარემოცვა. თავის ჭკუაში ისინი ამუშავებდნენ სერიოზულ გეგმას, პირველ რიგში შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ კონტინგენტთან კავშირების შენარჩუნება, რომელსაც თვლიან, რომ მათი ერთგულნი და მათ მიმართ ლოიალურნი რჩებიან. მეორე, ეს არის ინტენსიური დისკრედიტაცია დასავლეთის თვალში არსებული ხელისუფლების და ბიძინა ივანიშვილის, რომ შექმნილიყო აზრი, აი, შეუძლებელია კოჰაბიტაცია, ამის ატანა უკვე შეუძლებელია, აქ ისეთი რაღაცები ხდება, რომ მერე გაემართლებინათ თავიანთი მთავარი ნაბიჯი, კერძოდ კი სააკაშვილის ჩანაფიქრი. მას უნდოდა, გადაეყენებინა ახალი მთავრობა, ამის შემდეგ იცით, რომ მთავრობას, რომელსაც პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს, კონსტიტუციის თანახმად, სამჯერ პარლამენტის მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში, პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლებაც აქვს. ამის შემდეგ მას მიეცემოდა საშუალება, ჩაეტარებინა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. აი, ასეთ სქემას ამუშავებდა სააკაშვილი და მისი საკმაოდ ვიწრო გარემოცვა. ბოლომდე არ ჰქონდათ გადაწყვეტილი, ამაზე წავიდოდნენ თუ არა, მაგრამ ეს სტრატეგიული გეგმა მათ წრეში მუშავდებოდა. მე ეს თემა სპეციალურად წამოვწიე წინ და ძალიან კმაყოფილი დავრჩი, რომ რამდენიმე დღეში ეს თემა გაჟღერდა თავად ბიძინა ივანიშვილის მიერ.

***— გეგმა ჩაშლილია, ბატონო ირაკლი?***

— იცით, აქ არის ტექნიკური დეტალები. პირველ რიგში, ისეთი კონტრზომები უნდა იქნეს მიღებული, რომელიც ფაქტიურად სააკაშვილს განაიარაღებს, რომ გადადგას ასეთი ავანტიურისტული და ასეთი გიჟური ნაბიჯი. რა თქმა უნდა, ამაზე ალბათ მუშაობენ კიდევაც.

***— ბატონო ირაკლი, იცით, რომ იგეგმება საკონსტიტუციო ცვლილებები და ალბათ ამასაც გაითვალისწინებენ...***

— სწორედ ამის გამო იგეგმება. თუმცა მე ვფიქრობ, თუ კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვების რეალური შესაძლებლობა აქვს ქართულ ოცნებას, კონსტიტუციაში ასეთი ცვლილების შეტანის მაგივრად, ეგება ჯობდა იმპიჩმენტის პროცედურა დაეწყოთ პრეზიდენტის მიმართ. თანაც ამის ყველა საფუძველი არსებობს. უამრავი მასალაა დღეს პროკურატურაში, უამრავი საქმეა, სადაც საბოლოო ჯამში ყველა კვალი მიდის მიხეილ სააკაშვილამდე. მე არ მინდა ეხლა დავკონკრეტდე, მაგრამ უამრავი თემა და უამრავი სისხლის სამართლის საქმეა მის წინააღმდეგ. ამ სიტუაციაში იმპიჩმენტზე ფიქრი იქნებოდა გაცილებით მომგებიანი და სწორი. უხერხულობისგანაც გაგვათავისუფლებდა მთლიანად საზოგადოებას, ვინაიდან ჩვენი საზოგადოება მთლად კარგად არ აღიქვამს, რომ მუდმივად ხდება კონსტიტუციის ცვლილებები. მოდის ხელისუფლება, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე შეცვლის კონსტიტუციას, მერე სხვა ხელისუფლება თავისი ინტერესებიდან და სიტუაციიდან გამომდინარე ცვლის კონსტიტუციას... სიტუაციიდან გამომდინარე ესე არ უნდა ხდებოდეს კონსტიტუციის შეცვლა, თუმცა ჩვენი კონსტიტუცია მაინც დასახვეწია, შესაცვლელია, მე კი არ უარვყოფ ამის შესაძლებლობას, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ იმპიჩმენტის პროცედურა უფრო რეალური მექანიზმია სააკაშვილის განსაიარაღებლად. თუმცა შეიძლება სხვა რაღაცის მოფიქრებაც, მაგალითად, იმ ცვლილების ამოღება, რომელიც ნაციონალებმა დაამატეს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს მაინცდამაინც ოქტომბერში. სააკაშვილს რეალურად ვადა უკვე გაუვიდა. დღეს მე კონკრეტულ რეცეპტს ვერ გეტყვით, მე დაგისახელეთ რამდენიმე ვარიანტი, კონკრეტულად კი ამაზე უნდა იმუშაოს საპარლამენტო უმრავლესობამ, მთავრობამ, რომ რა მექანიზმები უნდა შემუშავდეს იმისათვის, რომ სააკაშვილს და მის გარემოცვას ყველანაირი სურვილი დაეკარგოს ავანტიურული წამოწყების, შეთქმულებების მოწყობის და ასე შემდეგ. ამ მექანიზმების შემუშავება ძალზე რეალურია.

მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ნაციონალური მოძრაობა, რომელიც არ ისვენებს და ჯერ კიდევ ამდენს ფართხალებს და იმუქრებიან კიდეც, დიდი ხანია, ხერხემალში იქნებოდნენ გადატეხილნი, ვანო მერაბიშვილის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი რომ დამდგარიყო ისე, როგორც ეს საჭიროა. უამრავი საქმე არსებობს, რომლის საფუძველზეც თავისუფლად შეუძლიათ დააყენონ მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი ისე, როგორც დააყენეს ადეიშვილის მიმართ.

***— როგორ ფიქრობთ, რატომ იკავებენ თავს?***

— ვერ გეტყვით. იცით, ხალხში უკვე არის ასეთი ეჭვი, რომ აი, ადეიშვილს იმიტომ წაუყენეს, რადგან იციან, რომ არ გადმოსცემენ მას. მელნიკოვის გადმოცემა— არგადმოცემის საკითხიც ხომ გაურკვეველია ჯერ. საზოგადოება ფიქრობს, ალბათ, ადეიშვილიც რომ აქ ყოფილიყო, ალბათ იმასაც არ წაუყენებდნენ ბრალსო. ამას ხალხი ლაპარაკობს. ადეიშვილი ისეთივე ავტორი და შემომქმედი იყო ამ საშინელი რეპრესიური სისტემის, რომელიც საბოლოო ჯამში დანერგა მიხეილ სააკაშვილმა, როგორც ვანო მერაბიშვილი. არის უამრავი სისხლის სამართლის საქმე, საიდანაც თავისუფლად შეიძლება დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი. მერე სასამართლო რას გადაწყვეტს, ეს სხვა ამბავია. უამრავი საქმეა, რომელიც ერთი ჩამოვთვალო, 7 ნოემბერი, 26 მაისი, ვალერი გელაშვილის მხეცური ცემა, გირგვლიანის ამბავი, ვაზაგაშვილის ამბავი და კიდევ რამდენი, ვინ მოთვლის. ამ ყველაფრის მერე ისმის კითხვა, კი მაგრამ, რატომ არ მოჰკითხავენ ამ საქმეებს?! ასევე საქმეები, რომლებიც მთელ რიგ კორუფციულ გარიგებებს ეხება. აი, ამიტომ კითხვის ნიშნები საზოგადოებაში არსებობს, თუ რა იმუნიტეტით სარგებლობს ვანო მერაბიშვილი? აბა, ვანო მერაბიშვილის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს და თქვენ ნახეთ, ყველანაირი ხალისი დაეკარგება სააკაშვილს და ნაცმოძრაობას ავანტიურების წამოწყების. ხალხში ეს ყველაფერი ბევრ კითხვას ბადებს, დაიბარეს ამ პასპორტის ამბავზე და მერე არაფერი... თითქოს სხვა დანაშაულებრივი აქტები არ არსებობს, რის გამოც ამ ადამიანის დაბარება საჭირო იყო პროკურატურაში.

# ნოდიკოსა და სოფოსთვის სიმღერას შვედი კომპოზიტორი დაწერს

ეკა ირემაშვილი

2013 წლის ევროვიზიის ქართველი მონაწილეებისთვის სიმღერას შვედი კომპოზიტორი დაწერს. ტომას ჯეი სონს ევროვიზიისთვის მთლიანობაში 65-ზე მეტი სიმღერა აქვს შექმნილი. ქართველმა მომღერლებმა სოფო გელოვანმა და ნოდიკო ტატიშვილმა კომპოზიტორს საკუთარი მოთხოვნები უკვე გაუგზავნეს. სიმღერა კი ერთ კვირაში იქნება მზად. ტომას ჯეი სონი 2012 წლის გამარჯვებული სიმღერის ავტორიცაა. სწორედ მისმა სიმღერამ მოუტანა გამარჯვება შვედეთის წარმომადგენელ ლორენს.

– ტომას ჯეი სონი შვედია. ის მუშაობს კომპოზიტორად სტუდიაში, რომელიც მის სახელს ატარებს. ჯეი სონმა დაწერა 60-ზე მეტი სიმღერა ევროვიზიის 9 მონაწილე ქვეყნისთვის. ჯეი სონის სახელთან არის დაკავშირებული ევროვიზიის ყველაზე გამორჩეული ჰიტები, მათ შორის ლორენის „ეუფორია“, რომელმაც 2012 წელს ბაქოში გამართულ ევროფესტივალზე გამარჯვება მოიპოვა. კომპოზიტორი მუშაობს ისეთ მომღერლებთან, როგორებიც არიან არაში, ჯონას ბრაზერსი, პასტორა სოლერი, შარლოტა პერელი და სხვა წარმატებული მომღერლები, – ამბობს საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი ნათია უზნაძე.

როგორც საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაახმოვანა, საქართველოს წარმომადგენლებისთვის წლევანდელ ევროვიზიაზე ქართველი დიზაინერი ავთანდილი ჩააცმევს. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ავთანდილი ევროვიზიის მონაწილე ქართველი კონკურსანტებისთვის სასცენო კოსტიუმებს შექმნის. 2013 წლის ევროფესტივალზე საქართველოს სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი წარადგენენ. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა წელს თავისი უფლება გამოიყენა და საქართველოს წარმომადგენლები შიდაშესარჩევი კონკურსის გამოცხადების გარეშე დაასახელა.

რიგით 58-ე ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ნახევარფინალებსა და ფინალს შვედეთის ქალაქი მალმე 14, 16 და 18 მაისს უმასპინძლებს. ევროვიზიის სიმღერის კონკურსში წელს 39 ქვეყანა მონაწილეობს. ევროპის მაუწყებელთა კავშირმა გაახმოვანა, რომ საკონკურსო მარათონში წელს ჩაერთვებიან ალბანეთი, ავსტრია, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, ისრაელი, იტალია, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, მალტა, მოლდოვა, მონტენეგრო, ჰოლანდია, ნორვეგია, რუმინეთი, რუსეთი, სან მარინო, სერბეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, უკრაინა და დიდი ბრიტანეთი.

წლევანდელ ევროვიზიაში მონაწილეობაზე უარი 10-მა ქვეყანამ უკვე განაცხადა. თურქეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ჩეხეთი, პოლონეთი, პორტუგალია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი და სლოვენია საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსში „ევროვიზია-2013“ მონაწილეობას არ მიიღებენ. თურქეთის გარდა, ყველა ქვეყანა საკუთარ გადაწყვეტილებას ფინანსური პრობლემებით ხსნის. თურქეთი კი პროტესტის მიზეზად ხმათა უსამართლო დათვლას ასახელებს. თურქეთის სახელმწიფო ტელეკომპანიის ინფორმაციით, ქვეყანა უკმაყოფილოა იმით, რომ კომბინირებული ხმის მიცემის პროცესში ჟიურის წევრებთან შედარებით ტელემაყურებელთა გავლენა შემცირდა. თურქეთი ასევე არ ეთანხმება ტრადიციას, რომლის მიხედვით, კონკურსის დამფუძნებელი და სპონსორი ქვეყნები – გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და იტალია ფინალში ავტომატურად ხვდებიან. ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით, კონკურსში მონაწილეობაზე უარი თქვეს საბერძნეთმა დ კვიპროსმა, რომლებსაც ასევე ეკონომიკური კრიზისი აქვთ. ევროვიზიის მონაწილე თითოეული ქვეყნისთვის შენატანი 100.000 გირვანქა სტერლინგია.



ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ორგანიზატორი ევროპის მაუწყებელთა კავშირია, ევროვიზიაზე კონკურსანტების წარდგენის უფლება ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრ მაუწყებლებს აქვთ. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრია. ევროვიზიაზე კონკურსანტების წარდგენის უფლება ევროფესტივალის მონაწილე ქვეყნების საზოგადოებრივ მაუწყებლებს აქვთ. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი 2004 წლიდან ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრია, შესაბამისად, მაუწყებელი საქართველოდან კონკურსანტის წარდგენის ექსკლუზიურ უფლებას ფლობს. თუკი წინა წლებში საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კონკურსი გამოაცხადა და შიდაშესარჩევი კონკურსის წყალობით გამოავლინა გამარჯვებული, ამჯერად ყოველგვარი კონკურსის გარეშე დაასახელა „ევროვიზია 2013“-ის მონაწილეები.

– ევროვიზიის სიმღერის კონკურსი ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ევროპული სატელევიზიო კონკურსია, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცემა ევროვიზიის სატელიტური ქსელის მეშვეობით. ამ გადაცემას 100 მილიონზე მეტი მაყურებელი ჰყავს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. კონკურსის შექმნის იდეა 1955 წელს ევროპის სამაუწყებლო კავშირის მონაკოს შეხვედრაზე გაჩნდა, იტალიის სანრემოს მუსიკის ფესტივალი კი კონკურსის მოდელად იქცა. იდეის ავტორი ფრანგი მარსელ ბაისონი კონკურსის მიზნად გახლეჩილი ევროპის ცივი ომის აგონიიდან გამოყვანას, ევროპის გაერთიანების ხელშეწყობას, ასევე, სატელევიზიო მაუწყებლობების არსებული ტექნოლოგიების გამოცდას ასახელებს. ევროვიზიის სიმღერის კონკურსი პირველად 1956 წლის 24 მაისს შვეიცარიის ქალაქ ლუგანოში ჩატარდა და მასში მხოლოდ 7-მა ქვეყანამ – შვეიცარია, ნიდერლანდები, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი და იტალია მიიღო მონაწილეობა. დროთა განმავლობაში კონკურსს სხვა ქვეყნებიც ემატებოდა, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ კი მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. XX საუკუნის დასასრულს კონკურსში მონაწილეთა რიცხვი 40 ქვეყნამდე გაიზარდა. პირველი ევროვიზიის კონკურსის გამარჯვებული გახდა შვეიცარიის წარმომადგენელი ლიზ ასია, თუმცა შემდგომ წლებში ამ კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა ცნობილმა მომღერლებმა, როგორებიც არიან აბბა, სელინ დიონი, ტოტო კუტუნიო. თავდაპირველად ევროვიზიის ორგანიზატორების მიერ დადგენილი წესის მიხედვით, კონკურსში მონაწილეებს მხოლოდ მშობლიურ ენაზე უნდა შეესრულებინათ სიმღერა, მაგრამ ბოლო ხანებში ეს მოთხოვნა გამარტივდა და მათ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა მიეცათ. კონკურსის უმნიშვნელოვანესი წესი კი ის არის, რომ ქვეყანა, რომლის წარმომადგენელიც ამ პრესტიჟულ კონკურსს იგებს, შემდეგი წლის კონკურსის მასპინძლობის უფლებას მოიპოვებს, – ამბობს ნათია უზნაძე.

საქართველო ევროფესტივალზე პირველად 2007 წელს გამოჩნდა. პირველი მონაწილე სოფო ხალვაში იყო. მან მე-12 ადგილი დაიკავა. შემდეგი კონკურსანტი დიანა ღურწკაია აღმოჩნდა. 2009 წელს საქართველოს შიდაშესარჩევი კონკურსის გამარჯვებული ჯგუფი „სტეფანე და 3 გოგო“ გახდა. ჯგუფს საქართველოს სახელით მოსკოვში გამართულ ევროფესტივალზე უნდა შეესრულებინა სიმღერა „პუტინ დისკო“. მედიასაშუალებებში გახმოვანდა, რომ სიმღერას ორაზროვანი, პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, რომელიც რუსეთის პრემიერ-მინისტრის მისამართით ვრცელდებოდა. ევროპის მაუწყებელთა კავშირმა უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ქართულ მხარეს სიმღერის შეცვლა შესთავაზა. მოგვიანებით, საქართველომ კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ოსლოში გამართულ რიგით 55-ე ევროფესტივალზე საქართველოს წარმომადგენელი სოფო ნიჟარაძე საუკეთესო ათეულში მოხვდა. კონკურსზე, რომელშიც 39 ქვეყანა მონაწილეობდა, მან მეცხრე ადგილი დაიკავა. ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველოს წარმომადგენელმა ჯგუფმა „ელდრაინი“ სოფო ნიჟარაძის წარმატება გაიმეორა და ასევე მეცხრე ადგილი დაიკავა. გასულ წელს კი საქართველოსთვის ევროვიზიის ფესტვიალი ყველაზე წარუმატებელი აღმოჩნდა – საქართველოს წარმომადგენელი მომღერალი ანრი ჯოხაძე კონკურსის ფინალში ვერ გადავიდა და ევროვიზიას ნახევარფინალიდან გამოეთიშა.

58-ე ევროფესტივალის რეპეტიციების განრიგი უკვე შედგენილია. ევროპის მაუწყებელთა კავშირმა და 2013 წლის ევროფესტივალის მასპინძელმა მაუწყებელმა რეპეტიციების განრიგი გაახმოვანეს. 6 მაისს ევროკვირეული ევროკლუბის გახსნით დაიწყება, 9 მაისამდე ჩატარდება რეპეტიციები ნახევარფინალებისთვის დახურულ კარს მიღმა. ჟურნალისტებსა და ევროვიზიის გულშემატკივარს რეპეტიციებისთვის თვალის დევნება ევროკლუბში დამონტაჟებული მონიტორების საშუალებით შეეძლებათ. რეპეტიციების შემდეგ კონკურსანტები ევროკლუბში გადაინაცვლებენ, სადაც მასმედიის წარმომადგენლების შეკითხვებს უპასუხებენ და გაიმართება ფოტოსესიაც. 10 მაისს პრესცენტრი მალმეს არენის მახლობლად გაიხსნება, სადაც ევროპის მაუწყებელთა კავშირი და მასპინძელი მაუწყებელი ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ. 10-დან 12 მაისამდე რეპეტიციების მეორე ტური გაიმართება და მედიის წარმომადგენლებს მასზე დასწრების შესაძლებლობა ექნებათ. რეპეტიციების შემდეგ კონკურსანტები 20- წუთიან პრესკონფერენციას გამართავენ, შედგება ინტერვიუები და ფოტოსესიები. 12 და 15 მაისს რეპეტიციებს გაივლიან „ევროვიზიის დიდი ხუთეულის ქვეყნები“ – საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი და შვედეთი (მასპინძელი). 13-დან 18 მაისამდე გაიმართება კოსტიუმირებული რეპეტიციები, ნახევარფინალები და ფინალი.

რომელ ნახევარფინალურ საღამოზე იმღერებენ ევროვიზიის ქართველი მონაწილეები, ეს 17 იანვარს გაირკვევა. კენჭისყრა ევროვიზიის კონკურსანტების რიგითობასთან დაკავშირებით, სწორედ ამ დღეს არის დაგეგმილი.

– ევროვიზიიის კონკურსების მმართველმა ორგანომ და ევროპის მაუწყებელთა კავშირმა კონკურსის პირობებში გარკვეული ცვლილებები შეიტანეს. ცვლილების თანახმად, კენჭისყრის შედეგად გაირკვევა თუ რომელ ნახევარფინალურ საღამოზე გამოვა ესა თუ ის ქვეყანა, მაგრამ სცენაზე გამოსვლის რიგითობას შოუს პროდიუსერები განსაზღვრავენ. 2013 წლამდე ევროვიზიის კონკურსანტების სცენაზე გამოსვლის თანმიმდევრობა მარტში, დელეგაციების ხელმძღვანელების შეხვედრისას, კენჭისყრის შედეგად ირკვეოდა. ევროვიზიის სიმღერის კონკურსის წესის თანახმად, ფინალში ავტომატურად გადავლენ მასპინძელი ქვეყნის – შვედეთისა და „დიდი ხუთეულის“ გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ესპანეთისა, იტალიის წარმომადგენლები. დანარჩენი ფინალისტების ვინაობა ნახევარფინალების შედეგად გამოვლინდება. 17 იანვარსვე გაიმართება გასაღების გადაცემის ტრადიციული ცერემონიალიც. ევროვიზიის ტრადიციის შესაბამისად, 2012 წლის ევროფესტივალის მასპინძელი ქალაქის ბაქოს მერი „ევროვიზიის გასაღებს“ მალმეს მერს ცერემონიალზე გადასცემს. გასაღები მალმეში ერთი წლის განმავლობაში დარჩება, შემდეგ კი 58-ე ევროვიზიის გამარჯვებულ ქვეყანას გადაეცემა, – აღნიშნავს ნათია უზნაძე.

საქართველოს წარმომადგენლებმა წლევანდელ ევროვიზიაზე სოფო გელოვანმა და ნოდიკო ტატიშვილმა უკვე გააგზავნეს გზავნილი 2013 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე და ვიდეომიმართვა გაავრცელეს:

– გამარჯობა, ჩვენ ვართ ნოდი და სოფი და წარმოვადგენთ საქართველოს 2013 წლის ევროვიზიის საერთაშორისო კონკურსზე ქალაქ მალმეში, შვედეთში. ჩვენ ვართ ევროპული ოჯახის წევრი და დიდი სიყვარულით გიმღერებთ ჩვენს სიმღერას ევროვიზიის კონკურსზე! გვიგულშემატკივრეთ! – აღნიშნავენ თავის გზავნილში ნოდიკო და სოფო.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

# ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმმა მწვრთნელებზე არ ისაუბრა

როგორც უკვე ვწერდით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა, რომელზეც მწვრთნელთა საკითხის ნაცვლად 19-24 მარტს თბილისში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე იმსჯელეს.

სხდომას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და სპორტის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ლერი ხაბელოვი ესწრებოდნენ.



ითქვა, რომ უახლოეს მომავალში შეიქმნება სპეციალური სამთავრობო კომისია, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი უხელმძღვანელებს და თითოეული საორგანიზაციო დეტალი უმაღლეს დონეზე მოგვარდება. უკვე შეიქმნა ევროპირველობის საორგანიზაციო მუშა-ჯგუფი, რომელშიც ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელობისა და ვეტერანი მოჭიდავეების გარდა ძიუდოს ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი ვლადიმერ ნუცუბიძეც შეიყვანეს.

სხდომაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ვიცე-პრეზიდენტების დამტკიცება იყო. მოგეხსენებათ, ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა კურტანიძეს მათი წარდგენის ნება ჰქონდა, კანდიდატურები კი პრეზიდიუმს უნდა დაემტკიცებინა.

საბოლოოდ ამ პოსტებზე ბიზნესმენი ვალერი გელაშვილი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბაკურ გოგიტიძე და წლების განმავლობაში დედაქალაქის სპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ვლადიმერ კანკავა აირჩიეს.



მათი ფუნქციები ასე გადანაწილდება: გელაშვილი ბიზნესთან ურთიერთობაზე იმუშავებს, გოგიტიძე რეგიონებში მუშაობის გაძლიერებას მიხედავს, კანკავა კი უფრო ფედერაციის საორგანიზაციო საკითხებს მოაგვარებს.

კურტანიძის ინიციატივით, ჩამოყალიბდა ჩემპიონთა კლუბი, რომელიც ქვეყნის ყველა ტიტულოვან ფალავანს გააერთიანებს.

თევზაძის თქმით, უკვე ამ სეზონიდან საკლუბო სისტემა ამოქმედდება და ვინძლო საქართველოს საკლუბო პირველობაც ჩატარდეს.

წინასწარ დაანონსებულ საკითხზე – მწვრთნელთა კორპუსში ახლახან განხორციელებულ ცვლილებებზე ამჯერად არაფერი თქმულა.

დღის წესრიგში შეტანილი ძირითადი საკითხების ამოწურვის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ დამსწრეთ შეახსენა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში მწვრთნელობის მოვალეობის შემსრულებელთა დანიშვნის შესახებ, მაგრამ პრეზიდიუმის წევრებმა ამ თემის განვრცობა არ ისურვეს, აქაოდა პრეზიდენტმა თავისი უფლებამოსილება გამოიყენა, ამასთან ეს საკითხი დღის წესრიგშიც არაა შეტანილი და მასზე ლაპარაკი აღარ ღირსო.

პრეზიდიუმის სხდომის დაწყებამდე სპორტის სამინისტროს წინ ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების ყოფილი მწვრთნელები შეიკრიბნენ. ახალგაზრდული გუნდის თავკაცის, ნუგზარ სხირელის განცხადებით, ფედერაციის პრეზიდენტი უსამართლოდ მოექცა და თუ კურტანიძის გადაწყვეტილებას პრეზიდიუმის წევრებიც მხარს დაუჭერდნენ, მაშინ სიმართლის დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტის სპორტის კომიტეტს და სხვა ინსტანციებს მიმართავდა.

# შენგელიამ კოკოშკოვს აჯობა

ნიუ იორკში ერთმანეთს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, იგორ კოკოშკოვი და ფორვარდი თორნიკე შენგელია პირისპირ შეხვდნენ. „ფინიქსის" ასისტენტ მწვრთნელ კოკოშკოვს შენგელიას თამაშის შესახედად 2 წუთი და 7 წამი ჰქონდა – სწორედ ამდენ ხანს იმყოფებოდა „ბრუკლინის" ქართველი ფორვარდი მოედანზე. შენგელიამ 2 სათამაშო წუთი მშვენივრად გამოიყენა და ორიდან ორივე სროლა ჩააგდო. თორნიკემ 4 ქულა, 1 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა. იმ დროში, რაც მას გამოუყვეს, მაქსიმალურად კარგად წარმოაჩინა თავი.

რაც შეეხება მატჩის შედეგს, შენგელიას გუნდმა 20 ქულით გაანადგურა „ფინიქსი". მასპინძლებმა არიზონელებს საბოლოოდ 99:79 სძლიეს. „ბრუკლინისთვის" ეს ზედიზედ მე-6 მატჩი გამარჯვება იყო, რის შემდეგაც „ნეთსმა" აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-4 ადგილზე გადაინაცვლა და ადგილი ზაზა ფაჩულიას „ატლანტას" გაუცვალა.

„ატლანტამ" კი, ამასობაში 2 მატჩის გამართვა მოასწრო. ჯორჯიელებმა ჯერ „იუტა ჯაზი" დაამარცხეს – 103:95.

ქართველი ცენტრი სათადარიგო იყო და მოედანზე გატარებულ 20 წუთში საკმაოდ პროდუქტიული გახლდათ. ზაზამ 7-დან 5 ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, რამაც მთლიანობაში 12 ქულა შეადგინა. ფაჩულიას ასევე 3 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა ჰქონდა, ბურთიც ერთხელ დაკარგა.

შემდეგ კი, ზაზა ფაჩულია და „ატლანტა" სტუმრად „ვაშინგტონს" დაუპირისპირდნენ. ჯორჯიულმა კლუბმა ბოლომდე იბრძოლა, თუმცა ტრავმის შემდეგ, გუნდის უდავო ლიდერის ჯონ ვოლის დაბრუნებით ფრთაშესხმულმა „ვიზარდსმა" შეხვედრის დასკვნითი ნაწილი ოდნავ უკეთ ჩაატარა და 10 ქულიანი სხვაობით იმარჯვა – 93:83.

ზაზა ფაჩულია მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და პარკეტზე 17:27 წუთი დაყო. ამ დროის განმავლობაში ქართველმა ცენტრმა 5 ქულა და 6 მოხსნა დააგროვა.

# ნაკრებთა მწვრთნელები დალაგდნენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების მწვრთნელების საგანგებო, გაფართოებული შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ყველა ნაკრების მწვრთნელები ესწრებოდნენ და არაერთ საინტერესო და საჭირო თემაზე იმსჯელეს. აქვე გეტყვით, რომ ყველა ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელებთან გაფორმდა ახალი ხელშეკრულებები.

სიახლეა 19-წლამდე ნაკრების სამწვრთნელო შტაბში. კახა კაჭარავას ნაკრებიდან წასვლის შემდეგ, 19-წლამდე ნაკრები გია ცეცაძემ ჩაიბარა მეთ მომავალი წელი. რამდენიმე ახალი სახეც დავინახე სხვადასხვა ნაკრებების სამწვრთნელო შტაბებში, ძალიან მესიამოვნა და მინდა, ჩემს კოლეგებს წარმატებები ვუსურვო. წელს ვისაც უწევს ოფიციალურ ტურნირებში თამაში, ლოგიკურად, იმ ნაკრებებზე იქნება განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებული. ასევე, შევჯერდით იმაზე, რომ უფროს ასაკებში შეკრებები ერთ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ველარ გვექნება, რადგან ფეხბურთელებს ჩვენს ნებაზე და ხანგრძლივი დროით კლუბები არ გამოუშვებენ. ძალიან საინტერესო წინადადება შემო-



და სწორედ, მისი ხელმძღვანელობით გააგრძელებს გუნდი ელიტრაუნდში ბრძოლას.

საერთო ჯამში კი, ნაკრებების სამწვრთნელო შტაბები ასე დაკომპლექტდა: უცვლელად დარჩნენ ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელები. როგორც უკვე ვთქვით, 19-წლამდელებს გია ცეცაძე უხელმძღვანელებს. მას ზაზა ბაკურაძე, თემურ ლორთქიფანიძე და გრიგოლ ჭანტურია დაეხმარებიან.

18-წლამდელებს ვასილ მაისურაძე უთავკაცებს; კვლავ მერაბ კაციტაძესთან და თეიმურაზ ჩარკვიანთან ერთად.

17-წლამდე ნაკრები – გიორგი დევდარიანი, გიორგი მიქაძე, ირაკლი ბალაძე, ივანე ლუცენკო;

16-წლამდე ნაკრები – ნოდარ აკობია, ჯუმბერ ბურჯანაძე, ზვიად სტურუა;

15-წლამდე ნაკრები – გოჩა ტყებუჩავა, გიორგი ნემსაძე, ზვიად სტურუა;

14-წლამდე ნაკრები – გოჩა ავსაჯანიშვილი, ვახტანგ იაგორაშვილი, ტარიელ კანდელაკი, აკაკი დევაძე;

13-წლამდე ნაკრები – ოთარ კორღალიძე, ლევან ბარათაშვილი, ვასილ მიქაშავიძე, აკაკი დევაძე;

შეხვედრაზე მწვრთნელებმა დაწვრილებით განიხილეს 2013 წლის გეგმები და რა თქმა უნდა, უპირატესობა იმ ნაკრებების მზადებას მიენიჭება, რომლებსაც უეფას ოფიციალურ ტურნირებში უწევთ თამაში. მწვრთნელები ნაკრებებს შორის კოორდინირებული მუშაობის პრინციპებზე კიდევ ერთხელ შეთანხმდნენ. რამდენიმე საინტერესო წინადადებით მიმართა კოლეგებს ეროვნული გუნდის თავკაცმა თემურ ქეცბაიამ, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა. მათგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იდეაა უმაღლესი ლიგის კლუბების შემადგენლობაში ახალგაზრდა ფეხბურთელების მეტი ჩართულობა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, სფფ-ის ოფიციალურ ვებგვერდთან კომენტარი გააკეთა 18-წლამდელთა მთავარმა მწვრთნელმა ვასილ მაისურაძემ, რომელმაც ქეცბაიას ინიციატივაზეც ისაუბრა.

**ვასილ მაისურაძე:**

– ძალიან საჭირო და საინტერესო შეხვედრა გამოგვივიდა. დავგეგ-

იტანა თემურ ქეცბაიამ, რასაც საფეხბურთო საზოგადოება ძალიან მალე გაიგებს და ვფიქრობ, მსგავსი ინიციატივები მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია. საუბარია იმაზე, რომ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბების შემადგენლობაში აუცილებლად უნდა თამაშობდეს ორი ახალგაზრდა – 21 წლამდე ფეხბურთელი, რათა მათი განვითარება და ადაპტაცია მალე მოხდეს და შესაბამისად, ეს მოთამაშეები ნაკრებებისთვისაც მეტი სარგებლის მომტანნი გახდნენ. შორს რომ არ წავიდეთ, ჩემი ნაკრების ერთ-ერთი კონკურენტის, ჰოლანდიის გუნდის მაგალითს მოგიყვანთ. იმ ნაკრების ფეხბურთელთა უმრავლესობა, ჰოლანდიის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდებში თამაშობს. თუ ჩვენ გვინდა, რომ ევროპულ სტანდარტებს მივუახლოვდეთ, ჩვენს ახალგაზრდებს აუცილებლად უნდა მივცეთ შანსი და საშუალება, რომ მათაც დიდ გუნდებში ითამაშონ და გამოცდილება მიიღონ. დამიჯერეთ, ეს ძალიან ბევრს მოგვცემს. უახლოეს დღეებში, ფედერაციაში ჩვენ შევხვდებით კლუბების ხელმძღვანელებს და ამ საკითხზე მათთან მოვილაპარაკებთ. ვნახოთ, როგორ რეაგირებას მოახდენენ. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში კი, საკითხი უკვე აღმასკომზე გავა და დებულებაშიც ჩაიდება. უშუალოდ ჩემს გუნდს რაც შეეხება, გვინდა, რომ მოსამზადებელი პროცესი რაც შეიძლება მალე დაიწყოს. რაც უკვე ვიცით, ფედერაციის ხელმძღვანელობის მიერ გამართული მოლაპარაკებების შედეგად, ამხანაგურ თამაშებს ვითამაშებთ გასვლაზე უკრაინასთან, პოლონეთთან და ბელარუსშიც წავალთ ტურნირზე. ცოტა მოგვიანებით კი, შემოდგომისკენ, ლონდონში ვეთამაშებით ინგლისის ნაკრებს. როგორც უკვე გითხარით, ასაკიდან გამომდინარე, იმის ფუფუნება აღარ გვექნება, რომ როცა მოვისურვებთ, მაშინ შევკრიბოთ გუნდი, რადგან უკვე უეფას დღეების ჩარჩოებში უნდა ჩავჯდეთ.

ასე რომ, მომავალი კვირის დასაწყისშივე, ფედერაციაში უკვე უმაღლესი ლიგის კლუბების ხელმძღვანელები და ნაკრებების მწვრთნელები შეიკრიბებიან და ზემოთ ნახსენებ ინიციატივას განიხილავენ. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში კი, საკითხი აღმასკომზე გასატანად მომზადდება.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ამხანაგური მატჩები

ზამბია-ნორვეგია ... 0:0
ს.აფრიკა-ალჟირი ... 0:0
ნამიბია-მაროკო ... 1:2

### ინგლისი. პრემიერლიგა

ქპრ-ტოტენჰემი ... 0:0
ასტონ ვილა-საუთჰემპტონი ... 0:1
ნორვიჩი-ნიუკასლი ... 0:0
რედინგი-ვესტ ბრომვიჩი ... 3:2
სანდერლენდი-ვესტ ჰემი ... 3:0
სტოკი-ჩელსი ... 0:4
ფულემი-უიგანი ... 1:1
ევერტონი-სუონსი ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 21 | 17 | 1 | 3 | 54:28 | 52 |
| 2.სიტი | 21 | 13 | 6 | 2 | 41:19 | 45 |
| 3.ტოტენჰემი | 22 | 12 | 4 | 6 | 39:27 | 40 |
| 4.ჩელსი | 21 | 12 | 5 | 4 | 43:19 | 41 |
| 5.ევერტონი | 22 | 9 | 10 | 3 | 35:26 | 37 |
| 6.არსენალი | 20 | 9 | 7 | 4 | 40:22 | 34 |
| 7.ვესტ ბრომვიჩი | 22 | 10 | 3 | 9 | 31:30 | 33 |
| 8.ლივერპული | 21 | 8 | 7 | 6 | 34:26 | 31 |
| 9.სუონსი | 22 | 7 | 9 | 6 | 31:26 | 30 |
| 10.სტოკი | 22 | 6 | 11 | 5 | 21:24 | 29 |
| 11.ვესტ ჰემი | 21 | 7 | 5 | 9 | 24:27 | 26 |
| 12.ნორვიჩი | 22 | 6 | 8 | 8 | 24:34 | 26 |
| 13.ფულემი | 22 | 6 | 7 | 9 | 33:38 | 25 |
| 14.სანდერლენდი | 22 | 6 | 7 | 9 | 24:29 | 25 |
| 15.საუთჰემპტონი | 21 | 5 | 6 | 10 | 28:38 | 21 |
| 16.ნიუკასლი | 22 | 5 | 6 | 11 | 27:39 | 21 |
| 17.ასტონ ვილა | 22 | 4 | 7 | 11 | 17:42 | 19 |
| 18.უიგანი | 22 | 5 | 4 | 13 | 23:40 | 19 |
| 19.რედინგი | 22 | 3 | 7 | 12 | 26:42 | 16 |
| 20.ქპრ | 22 | 2 | 8 | 12 | 17:36 | 14 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბარნსლი-ლიდსი ... 2:0
ბარნლი-კრ.პალასი ... 1:0
ბოლტონი-მილუოლი ... 1:1
ბრაიტონი-დერბი ... 2:1
ბრისტოლი-ლესტერი ... 0:4
კარდიფი-იფსვიჩი ... 0:0
მიდლსბრო-უოტფორდი ... 1:2
ნოტინგემი-პიტერბრო ... 2:1
ჰადერსფილდი-ბირმინგემი ... 1:1
ჩარლტონი-ბლექპული ... 2:1
ჰალი-უენსდი ... 1:3

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვალიადოლიდი-მალიორკა ... 3:1
ესპანიოლი-სელტა ... 1:0
ოსასუნა-რეალი ... 0:0
ვალენსია-სევილია ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 18 | 17 | 1 | 0 | 61:19 | 52 |
| 2.ატლეტიკო | 18 | 13 | 2 | 3 | 38:18 | 41 |
| 3.რეალი | 19 | 11 | 4 | 4 | 45:20 | 37 |
| 4.მალაგა | 18 | 9 | 4 | 5 | 28:13 | 31 |
| 5.ბეტისი | 18 | 10 | 1 | 7 | 28:29 | 31 |
| 6.რაიო | 19 | 10 | 1 | 8 | 27:34 | 31 |
| 7.ვალენსია | 19 | 9 | 3 | 7 | 27:27 | 30 |
| 8.ლევანტე | 18 | 9 | 3 | 6 | 24:25 | 30 |
| 9.სოსიედადი | 18 | 7 | 4 | 7 | 27:24 | 25 |
| 10.ვალიადოლიდი | 19 | 7 | 4 | 8 | 27:25 | 25 |
| 11.ხეტაფე | 18 | 7 | 3 | 8 | 24:26 | 24 |
| 12.სევილია | 19 | 6 | 4 | 9 | 23:28 | 22 |
| 13.სარაგოსა | 18 | 7 | 1 | 10 | 20:26 | 22 |
| 14.ბილბაო | 19 | 6 | 3 | 10 | 23:38 | 21 |
| 15.ესპანიოლი | 19 | 4 | 6 | 9 | 20:30 | 18 |
| 16.სელტა | 19 | 5 | 3 | 11 | 19:24 | 18 |
| 17.მალიორკა | 19 | 4 | 5 | 10 | 18:33 | 17 |
| 18.გრანადა | 18 | 4 | 4 | 10 | 14:27 | 16 |
| 19.ოსასუნა | 19 | 3 | 6 | 10 | 14:20 | 15 |
| 20.დეპორტივო | 18 | 3 | 6 | 9 | 22:39 | 15 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ბარსელონა ბ-ხერესი ... 4:2
გვადალახარა-ელჩე ... 0:0
ალმერია-ვილიარეალი ... 1:1

### იტალია. სერია ა

ბოლონია-კიევო ... 4:0
ინტერი-პესკარა ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 19 | 14 | 2 | 3 | 40:13 | 44 |
| 2.ლაციო | 19 | 12 | 3 | 4 | 28:19 | 39 |
| 3.ინტერი | 20 | 12 | 2 | 6 | 32:22 | 38 |
| 4.ფიორენტინა | 19 | 10 | 5 | 4 | 36:21 | 35 |
| 5.ნაპოლი | 19 | 12 | 3 | 4 | 37:18 | 37 |
| 6.რომა | 19 | 10 | 2 | 7 | 43:33 | 32 |
| 7.მილანი | 19 | 9 | 3 | 7 | 36:27 | 30 |
| 8.პარმა | 19 | 8 | 5 | 6 | 27:25 | 29 |
| 9.უდინეზე | 19 | 6 | 9 | 4 | 29:26 | 27 |
| 10.კატანია | 19 | 7 | 5 | 7 | 26:27 | 26 |
| 11.კიევო | 20 | 7 | 3 | 10 | 21:33 | 24 |
| 12.ატალანტა | 19 | 7 | 3 | 9 | 18:28 | 22 |
| 13.ბოლონია | 20 | 6 | 3 | 11 | 25:26 | 21 |
| 14.ტორინო | 19 | 4 | 9 | 6 | 20:22 | 20 |
| 15.სამპდორია | 19 | 6 | 3 | 10 | 22:28 | 20 |
| 16.პესკარა | 20 | 6 | 2 | 12 | 17:37 | 20 |
| 17.ჯენოა | 19 | 4 | 5 | 10 | 20:30 | 17 |
| 18.კალიარი | 19 | 5 | 4 | 10 | 17:35 | 16 |
| 19.პალერმო | 19 | 3 | 6 | 10 | 16:29 | 15 |
| 20.სიენა | 19 | 4 | 5 | 10 | 17:28 | 11 |

**შენიშვნა:**
**სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა**
**ნაპოლის დაკლებული აქვს 2 ქულა**
**სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა**

### საფრანგეთი. 1 ლიგა

ტრუა-ლიონი ... 1:2
მონპელიე-ლორიენი ... 2:0
ნანსი-ლილი ... 2:2
რენი-ბორდო ... 0:2
ევიანი-ბრესტი ... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლიონი | 20 | 12 | 5 | 3 | 35:18 | 41 |
| 2.პსჟ | 20 | 11 | 6 | 3 | 36:12 | 39 |
| 3.მარსელი | 19 | 12 | 2 | 5 | 24:20 | 38 |
| 4.ბორდო | 20 | 7 | 11 | 2 | 23:14 | 32 |
| 5.რენი | 20 | 10 | 2 | 8 | 29:26 | 32 |
| 6.ლორიანი | 20 | 8 | 7 | 5 | 32:31 | 31 |
| 7.ლილი | 20 | 7 | 9 | 4 | 25:20 | 30 |
| 8.მონპელიე | 20 | 8 | 5 | 7 | 31:24 | 29 |
| 9.ვალანსიენი | 19 | 8 | 5 | 6 | 31:24 | 29 |
| 10.ნიცა | 19 | 7 | 8 | 4 | 26:26 | 29 |
| 11.სენტ ეტიენი | 20 | 7 | 7 | 6 | 26:16 | 28 |
| 12.ტულუზა | 20 | 7 | 6 | 7 | 27:22 | 27 |
| 13.ბრესტი | 20 | 7 | 3 | 10 | 22:28 | 24 |
| 14.ბასტია | 19 | 6 | 4 | 9 | 26:41 | 22 |
| 15.აიაჩო | 20 | 5 | 7 | 8 | 21:29 | 20 |
| 16.რეიმსი | 19 | 4 | 7 | 8 | 16:20 | 19 |
| 17.ევიანი | 20 | 5 | 4 | 11 | 22:34 | 19 |
| 18.სოშო | 19 | 4 | 4 | 11 | 17:29 | 16 |
| 19.ტრუა | 20 | 2 | 7 | 11 | 21:39 | 13 |
| 20.ნანსი | 20 | 1 | 9 | 10 | 17:35 | 12 |

**შენიშვნა:**
**აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა**

### საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ოსერი-კაენი ... 1:2

### პორტუგალია. ა ლიგა

გიმარაეში-მარიტიმუ ... 1:1
ნასიონალი-ბრაგა ... 3:2

### საბერძნეთი. სუპერლიგა

აეკი-ქსანთი ... 1:0
პანთრათიკოსი-პლატანიასი ... 1:1
ლევადიაკოსი-ოლიმპიაკოსი ... 0:1

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული სეზონი

კლიპერსი-ორლანდო ... 101:104
ვაშინგტონი-ატლანტა ... 93:83
**ზაზა ფაჩულია:** 5 ქულა, 6 მოხსნა
ინდიანა-შარლოტი ... 96:88
დეტროიტი-იუტა ... 87:90
ფილადელფია-ჰიუსტონი ... 107:100
ჩიკაგო-ფინიქსი ... 81:97
დალასი-მემფისი ... 104:83
საკრამენტო-მაიამი ... 99:128

## ჩოგბურთი

### ატპ. სიდნეი. ჰაიდი

**ფინალი**

ტომიჩი-ანდერსონი ... 6:3;6:7;6:3

### ატპ. ოკლენდი. ჰაიდი

**ფინალი**

ფერერი-კოლშრაიბერი ... 7:6;6:1

### ვტა. მეიდა პობსიტი. ჰაიდი

**ფინალი**

ბარტელი-ვესნინა ... 3:6;4:6

# ალ ჯაზირა: „მესის ხმები გააყალბეს"

არაბული ტელევიზია „ალ ჯაზირა" სკანდალს აგორებს – „ოქროს ბურთის" ბოლო მფლობელი ლეო მესი ხმების ნაწილის გაყალბებით გახდა!

„ალ ჯაზირას" ცნობით, ჩეხეთის ნაკრების კაპიტანმა ტომაშ როსიცკიმ ხმა მარიო ბალოტელის მისცა, თუმცა საბოლოო დოკუმენტში წერია, თითქოს მას ხმა ლეო მესისთვის მიეცა.

**ანალოგიურ სიტუაციაშია ბრაზილიელთა კაპიტანი ტიაგო სილვა:**

– მე ხმა კრიშტიანოს მივეცი, თუმცა ფიფას მიხედვით, ხმა მესისთვის მიმიცია. ეს ყველაფერი ძალზე სამწუხაროა.

ამბობენ, რომ გაბონის მწვრთნელ პაულუ დუარტეს, რომელიც პორტუგალიელია, ხმა რონალდოსთვის მიუცია, თუმცა ფიფას სიაში მისი ხმა მესის სასარგებლოდ არის დაფიქსირებული.

**ფიფამ უმალვე უარყო ბრალდება:**

– საბოლოო დოკუმენტი ზედმიწევნით ზუსტია. ყველაფერი გადავამოწმეთ და შეცდომა არსადაა. ყველას შეუძლია სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია მისცეს თავის მოქმედებას, თუ რატომ არ ახსოვთ, ვის მისცეს ხმა, – აცხადებენ ფიფას მაღალჩინოსნები. შეგახსენებთ, რომ 7 იანვარს ფიფას „ოქროს ბურთის" მფლობელი ლეო მესი გახდა, მეორე ადგილზე კი კრიშტიანო რონალდო გავიდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ხელოვნების სასახლე უნიკალურ საგანძურს გამოფენს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი უნიკალური საგანძურის გამოფენას აწყობს. 14 იანვარს თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის სააქტო დარბაზში, იქ სადაც 1850 წლის 14 იანვარს პირველი ქართული სპექტაკლი „გაყრა“ აჩვენეს, ქართული თეატრის დღესთან და გიორგი ერისთავის დაბადების 200 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართება ილუსტრირებული ალბომის პრეზენტაცია, რომელიც თბილისის მერიის კულტურის სამსახურის მიერ დაფინანსდა.



– კრებულში შესულია ისეთი საარქივო დოკუმენტები და უნიკალური ფოტოები, რომლებიც პირველად ქვეყნდება. კერძოდ სრულიად საქართველოს სათეატრო მოღვაწეთა პირველი ყრილობის მონაწილეთა ფოტო, რომელიც 1914 წელს გაიმართა და რომელსაც აკაკი წერეთელი თავმჯდომარეობდა. პირველი ქართული პიესის „გაყრის“ ხელნაწერისა და იტალიური გრავიურების რეპრინტული ასლები. დღეს უკვე გამქრალი პირველი ქართული თეატრალური ნაგებობების, ქარვასლის, მანეჟის, არწრუნისა და სათავადაზნაურო თეატრების უნიკალური ფოტოები, – აღნიშნულია ხელოვნების სასახლის განცხადებაში.

კრებულის პრეზენტაციის გარდა, გაიმართება გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება პირველი ქართული თეატრის ფარდის ესკიზი, დრამატული საზოგადოების XIX საუკუნეში შედგენილი გენიალოგიური ხე და გიორგი ერისთავის უნიკალური პორტრეტი.

ღონისძიებაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და თბილისის მერიის კულტურის სამსახურის წარმომადგენლები არიან მიწვეული.

მუზეუმმა გამოსცა პროფესორ ნათელა ვაჩნაძის ნაშრომი „დავით არსენიშვილი ესკიზები შემოქმედებითი პორტრეტისათვის“. წიგნში მოთხრობილია სათეატრო მუზეუმის, ლიტერატურის მუზეუმისა და ანდრეი რუბლიოვის რუსული მუზეუმის დაარსების ისტორია. წიგნი რუსულიდან ქართულად ითარგმნა და გამოიცა საქართველოს ხელოვნების სასახლეში.

მუზეუმმა დაინტერესებული საზოგადოებისთვის გამოსცა ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა აღწერილობის 2 ტომი, სადაც შესულია მუზეუმში დაცული შემდეგი მოღვაწეების არქივები: ანდრია ბალანჩივაძე, მელიტონ ბალანჩივაძე, ნინო ერისთავი, ელენე (ჩუტა) ერისთავი, სესილია თაყაიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, ია კარგარეთელი, სოსო მებურიშვილი, ნინო მესხიშვილი, ოლღა-ნინუა ცაგურია, ვანო სარაჯიშვილი, აკაკი ფალავა, კოტე ფოცხვერაშვილი, ნიკო ქუმსიაშვილი, ნუცა ჩხეიძე, ცეცილია წუწუნავა, ქართული კინოს ფოტოფონდი 1912-1960.

ხელოვნების სასახლემ ცნობილი ქართველი კინორეჟისორის რეზო ჩხეიძის დაბადების დღესაც უმასპინძლა და საგანგებო გამოფენა გახსნა. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ექსპოზიცია რეზო ჩხეიძის 86 წლის იუბილესადმი მოეწყო. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია უნიკალური მასალები, რომელიც ფართო საზოგადოების წინაშე ჯერ არასდროს გამოფენილა. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ჯარისკაცის მამისა“ და „დონკიხოტის“ კოსტიუმები, ასევე რეჟისორის ყველა ფილმის აფიშა და პირველი ფილმების უნიკალური აფიშები, მათ შორის, „მაგდანას ლურჯა“ და „განძი“. ექსპოზიციაზე ასევე გამოიფინა კანის ფესტივალზე მიღებული ჯილდოს დიპლომი, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის პირველად გამოიფინა. მასთან ერთად კი რეჟისორის ყველა ჯილდო, რომელიც მას მიუღია და რომლებიც ძვირფასი ლითონებისგან არის შექმნილი. გარდა ამისა ექსპოზიციაზე მოწვეულ სტუმრებს პირველად, რეზო ჩხეიძის მამის, ცნობილი ქართველი მწერლის დია ჩიანელის ხელნაწერების ხილვის საშუალებაც მიეცა. დიდი ქართველი რეჟისორის, რეზო ჩხეიძის 86 წლის იუბილისადმი მიძღვნილი გამოფენა ხელოვნების სასახლეში 20 იანვრამდე გაგრძელდება.

ხელოვნების სასახლემ თვითნასწავლი მხატვრის დავით ჯინჯიხაძის პერსონალურ გამოფენას უმასპინძლა, სადაც გამოფენილი იყო ხელოვანის 37 ნამუშევარი. ძირითადად რეალისტური ჟანრის პეიზაჟები და ნატურმორტები.

– დავით ჯინჯიხაძე თვითნასწავლი მხატვარია, ის ბავშვობიდან ხატავს. 15 წლიდან ამ გატაცებას სერიოზულად მოეკიდა და პირველი პერსონალური გამოფენა სწორედ ამ დროს გამართა. მას მერე იყო რამდენიმე გამოფენა მათ შორის ცისფერ გალერეასა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მისი რამდენიმე ნამუშევარი ჩიკაგოში, რუსეთსა და გერმანიაში კერძო კოლექციებში ინახება, – აღნიშნულია ხელოვნების სასახლის განცხადებაში.

მუზეუმში მოეწყო დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფლის ელისაბედ მეორის ინტრონიზაციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა და წიგნის „მონარქი“, რომლის ავტორის გიორგი ჭანტურია, წარდგინება. ექსპოზიციაზე გამოიფინა გიორგი ჭანტურიას მფლობელობაში არსებული ის უნიკალური კოლექცია, რომელსაც პოსტსაბჭოთა სივრცეში პრეცედენტი არ მოეძებნება. უნიკალური კოლექცია მოიცავს სამეფო კარის დოკუმენტურ ფოტოქრონიკას, ელისაბედ მეორის სამკაულების ასლებს, მისი მანქანისა და ეტლის მოდელებს, დროშებს, ალმებსა და სამეფო ჭურჭლის ასლებს.

# თენგიზ არჩვაძე და ნოდარ მგალობლიშვილი — 80

დასაწყისი მე-12 გვერდზე

იოსელიანთან, მედეა კუჭუხიძესთან, ნუგზარ გაჩავასთან, გიგა ლორთქიფანიძესთან. ნოდარ მგალობლიშვილი გამოირჩევა სპეციფიკური როლების შესრულებით. მისი სპექტაკლებიდან გამორჩეულია მაქსიმ გორკის „ფსკერზე“, ჰენრიკ იბსენის „მოჩვენება“, ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“, იაგოს როლი უილიამ შექსპირის „ოტელოში“, თეიმურაზ ხევისთავი მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“. რაც შეეხება კინოკარიერას, იუბილარმა მსახიობმა ფილმებში მონაწილეობა მეორეხარისხოვანი როლებით დაიწყო, თუმცა წლების შემდეგ მთავარი როლებიც მიიღო. ყველაზე გამორჩეული მის კინოკარიერაში არის გრაფი კალიოსტრო მარკ ზახაროვის ფილმში „სიყვარულის ფორმულა“.

საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა და სახალხო არტისტმა საჯაროდ თქვა უარი მაშინდელი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მიერ გადაცემულ ღირსების ორდენზე. როგორც მაშინ მსახიობმა განაცხადა, არ სურდა ღირსების ორდენი ისეთი რეჟიმის მხრიდან, რომელმაც მას ღირსება წაართვა და აიძულა უკიდურეს გაჭირვებაში ეცხოვრა. იუბილარი მსახიობი უნგრეთის მუსიკისა და დრამატულ ნაწარმოებთა ფესტივალზე კანტონას „ბანკ-ბანში“ ოტოს როლის შესრულებისათვის ფესტივალის ლაურეატი გახდა. იგი კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის მფლობელიცაა.

მეორე იუბილარი თენგიზ არჩვაძე ასევე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. იგი თეატრში საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დააბრუნეს. საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა თეატრალური უნივერსიტეტის დასრულებისთანავე მუშაობა მარჯანიშვილის თეატრში დაიწყო, 5 წლის განმავლობაში რუსთავის თეატრის მსახიობი იყო, თუმცა საბოლოოდ მაინც მშობლიურ მარჯანიშვილის თეატრს დაუბრუნდა. მას უმუშავია რეჟისორებთან თენგიზ კანდინაშვილთან, ვერიკო ანჯაფარიძესთან, ლილი იოსელიანთან, ანზორ ქუთათელაძესთან, გიგა ლორთქიფანიძესთან, არჩილ ჩხარტიშვილთან, ნუგზარ გაჩავასთან, მიხეილ თუმანიშვილთან, დოდო ალექსიძესთან, მედეა კუჭუხიძესთან, თემურ ჩხეიძესთან. ამჟამად მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარშია ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ მიხედვით დადგმული ამავე სახელწოდების სპექტაკლი რომელიც რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა თემურ ჩხეიძის მიერ დადგმული სპექტაკლის მიხედვით აღადგინა.



რაც შეეხება თენგიზ არჩვაძის მიერ შესრულებულ კინოფილმებს, მან ითამაშა კინოფილმებში „კეთილი ადამიანები“, „ერთი ცის ქვეშ“, „ხევისბერი გოჩა“, „ხევსურული ბალადა“, „მე ვხედავ მზეს“, „ვედრება“, „ჯვარცმული კუნძული“, „დიდოატატის მარჯვენა“, „დათა თუთაშხია“, „წიგნი ფიცისა“. როგორც კინომცოდნეების აღნიშნავენ, თენგიზ არჩვაძის მიერ შექმნილი ეკრანული სახეები გამოირჩევიან მხატვრული დამაჯერებლობით, მდიდარი შინაგანი სამყაროთი, დაძაბული სულიერი ცხოვრებით. მაყურებლისთვის კი ყველაზე გამორჩეული მაინც უტა არსაკიძეა ფილმიდან „დიდოსტატის მარჯვენა“.

იუბილარ მსახიობს მიღებული აქვს სხვადასხვა პრემიები და წოდებები, მათ შორის საქართველოს დამსახურებული და სახალხო არტისტის წოდებები, სახელმწიფო პრემია და რუსთაველის პრემია, ხოლო ორი წლის წინ მარჯანიშვილის თეატრის წინ მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა.

– უკანასკნელი სამი წლის მანძილზე თბილისის მერია ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა დღესასწაულთან დაკავშირებით უზრუნველყოფს სახელობითი თეატრალური პრემიების გაცემას. ტრადიციისამებრ, მიმდინარე წელსაც გაიცემა შემდეგი პრემიები კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია, სანდრო ახმეტელის სახელობის პრემია, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია, აკაკი ხორავას სახელობის პრემია, პეტრე ოცხელის სახელობის პრემია, გაზეთი „ქართული თეატრის დღე“, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი საღამო რუსთაველის თეატრში გაიმართება, – აღნიშნულია მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ოფიციალურ განცხადებაში.

# კალენდარი ცნობილია

მიხეილ ქორქია-ზურაბ საკანდელიძის მემორიალის, ასევე თასის გათამაშების კალენდარი ცნობილია. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში კენჭისყრა ჩატარდა და თასის გათამაშებაში მონაწილე გუნდები მეოთხედფინალში დაწყვილდნენ.

მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის ტურნირი 15-22 იანვარს გაიმართება და მასში მონაწილეობას სუპერლიგის 9 გუნდი მიიღებს, რომლებიც 2 ჯგუფში არიან განაწილებულნი. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობის მიღება სავალდებულო არ არის, მემორიალში თამაშზე ორმა გუნდმა, „ქუთაისმა“ და „ბათუმმა“ უარი განაცხადა.

ჯგუფებში გუნდები სუპერლიგის პირველი წრის ცხრილის მიხედვით განაწილდნენ. ა ჯგუფში თავი „ოლიმპმა“, „არმიამ“, „დინამომ“, თსსუ-მ და სტუ-მ მოიყარეს. ბ-ში კი „შსს-აკადემია“, „რუსთავი“, თსუ და „სოხუმი“ მოხვდნენ. გუნდები ერთ წრედ ითამაშებენ და ფინალში ჯგუფების გამარჯვებულები შეხვდებიან.

მემორიალს ვაკეში მდებარე საკალათბურთო აკადემიის დარბაზი უმასპინძლებს.

საქართველოს თასის გათამაშებაში სუპერლიგის ყველა გუნდი მიიღებს მონაწილეობას. პირველი წრის მიხედვით 7 საუკეთესო გუნდი – „ოლიმპი“, „შსს-აკადემია“, „რუსთავი“, „არმია“, „ქუთაისი“, „დინამო“ და თსუ მეოთხედფინალში პირდაპირ მოხვდა, დარჩენილი 1 ადგილისთვის კი ცხრილის 7-11 ადგილებზე გასული გუნდები – „ბათუმი“, „სოხუმი“, თსსუ და სტუ, საკვალიფიკაციო ეტაპზე იბრძოლებენ.

გამართული კენჭისწრის შედეგად გუნდები მეოთხედფინალში შემდეგნაირად დაწყვილდნენ: ოლიმპი-დინამო, შსს-თსუ, რუსთავი-ქუთაისი და არმია-საკვალიფიკაციო ტურნირში გამარჯვებული. საკვალიფიკაციოში სუპერლიგის მიმდინარე ცხრილის 4 აუტსაიდერი ითამაშებს: სოხუმი-თსსუ, ბათუმი-სტუ. მათ შორის გამარჯვებულები კი, დარჩენილ ერთ საგზურს გაითამაშებენ.

თასის გათამაშების საკვალიფიკაციო მატჩები, მეოთხედფინალები და ნახევარფინალები საკალათბურთო აკადემიის დარბაზში გაიმართება, ხოლო ფინალს 27 იანვარს, 18:00 საათზე, თბილისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

მ. ჟ.

# სკანვორდი



1. საგანი; 2. ჰიგიენური დაწესებულება; 3. „... შეკაზმავს ცხენს?“; 4. გაოცების გამომხატველი შორისდებული; 5. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში; 6. ხანა, ეპოქა; 7. ბერძნული ანბანის ასო; 8. ვაზების მწკრივები; 9. ბიბლიური ყაჩაღი; 10. საამური ცხოვრება; 11. უკრაინის პარლამენტი; 12. წყლის რწყილი; 13. არყისებრთა იჯახის ხე; 14. სპორტული სატყორცნი იარაღი; 15. ღირებულება; 16. თანრიგი, რანგი; 17. ქალიშვილი (ინგლისურად); 18. უუფლებო ადამიანი; 19. უდანაშაულობის მტკიცებულება; 20. დასვენების დღე; 21. დედმამიშვილი; 22. მიჯნა, საზღვარი; 23. ჰონდურასის ფულის ერთეული; 24. ფოტოგრაფიაში ხმარებული სამჟღავნი ნივთიერება; 25. ნოტი; 26. ბრინჯის არაყი; 27. ვაშლის ღვინო; 28. უბედური შემთხვევა, საშინელი ამბავი; 29. ექსკურსია ქალაქგარეთ დასვენების მიზნით; 30. თამაში ხის ბურთით და ხის ბოთლებით; 31. დედალოსის შვილი ბერძნულ მითოლოგიაში; 32. გეომეტრიული სხეული.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კრისტი; 2. ბეკინა; 3. სახარება; 4. არმაზი; 6. ტოპონიმი; 8. დროება; 11. ხამანწკა; 12. კონიაკი; 16. ფრაზა; 17. ხომლი; 18. იპონი.

**თარაზულად:** 1. კამბალა; 5. სკოტი; 7. ლახვარი; 9. სტაიერი; 10. ბაჯაღლო; 13. ბამბუკი; 14. ზარზმა; 15. ჟოქო; 19. ქირურგი; 20. ხოზაფინი; 21. წალენჯიხა; 22. ბარონი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. შამპანი; 2. ჩიბუხი; 3. აზარფეშა; 4. დინამიკა; 7. ვანდალები; 8. დეკანოზი; 12. ვერდიქტი; 14. კუროსავა; 16. ესკარპი; 17. ბეიძინი; 19. კობე; 20. პინო.

**თარაზულად**: 5. მალაქიტი; 6. რეზონანსი; 9. ბახალა; 10. ხეტაფე; 11. სკიჯი; 13. ტესლა; 15. ბულაძე; 18. ასაჰი; 21. ჰამილტონი; 22. რაციონი; 23. ნეოლითი.

# საფრანგეთის სპეცრაზმმა სომალიში მყოფი ფრანგი მძევლის გათავისუფლება ვერ შეძლო

ორი ფრანგი კომანდოსი სომალელი ბოევიკების მიერ ფრანგი მძევლის გათავისუფლების წარუმატებელი ოპერაციის შედეგად დაიღუპა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა პარიზში განაცხადა, რომ სპეცსამსახურების თანამშრომელი დენის ალექსი გამტაცებლების მიერ ღამით მომხდარი შეტაკებისას მოკლეს. ბრძოლა-



ში მოკლულია ასევე 17 ისლამისტი. ოპერაციას ფრანგული სპეცდანიშნულების დანაყოფი აწარმოებდა, რომელიც სომალში ვერტმფრენებით გადაისროლეს. დენის ალექსი მოგადიშოში 2009 წელს გაიტაცეს.

ცნობისთვის, 1960 წელს მოხდა სომალის დამოუკიდებლობის გამოცხადება, სწორედ ამ წელს გაერთიანდა ბრიტანული სომალილენდი და იტალიური სომალილენდი. მოგვიანებით ქვეყანაში დამყარდა სამხედრო მმართველობა. 1991 წლიდან 2000 წლამდე ქვეყანაში არ არსებობდა საერთაშორისოდ აღიარებული მთავრობა.

1991 წლიდან ამ სახელმწიფოში მიმდინარეობს სამოქალაქო ომი, სომალიში ხშირად ხდება მთავრობების ცვლა. ქვეყნის რამდენიმე რეგიონში შექმნილია ადგილობრივი მთავრობები, რომლებიც დამოუკიდებლობისკენ ისწრაფვიან. მათგან აღსანიშნავია ქვეყნის ჩრდილოეთით არსებული სომალილენდი.

# ნიუ იორკში საგანგებო ეპიდემიოლოგიური სიტუაცია გამოცხადდა

ნიუ იორკის გუბერნატორმა გრიპის ვირუსის გავრცელების გამო საგანგებო ეპიდემიოლოგიური სიტუაცია გამოაცხადა.



შტატში გრიპით დაავადების 20 ათასზე მეტი შემთხვევა დარეგისტრირდა, რაც ოთხჯერ აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

ხელისუფლებამ შესაბამის სამსახურებს ნება დართო აცრები არა მხოლოდ უფროსებს, ბავშვებსაც ჩაუტარდეს.

გასულ კვირას ბოსტონის მერმა ასევე გამოაცხადა საგანგებო ვითარება, რადგან ქალაქში გასულ წელთან შედარებით გრიპით დაავადების 10-ჯერ მეტი შემთხვევა დაფიქსირდა.

არსებული ინფორმაციით, გრიპის ვირუსს აშშ-ში 18 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

გ. მ.

# რუსეთში „არამზადების საწინააღმდეგო მარში“ გაიმართა

მოსკოვში „არამზადების საწინააღმდეგო მარშის“ სახელწოდების საპროტესტო აქცია გაიმართა. „გაზეტა.რუს“ ცნობით, აქციის მონაწილეები, რომელთა რაოდენობა ათი ათასს აჭარბებდა, სახაროვის მოედანზე იყვნენ შეკრებილები.

საპროტესტო აქციის მონაწილეები ე.წ. „ანტიმაგნიტსკის კანონის“ გაუქმებას მოითხოვდნენ, რომლითაც რუსეთის ხელისუფლებამ ამერიკელებისთვის რუსი ბავშვების შვილად აყვანა აკრძალა.

აქციაზე „მემარჯვენე ფრონტის“ ლიდერმა სერგეი უდალცოვმა განაცხადა, რომ გაზაფხულიდან ხელისუფლების წინააღმდეგ უპრეცედენტო საპროტესტო აქციები უნდა დაიწყოს.

შსს-ს თანამშრომლენი კი გამომძიებელს ინფომაციას მიაწვდიან იმის შესახებ, რომ სერგეი უდალცოვმა „არამზადების აქციაზე“ მასობრივი ღონისძიების ატრიბუტიკა დაწვა.

„უდალცოვის მიერ ადამიანების ბრბოში ატრიბუტიკის დაწვა, დოკუმენტურად დადასტურებულია“, – განუცხადა „ინტერფაქსს“ მოსკოვის მილიციის წარმომადგენელმა.

თავად უდალცოვი არ უარყოფს, რომ ეს გააკეთა. მან განაცხადა, რომ მსვლელობის ბოლოს „ზოგიერთმა აქტივისტმა, მათ შორის მეც, დუმის დეპუტატების და სენატორების რამდენიმე პორტრეტი დავწვით, რის შემდეგაც პლაკატების ნარჩენები ნაგვის კონტეინერებში გადავყარეთ“.

„ამით, დამოკიდებულება გამოვხატეთ „ანტიმაგნიტსკის კანონისადმი და მათ მიმართ, ვინც ის მიიღო“, – აცხადებს ოპოზიციონერი.

მეორე ოპოზიციონერმა, ილია იაშინმა კი „ტვიტერზე“ დაწერა, რომ უდალცოვმა აქციაზე პუტინის პორტრეტი დაწვა: „ზოგჯერ სისულელე პროვოკაციაზე უარესია“, – წერს იაშინი.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის მხარემ იანვრის დასაწყისში ოფიციალურად აცნობა ვაშინგტონს ორმხრივი ხელშეკრულების გაწყვეტის შესახებ. ამ




დროისათვის, კი 500 ათასამდე ამერიკული ოჯახი იმყოფებოდა შვილად აყვანის პროცესის სხვადასხვა სტადიაზე.

მსვლელობა „ჰეროდეს კანონის“ გასაუქმებლად დანიშნული იყო „პუშკინსკაიადან“ სახაროვის პროსპექტამდე. მწერლები, მსახიობები, რეჟისორები, ცნობილი ჟურნალისტები ბლოგებსა და ვიდეომიმართვებში მოუწოდებდნენ თანამოქალაქეებს ამ მარშში მონაწილეობის მისაღებად – „წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გავხდებით ობოლი ბავშვების მიმართ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილენი“,– ნათქვამია საერთო მოწოდებაში. ხოლო ცალკეულ პიროვნულ გამონათქვამს გთავაზობთ ქვემოთ:

ოლეგ ბასილაშვილი, მსახიობი – „აუცილებელია გამოსვლა! ხელისუფლებამ უნდა შეიგნოს – ჩვენ უდრტვინველი მასა კი არა ვართ, არამედ ვართ ხალხი, ვისაც აქვს გული, სინდისი, ღირსება, პატიოსნმება... მე მიხარია, რომ „მაგნიტსკის კანონის“ მიხედვით არამზადები, რომელთაც მილიონები უდევთ საზღვარგარეთის ბანკებში, დაკარგავენ თავიანთ ფულს. რა კარგი იქნებოდა, რომ კანონი ბავშვების შესახებ მაგნიტსკის კანონთან კავშირის გარეშე მიეღოთ: არ გააშვილებდნენ ბავშვებს ამერიკელებზე და სამაგიეროდ აუშენებდნენ მათ ბავშვთა სახლებს, სამკურნალო დაწესებულებებს; დიდ ფულს მისცემდნენ შვილად ამყვანებს. მაგრამ ბავშვების ბედის მიბმა მაგნიტსკის კანონზე – უზნეობაა! თვალნათლივ ჩანს ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულება საკუთარ ხალხთან!“

ალექსანდრე გელმანი, დრამატურგი: „მე არ ველი, რომ ამ მარშის მერე რამე შეიცვლება, მაგრამ მე არ მინდა, ჩვენი ხელისუფალნი ზეიმობდნენ, რომ 13 იანვარი გახდა მათი გამარჯვების დღე ადამიანურ ღირსებაზე და საღამოს სიხარულით შესვან გასრესილი სინდისის სადღეგრძელო“.

ქსენია ლარინა, „ექო მოსკვის“ წამყვანი: „ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს არამზადები – დეპუტატები, სენატორები, მოხელეები, ვინც ეს სასტიკი კანონი მოიწონა – ტკბილი ვიგინდარა ასტახოვი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები, პუტინის ადმინისტრაცია და თვით პუტინი – პასუხისმგებლები არიან ყველაფერ იმაზე, რაც სამშობლოში შეიძლება დაემართოს თითოეულ ბავშვს, რომელიც რჩება მშობლებისა და სამედიცინო დახმარების გარეშე.. .პუტინის ხუმრობები ჯგუფური სექსის შესახებ, საიდანაც თავის დაძვრენა შეიძლება, შემთხვევითი როდია – ის შესანიშნავად იცნობს თავის ლაქიებს, სწორედ ასეთებს აგროვებდნენ – ცბიერებს, მფრთხალებს, ოფლიანი იღლიებითა და აკანკალებული დორბლიანი ტუჩებით, ხელქვეითების დედის გინებას ჩვეულთ და უფროსობის მიმართ გოგოლისებურ ძრწოლაშეყრილთ: „თთთქქვეეეენო... ვალებავ!“

მიხეილ იამპოლსკი, ისტორიკოსი – „ამერიკელების მიერ რუსი ბავშვების შვილად აყვანის აკრძალვით „ედინაია როსიელები“ ზღვარს გადავიდნენ – ახლა უკვე სახელმწიფო „დუმას“ ადარებენ არა გაცოფებულ პრინტერს, არამედ ტერორისტთა ბანდას“.

თავის მხრივ, როგორც ამერიკული ტაბლოიდი „ნეიშენალ ენქვაიერი“ წერს, დიპლომატიური არხების მეშვეობით პუტინს გადასცეს ანჯელინა ჯოლის წერილი თხოვნით, გააუქმოს ობლების საწინააღმდეგო კანონი. პასუხად პუტინმა მიუგო, რომ მის თხოვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს, თუ ის დათანხმდება იქორწინოს ბრედ პიტთან მოსკოვის ცენტრში ან სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთ ცნობილ სასახლეში.

ანჯელინა ჯოლი ცნობილია უპატრონო და მიუსაფარი ბავშვებისადმი ზრუნვით. პირადად მას, საკუთარი სამი შვილის გარდა ნაშვილები ჰყავს თითო ბავშვი კამბოჯიდან, ეთიოპიიდან და ვიეტნამიდან. იგი ეწევა დიდ ჰუმანიტარულ მოღვაწეობას ულარიბეს ქვეყნებში გაეროს კეთილი ნების ელჩის სახელით. მის მიერ დაარსებულია რამდენიმე საქველმოქმედო ორგანიზაცია.

# „ფრანგები დეპარდიეს არ აპატიებენ“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სჭირდებოდათ რუსეთი. ცნობილი ენციკლოპედისტი დენი დიდრო გაემგზავრა რუსეთში იმ მიზეზებისაგან არცთუ განსხვავებული მიზეზებით, რომლებიც გააჩნდა დეპარდიეს. დიახ, ეკატერინე მეორეს ძალიან სურდა მასთან შეხვედრა, მაგრამ არსებობდა სუფთა ყოფითი მიზეზები: დიდრო გაკოტრებული იყო. ეკატერინე მას ფინანსურად დაეხმარა და ამაყობდა მასთან მეგობრობით, თუმცა სახელმწიფოს მართვის მისეულ რჩევებს ყურად არ იღებდა. და მაინც რუსეთში დაიწყო საფრანგეთის ცივილიზატორული მისია – მას წინ მოუძღოდა რევოლუციისაგან დევნილი ცნობილი ემიგრანტების ტალღა. ბევრი როდი იყო ისეთი უსაფრთხო ქვეყანა ფრანგი არისტოკრატებისთვის, ვიდრე რეაქციული რუსეთი. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ კი რუსეთში ჩამოდიოდნენ ფრანგი ინტელექტუალები და ხელოვნების მოღვაწეები, „იმით განცვიფრებულნი, რისი დანახვაც ეწადათ“. მაგალითად, ლუი არაგონი თავის ლექსებში ლენინის სახელით მოუწოდებდა თანამემამულეებს საფრანგეთის პოლიტიკური ლიდერების განადგურებისაკენ.

რუსეთი ეკრანია, რომელზეც საფრანგეთი ახდენს თავისი იდეოლოგიური ოცნებების ან ექსცენტრული ფანტაზიების პროეცირებას. ის ფაქტი, რომ ეს ოცნებები კოშმარი აღმოჩნდება ხოლმე მათთვის, ვინც რეალურად იწვნევს ამ ცხოვრების „სიამეებს“, წვრილმანია რუსეთის ლიდერების თვალში“, – აყალიბებს დასკვნას ზარეტსკი.

„თიმსის“ მიმომხილველი ადამ სეიჯი სინანულით წერს ავტორიტეტის დაცემის შესახებ: „აქამდე საფრანგეთი სულში იძვრენდა დეპარდიეს – ამ თანამედროვე გარგანტუას, რომლის ლოთ-შფოთობასაც კი დიდი ბავშვის ოინბაზობად თვლიდნენ. მას ყველაფერი ჰქონდა, რაც ფრანგების საყვარელ გმირად ხდიდა – იყო მხიარული, გიჟმაჟი, პოეტური, პარადოქსული, ტალანტური, მომხიბლავი, ხარბი – ისეთი, როგორადაც ყოფნას ყველა ფრანგი მამაკაცი ინატრებდა. დეპარდიეს აქვს პატარა ბიზნეს-იმპერია: სამი რესტორანი, ბარი, თევზის ფარდული, ვენახი ლუარას ველზე. ეს თითქოს მეტისმეტია, მაგრამ ფრანგების თვალში ზომიერებაზე გადაცდომა – ქარიზმის ნაწილია... პუტინის პიარ-აქციაში მონაწილეობით და ოლანდის დამცირებით კი დეპარდიემ საფრანგეთი მსოფლიოს სამასხარაოდ აქცია და ფრანგები არ აპატიებენ მას“.

სოციოლოგი ალენ ტურენი თვლის, რომ დეპარდიე ღრმა კრიზისშია: „თუ უახლოეს 7 დღეში დეპარდიე თავს მოიკლავს, მე არ გამიკვირდება“, – აცხადებს იგი.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# პატინსონსა და სტიუარტს კვლავ პრობლემები აქვთ?

რობერტ პატინსონისა და კრისტენ სტიუარტის ურთიერთობას მთელი მსოფლიო თვალს ადევნებს. გასულ წელს მათი სკანდალური დაშორების შესახებ ყველა ტაბლოიდი წერდა. მას შემდეგ „ბინდის“ ვარსკვლავებმა სიძნელეების გადალახვა შეძლეს, თუმცა, თუკი ჭორებს ვენდობით, იდილიამ დიდხანს არ გასტანა. წყვილის გარემოცვიდან ამბობენ, რომ რობი და კრისტენი ბოლო დროს ხშირად ჩხუბობენ და არც განშორება იქნება




მოულოდნელი. „მათ ყველაფერი კარგად როდი აქვთ. ისინი გამუდმებით ჩხუბობენ. რობი თავს ბედნიერად არ გრძნობს და დაშორებაც მხოლოდ დროის საკითხია“ – უამბეს ჟურნალ „Life & Style“-ს. 26 წლის მსახიობისა და მისი მეგობარი გოგონას ახლობლები მიიჩნევენ, რომ მათი ურთიერთობა სწორედ განშორების დროს გამოიცდება. ორივე მათგან ახალ პროექტზე ცალ-ცალკე უწევს მუშაობა.

atb.ge

# ტეილორ სვიფტი ჰარი სტაილსს დაშორდა



ტეილორ სვიფტს ცვლილებების სიყვარულში ბადალი არ ჰყავს. გოგონა შეყვარებულებს ხელთათმანებივით იცვლის. ცოტა ხნის წინ, ქერათმიანმა ლამაზმანმა ურთიერთობა „ ნე ირეცტიონ“-ის სოლისტთან, ჰარი სტაილსთან დაასრულა. მათი რომანი ორ თვეს გაგრძელდა. დაშორება კი საახალწლო პერიოდში მოხდა, მაშინ, როდესაც ახალგაზრდები კურორტზე ისვენებდნენ. ტეილორი შინ მარტო დაბრუნდა, ხოლო მისი „ყოფილი“ მეგობრების მხიარულ კამპანიაში დარჩა. ჰარის თქმით, მისი და სვიფტის დაშორების მიზეზი ის გახდა, რომ გოგონა მისდამი ძალიან მომთხოვნი იყო. როგორც ჩანს, სტაილსისთვის პარტნიორის პოვნა არც ისე რთულია. ამბობენ, რომ ის უკვე ახალ ლამაზმანთან ერთად შენიშნეს.

atb.ge

## TV პროგრამა

**ორშაბათი 14 იანვარი**

**07.30** „ჩვენი დილა“ (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30** „მოამბე“ **10.30** „დილის საუბარი“ **11.00** „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) **12.45** „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** „დღეს ორის ნახევარზე“ (პ/ე) **15.00** „პეპეს საახალწლო შოუ“ **17.00** „სპიკერი“ **18.00** „პეპე და მეგობრები“ **19.05** ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი“ **21.00** ტ/სერ „როსელა“ **22.00** „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ **23.00** „ქართული დოკუმენტალისტიკა“ **00.00** „საფარი“ **01.00** მხ/ფ „თმის ლაქი“ (ტიტ.) **03.00** ტ/სერ „სპირალი“ **04.00** მხ/ფ „ბანზაი“

**08.00** ვენის სიმპონიური ორკესტრის საახალწლო კონცერტი: დირიჟორი — ჰერბერტ ფონ კარაიანი — 1987 **09.35** მხ/ფ „საშობაო ამბავი“ **11.10** კონცერტი: ანსამბლი — „ლაპრეზი“ **11.25** მხ/ფ „კონკიას ამბავი“ **12.55** მხ/ფ „ბინგო ბონგო“ (ა. ჩელენტანო) (გ/ჩ) **14.35** მხ/ფ „ბეტმენი-დასაწყისი“ (კ.ფარელი) **16.40** ქარ. მ-მხ/ფ „ზზიანეთი“ (ლ.ელიავა) **17.00, 20.00** „ბრიფინგის დრო“ **18.00** კონცერტი — რიშარ გალიანო „მუდამ პიაცოლა“ **20.45** ქარ. მხ/ფ „არასერიოზული კაცი“ **22.00** თავისუფალი ტრიბუნა“ **23.00** კონცერტი: ანსამბლი „ქარ. ხმები“ **00.00** მხ/ფ „მოწმობა ქორწინებისთვის“ (ტიტ.) (რ.უილიამსი) **01.30** „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

**07.30, 09.10** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **10.00** სერ.„ღელიანი მოახლე“ **11.30** სერ. „უკვდავი ამბავი“ **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. „ბაქცევა – 3“ 8 სერ. **14.45** სერ. „24 – 4“ 6 სერ. **15.45** სერ. „დამალული სიმართლე“ 8 სერ.**17.40** სერ. „თილისმა“ 10 სერ. **18.50** სერ. „სახიფათო ვნება“ **21.00** სერ. „მარტოსული“ **22.00** ქ.სერ. „შუა ქალაქში“ **23.00** სერ. „ღვინის გზა“ 6 სერ. **00.15** მხ/ფ. „ორფევრის სანაპირო N36“ (დ.ოტეი) **02.05** მხ/ფ. „სამართლიანობისთვის მებრძოლი“ (ს. სიგალი) (ტიტ.) **03.40** მუსიკა

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.„ქალის მსხვერპლი“ **11.00** სერ. „იდუმალი ქალი“ **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** „შუა დღე“ **115.30** შერეკილები **17.00** სერ. „ვნების უფსკრული“ **18.45** სერ. „მგზნებარე გული“ **19.50** სერ. „ღირსება და ამბიცია“ **22.00** სპექტაკლი „ქეთო და კოტე“ **00.00** შიშის ფაქტორი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** მულტფილმი **06.20** დოკ/ფ „ველური ბუნება“ **06.45** მხ/ფ „აურზაური სალხინეთში“ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** „განთიადი“ **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** კვირიაკე **12.10** მხ/ფ „ნეილონის ნაძვის ხე“ **13.30** კამერული მუსიკის ფესტივალის დასკვნითი კონცერტი **14.50, 18.20, 23.15** ფოტოგალერეა **15.05** განთიადის სტუმრები **15.30** სპექტაკლი „ალალე“ **17.05** კონცერტი - ანს. „შინი“ **18.10** ტელეზღაპარი **18.25** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.15** მხ/ფ „აბეზარა“ **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** სადვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ/ფ „საახალწლო ჩვეულებანი“ **23.00** საღამოს ლოცვა **23.20** ქართული თეატრის დღე - „წლები გასულა“ **00.35** განთიადის სტუმრები **01.00** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

მაესტრო **07.00, 02.35, 04.55, 06.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **07.30, 08.20, 10.30, 11.20, 12.30, 13.30, 15.40, 16.35, 17.10, 18.40, 04.35, 05.30, 06.35** უცხოეთის ამბები **07.55, 10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 16.55, 18.55, 06.55** უკომენტაროდ, ამინდი **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00** ახალი ამბები **08.30, 09.15** შალვა რამიშვილის „დილა“ **12.00** ახალი ამბები 12 საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები 3 საათზე **18.00** ახალი ამბები 6 საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 00.25** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ **20.00** ამბები მოკლედ **20.10, 01.40** თოქ-შოუ — „არგუმენტები“ **21.00** ახალი ამბები 9 საათზე **22.00, 01.20** „ყოველდღიური აბები“ **22.20, 03.10** თოქ-შოუ — „პოლიტმეტრი“ **00.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**14 იანვარი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6582

ევრო — 2,1994

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6870

რუსული რუბლი — 0,0548

**ამინდის პროგნოზი 14 იანვრისთვის**

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით —2-5, ღამით — -5 -2.

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 7-13, ღამით — 5-6.

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 6-8, ღამით — -5 -7.




# „ახალ თაობასთან“ ერთად

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

## ტომი 1 ამერიკული ზღაპრები

## თენგიზ არჩვაძე და ნოდარ მგალობლიშვილი — 80

ეკა ირემაშვილი

### 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა. ამ თარიღს საქართველოში უკვე 163 წელია აღნიშნავენ. ქართული თეატრის დღეს საფუძველი 1850 წლის 14 იანვარს ჩაეყარა, როდესაც თბილისში პირველი სპექტაკლი,



გიორგი ერისთავის „გაყრა“ დაიდგა. ეს იყო პირველი და იმ დროისთვის ერთადერთი პროფესიული თეატრი საქართველოში.

— 1850 წლის 14 იანვარს გიორგი ერისთავმა ქართველი არისტოკრატიის მხარდაჭერით, მეფისნაცვალ ვორონცოვის ხელშეწყობით, გიმნაზიის შენობაში, რომელიც დღეს პირველი კლასიკური გიმნაზიაა, დადგა პირველი სპექტაკლი „გაყრა“. იგი პიესის ავტორიც თავად იყო, რეჟისორიც და ერთ-ერთ როლსაც ასრულებდა, კერძოდ ის სომეხ ვაჭარს თამაშობდა, — აღნიშნავს თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე.

სწორედ დრამატურგ გიორგი ერისთავის აქტიური მონაწილეობით აღორძინდა ქართული თეატრი, რომელსაც მდიდარი სცენური ტრადიციები ჰქონდა. აღორძინების პირველივე დღეებიდან ქართული თეატრი რეალისტური ხელოვნების გზას დაადგა. მის სცენაზე დაიწყო ერისთავისა და ანტონოვის უპირატესად კომედიური ჟანრის პიესების დადგმა. ეროვნული თეატრის აღორძინება ქართველი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მაგრამ თეატრალურ დასს ძალიან მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. მეფის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების შეფერხებისთვის ყველა ღონეს ხმარობდნენ. თეატრს წაართვეს შენობა, მის რეპერტუარზე უმკაცრესი ცენზურა იყო დაწესებული. ამ მიზეზთა შედეგად ერისთავის თეატრალური დასი დაიშალა და 70-იანი წლების ბოლომდე ქართველ დრამატურგთა პიესების დადგმები მხოლოდ მოყვარული თეატრალების მიერ ხორციელდებოდა. ქართული სასცენო ხელოვნების ახალი, ძლიერ ნაყოფიერი პერიოდი 70-იანი წლების ბოლოს დაიწყო, როდესაც თბილისში მოწინავე საზოგადო მოღვაწეების ჯგუფმა, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ხელმძღვანელობით, ქართული პროფესიული დრამატული თეატრის გახსნას მიაღწია. ერთი წლის შემდეგ დრამატული თეატრი ქუთაისშიც გაიხსნა. ამ პერიოდში ქართული დრამატული თეატრების სცენებზე გამოჩნდნენ ნიჭიერი მსახიობები და რეჟისორები ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა-აბაშიძე, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ვალერიან გუნია. ესენი იყვნენ ქართული სცენის ნიჭიერი ოსტატები, რომლებმაც ქართული თეატრალური ხელოვნება მაღალ დონეზე აიყვანეს.

1945 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა „საქართველოს თეატრალური საზოგადოება“, იმავე წლის 17 დეკემბერს რუსთაველის თეატრში მოწვეული იქნა საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა, თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აკაკი ხორავა, ხოლო მოადგილედ შალვა დადიანი. სხვადასხვა დროს „საქართველოს თეატრალური საზოგადოების“ თავმჯდომარეები იყვნენ აკაკი ხორავა, შალვა დადიანი, მიხეილ მრევლიშვილი, დოდო ანთაძე, დოდო ალექსიძე, გიგა ლორთქიფანიძე, ამჟამად კი თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეა გიორგი (გოგი) ქავთარაძე.

წელს ქართული თეატრის დღეს საქართველოს შემოქმედებითი კავშირი — საქართველოს თეატრალური საზოგადოება და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი, აღნიშნავს ქართული თეატრის დღეს და აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო არტისტების თენგიზ არჩვაძისა და ნოდარ მგალობლიშვილის 80 წლის იუბილეებს.

ნოდარ მგალობლიშვილი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. მას ბავშვობიდან ოპერის მომღერლობა სურდა, მაგრამ მამის გარდაცვალებით გამოწვეულმა დარდმა მსახიობს ხმა დააკარგვინა და კონსერვატორიაში ჩაბარება ვერ შეძლრო, სამაგიეროდ, ჩააბარა თეატრალურ უნივერსიტეტში და მისი დასრულებისთანავე მუშაობა მარჯანიშვილის თეატრში დაიწყო. სხვადასხვა პერიოდში მსახიობმა იმუშავა რეჟისორებთან თემურ ჩხეიძესთან, ლილი


გაგრძელება მე-10 გვერდზე


## დემეტრაძემ ციხე დატოვა

საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა გიორგი დემეტრაძემ სასჯელაღსრულების მე-12 დაწესებულება ამნისტიის შედეგად დატოვა — ის ციხიდან პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლეს.



დემეტრაძემ ციხიდან გამოსვლისას პირველი კომენტარიც გააკეთა. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, მისთვის დღემდე უცნობია, თუ რა მიზეზით იჯდა ციხეში.

**გიორგი დემეტრაძე:**

— ძალიან აღელვებული ვარ დღევანდელი მომენტით. იმედი მაქვს, სასჯელაღსრულების დაწესებულებას სხვა პატიმრებიც დატოვებენ. აქ ძალიან ბევრი ავადმყოფი და უკანონო პატიმარია. რაც შეეხება ჩემს დაკავებას, მე დღემდე არ ვიცი, რეალურად რის გამო ვიჯექი ციხეში.

მისივე თქმით, ციხეში ხდებოდა მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, თუმცა ფიზიკურ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. დასძინა ისიც, რომ ეს მიდგომა ციხეში ბოლო პერიოდში შეიცვალა. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მისი თქმით, ჯერჯერობით არ აქვს გადაწყვეტილი, მისი შემდგომი საქმიანობა სად გაგრძელდება. დემეტრაძემ ისიც განაცხადა, რომ ჯერ არც ფეხბურთში დაბრუნებაზე უფიქრია, თუმცა, მისმა გვარმა უკვე გაიჟღერა ბოლნისის „სიონის“ ერთ-ერთი მწვრთნელის თანამდებობაზე.

შეგახსენებთ, რომ დემეტრაძე ქურდულ სამყაროსთან კავშირისთვის 2010 წელს დააპატიმრეს.

## „ფრანგები დეპარდიეს არ აპატიებენ“

დასავლეთის პრესა ანალიზს უკეთებს ფრანგი მსახიობის — ჟერარ დეპარდიეს ბოლოდროინდელ თავგადასავლებს და რეჟისორ ფილიპ ლაბროს მსჯელობის კვალად დაასკვნის — „ოლანდის გადასახადებით აღშფოთება, შესაძლოა, საუკეთესო როლი იყო მის ცხოვრებაში: პირველი აქტი — სახლი ბელგიაში — მან შესანიშნავად შეასრულა, მაგრამ მეორე აქტი — ჩააფლავა!“



თავისი ახალი სპექტაკლის პირველი აქტით — ბელგიური სახლით რომ დაკმაყოფილებულიყო, კიდევ ჰო, მაგრამ მორდვეთში დასახლების შეთავაზება უკვე მეტისმეტი გახლდათ. „დეპარდიეს გადასვლა ბელგიაში, მისი დითირამბები პუტინისადმი და საპატიმრო ბანაკებით ცნობილ მორდვეთში გამგზავრება — ეს არის თვითმკვლელობის სადარი პროვოკაცია“, — განაცხადა „ლე მონდთან“ ინტერვიუში მსახიობის ყოფილმა აგენტმა ჟან-ლუი ლივიმ და დასძინა: „დეპარდიე ინტელიგენტი კაცია და როდესაც მე ვხედავ, თუ როგორ ეხვევა ის მორდველ გუბერნატორს ან თავს იწონებს პუტინის გვერდით, ვგრძნობ, რომ ვერ არის წესრიგში, რადგან ასეთ თვითგვემას ეწევა“.

მეორეს მხრივ, მსახიობის ნაბიჯს ვერც რუსეთის სალად მოაზროვნე ინტელიგენტები აფასებენ დადებითად. საერთაშორისო მიმომხილველი ლეონიდ მლეჩინი წერს: „გამოდის, რომ რუსულ პასპორტს იღებენ ისინი, ვინც გაურბიან გადასახადების გადახდას; მაგრამ ეს ხომ ორმაგი ბუღალტერიაა — აკი რუსეთში სწორედ გადასახადის გადაუხდელობისთვის გადაჰკარგეს შორეულ მხარეებში ხოდორკოვსკი!“

ამავე დროს, ძალიან საყურადღებო დაკვირვებას გვთავაზობს ჰიუსტონის უნივერსიტეტის (აშშ) საფრანგეთის ისტორიის სპეციალისტი რობერტ ზარეტსკი. ის აღნიშნავს, რომ ცნობილი ფრანგი მოღვაწეები უკვე რამდენიმე საუკუნეა სტუმრობენ რუსეთს და: „რუსეთი იყენებს მათ საკუთარი თავის ევროპული კულტურის ცენტრად დასამკვიდრებლად და დასავლეთის ქვეყნებისთვის თავის დასაჭარბებლად. რუსეთს არანაკლებად სჭირდებოდა დეპარდიეები, ვიდრე დეპარდიეებს


გაგრძელება მე-11 გვერდზე


## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ფრანგი მწერალი; 3. აზერბაიჯანული საჭმელი, კატლეტის მსგავსი; 8. მართკუთხა სამკუთხედის გვერდი; 9. დიდი ფრინველის ფრენა; 14. სახელმწიფო აზიაში; 15. უკრაინის მარცხენა ნაპირის ჰეტმანი; 17. უკრაინის პარლამენტი; 20. პატარა მგალობელი ჩიტი; 22. მძიმე სამხედრო მანქანა; 23. სამიჯნურო ურთიერთობა ქალ-ვაჟს შორის; 25. წილი ბიზნესში; 26. სადეზინფექციო სითხე; 27. აღმოსავლეთი; 28. ციტრუსი.

**შვეულად:** 1. თვალის გუგა; 2. ბუნებრივი საღებავი; 3. ხამი ტყავის შინნაკეთი ფეხსაცმელი; 4. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 5. მდინარის სადენი ჩაღრმავება; 6. კათოლიკეთა წირვა; 7. სწორი ბალახოვანი ადგილი; 10. ფირნიში; 11. კრაველის ქუდი; 12. გეომეტრიული სხეული; 13. თავის ჩონჩხი; 16. სურათი ზღვის ხედით; 18. ეთერზეთების შემცველი სურნელოვანი მცენარე; 19. უფლისწული; 21. წყლისპირა მცენარე; 24. შარავანდედი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



## ასტროპროგნოზი 14 იანვრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!** წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფული გაქვთ, საჩუქრებიც გექნებათ. **კურო** — კარგ ამბავს გაიგებთ და გაგიხარდებათ. **ტყუპები** — თქვენი საქმე კარგად მიდის, გახარებული ხართ. **კირჩხიბი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ფულიც გექნებათ. **ლომი** — სიტუაცია გამოსწორდება, ბედს ეწევით. **ქალწული** — გზიდან ამანათს მიიღებთ, ძალიან მოგეწონებათ. **სასწორი** — თოვლის ბაბუა თქვენთვის არსებობს. **ღრიანკალი** — გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, გელით სხვა სიახლეც. **მშვილდოსანი** — ცხოვრება რადიკალურად გეცვლებათ. **თხის რქა** — დასვენება და გართობა გჭირდებათ. **მერწყული** — ახალი პროექტი სიმდიდრეს მოგიტანთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ მეგობრების რჩევას, გამოგადგებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**